

# STYLE

#23
ზაფხული
2007

A R C H I T E C T U R E   I N T E R I O   D E S I G N

თბილისის ჰაიატ პარკი
**Hyatt Park Tbilisi**

სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია
**One Step From Love to Hatred…**

კახი კალაძე მილანის ჯიანინო
**Kakhi Kaladze – Giannino, Milan**

ტიხრული მინანქარი ოქროს საწმისის ქვეყნიდან
**Cloisonne Enamel from the Land of Golden Fleece**

სტილი
არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი

CAPAROL



არქიტექტურულ-სამშენებლო კომპანია
სასკო
SASCO
WWW.SASCOGROUP.GE
ვაჟა-ფშაველას 18
ოთახი 222
ტელ.: (995 32) 37-53-32
ტელ/ფაქსი: (995 32) 37-51-90
E-mail: info@sascogroup.ge
სარეკლამო


The most beautiful kitchen in the world
SHEER
DesignAvenue
www.designavenue.ge
e-mail: designavenue@designavenue.ge

BCV
DEVELOPMENT

2007 წლის ინოვაციური შემოთავაზება

# გაინტერესებთ რატომ უნდა შეიძინოთ ბინა თუ საოფისე ფართი BCV -ში?

■ **კომფორტი** - Tqvens myudroebas ar daarRvevs mezobel sarTulze mimdinare remontis xmauri da mtveri, radganac mTliani kompleqsi dasrulebuli remontiT bardeba. TeTri karkasis SeZenisas es procesi gardauvalia sul mcire 3 wlis ganmavlobaSi.

■ **დაზოგილი რესურსები** - CvenTan dazogavT dros, energiasa da Tanxebs, romelic TeTri karkasis SeZenisas kvalificiuri Semsruleblebis moZebnaze, maT zedamxedvelobasa da xarisxiani masalebis SerCevaze dagexarjebodaT.

■ **საუკეთესო ხარისხი** - Cveni binebi da nagebobebi aRWurvilia espanuri da frangulI warmoebis keramikuli filebiT, santeqnikuri mowyobilobebiTa da furnituriT; germanuli warmoebis aluminis gare kar-fanjariT; kanaduri warmoebis naturaluri xis parketiTa da italiuri warmoebis CaSenebuli samzareuloTi. BOSCH/CANDY - is brendis macivariT, gazquriT, gamwoviT, sarecxisa da WurWlis manqanebiT. N1 brendis - OTIS warmoebis liftebiT.

■ **უსაფრთხო გარემო** - sacxovrebeli nawilis ezo izolirebulia da Caketilia sazogadoebrivi kompleqsisgan. swored amitom, Tqven SegiZliaT mSvidad iyoT, rodesac Tqveni SvilisaTamaSod marto Cava ezoSi.

24 saaTiani dacvis samsaxuri da video domofonebi Tqvens mSvid Zilsa Tu sasiamovno dasvenebas uzrunvelyofs.

qalaqis eleqtro da wyalmomaragebis mTliani paralizebac ki ar imoqmedebs Tqvenze. kompleqsis sageneratoro, uzrunvelyofs liftebis, avtofarexis, Tqveni binebis avariul ganaTebas, sadarbazoebisa da dacvis sistemis uwyvet eleqtromomaragebas. sacxovrebeli da sazogadoebrivi kompleqsi aseve uzrunvelyofilia uwyveti wyalmomaragebiT.



დასრულებული ბინები და ოფისები www.bcv.ge



ევროპული სტანდარტების ბინები
და A კლასის ბიზნეს ფართები
**დასრულებული რემონტით**

ბინები ბარდება 2008 წლის ოქტომბერში



**BCV**
**ALL INCLUSIVE**



**BCV ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე**

შეიძინეთ დღესვე, სექტემბრიდან ფასები იზრდება



ვაჟა ფშაველას №71. ტელ.: 32 8118 / 32 1099 მობ.: (877) 222788 (877) 599998

# სარეკლამო კომპანია

# სტილი

გთავაზობთ:

- გარე რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ვიდეო რეკლამის დამზადება და განთავსება;
- პროექტირება, მშენებლობა, დიზაინი.

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

არქიტექტურულ-დიზაინერული ჟურნალი "სტილი" კვლავ აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

კომპანია "სტილი" მწუხარებას გამოთქვამს სტამბა "ომეგა თეგის" დირექტორის ზაზა ნადირაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.


**გამომცემელი** - კომპანია **სტილი** და დიმიტრი მოსულიშვილი
**დირექტორი** - ეკა ჯავახიშვილი
**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე
**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე, ლალი ბახტაძე, ქეთევან ოდიშელი (სპეც.კორ. ბერლინიდან)
**რეკლამა** - თათია გაბესკირია, ალისა შომახია, ქეთი მწარიაშვილი
**თარგმანი** - ნატა კურტანიძე
**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე
**დიზაინი** - გია ნოზაძე
**გაყიდვების მენეჯერი** - მირიან მარგალიტაშვილი

**PUBLISHER -** Company **STYLE** & Dimitri Mosulishvili
**DIRECTOR -** Eka Javakhishvili
**EDITOR -** Nino Lagidze
**INFORMATION -** Nino Lagidze, Lali Bakhtadze, Ketevan Odisheli (Special correspondent from Berlin)
**ADVERTISING -** Tatia Gabeskiria, Alisa Shomakhia, Keti Mtsariashvili
**TRANSLATION -** Nata Kurtanidze
**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze
**DESIGN** - Gia Nozadze
**SALE MANAGER** - Mirian Margalitashvili

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62



კომპანია "სტილი"
380079 თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 26
ტელ/ფაქსი: 22-27-26.
მობ: 877 44-86-00, 893 42-74-73

26 I.Abashidze Str., Tbilisi, Georgia, 380079.
Tel/fax: 22-27-26. Mob: 877 44-86-00

http://www.archistyle.ge
E-mail: style_inbox@mail.ru
inbox@archistyle.ge



CAPAROL
ნომრის სპონსორია
შპს „კაპაროლ-ჯორჯია“



სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს



BUREAU FOR INTERIOR DESIGN

www.artx.ge

ჩემი განწყობა, ჩემი ინტერიერი

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 23, ტელ: 25-02-65

## ქალაქი
## CITY


ქალაქის განვითარების სტრატეგია
**The Strategy of Urban Development** 14


თბილისის ჰაიატ პარკი
**Hyatt Park Tbilisi** 16


არქიტექტურული კონკურსი 20


ქალაქის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიუანსები
**Important Details of City Architecture** 24


სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია
**One Step From Love to Hatred…** 28

## სახლი
## HOUSE


ფინანსური ცენტრი
**Business Center** 31


საცხოვრებლის არქიტექტონიკა
**Residential Space Architectonics** 36


არქიტექტურული სპექტაკლი
**Architectonic Spectacle** 38


ციხე-სიმაგრე თანამედროვე ინტერპრეტაციით
**A Fortress in Modern Interpretation** 42

## უცხოური არქიტექტურა
## FOREIGN ARCHITECTURE


სტილის ესთეტიკა
**Aesthetics of Style** 48


პეის არქიტექტურა
**Ieoh Ming Pei** 54


საცხოვრებელი - ინტელექტუალურობის კრედო
**A House as an Accessory of Intellectual Lifestyle** 58


ჩეხეთის არქიტექტურული ანონსი თბილისში
**Czech Architecture Introduces Itself to Tbilisi** 68


ჟან ბოჩანი, პარტნიორები, კასუა
**Bochan & Partners, Casua** 70


იტალიის მილანი, მილანის ჯიანინო
**Milan, Italy – Giannino, Milan** 74

## ინტერიერი
## ITERIOR


მეტეხის ჩრდილქვეშ
**In the Shade of Metekhi** 78


კაშე
**CACHE** 82


ფრანგული ელეგანტურობა 86


საკურა 88


ბუფეტის რესპექტაბელური გარემო 90


ტოკიო 92


მშვენიერი კონკრეტულ მატერიად გარდაიქმნება 95


ტრანსფორმიზმი ინტერიერში
**Interior Transformism** 98


სივრცის ფუნქციური ორგანიზება
**Functional Organization of the Space** 102


ვინოსიმო 105


ისტორიული დეკორაცია
**Historical Decorations** 106


ელეგანტურობა დეკორში 108


იტალიური კომფორტი
Italian Comfort 110


ინტერიერული ესთეტიკა
Interior Aesthetics 118

ახალი ამბები
NEWS


ტიხრული მინანქარი ოქროს საწმისის ქვეყნიდან
Cloisonne Enamel from the Land of Golden Fleece 134


ფუნქციონალიზმის ესთეტიკა
Functionalism at Its Best 112


თანამედროვე კლასიკური
Modern Classical 123


ამერიკის გზისპირა არქიტექტურა
American Roadside Architecture 136


სტილი ინტერიერში
Style Identification Issues 114


თემა მოყვარულთათვის
A theme for amateurs 128


ზარაფხანის ზღაპრულ სამყაროში 138


სივრცის სწორად ორგანიზაცია 116

ისტორია
HISTORY


ქართველ მამლუქთა არქიტექტურა
Architecture of Georgian Mameluks 130

ვერნისაჟი
VERNISAGE


"ელენე ახვლედიანი - სურათები და ფოტოები კერძო კოლექციებიდან" 141





# არქიტექტურული პრემია 2007

კონკურსზე განიხილება ბოლო წლების არქიტექტურული პროექტები და ინტერიერები.

დაწვრილებითი ინფორმაცია, კონკურსში "არქიტექტურული პრემია 2007" მონაწილეობის პირობებისა და კონკურსის ნომინაციების შესახებ, იხილეთ ვებ-გვერდზე

www.archistyle.ge

CAPAROL




CAPAROL ყველა ფერი

# ემოციები, ინოვაციები, ტენდენციები

Caparol-მა კოლნში სპეციალიზირებულ გამოფენაზე „ფერი - მშენებლობა და ფასადები“ დიდი აღფრთოვანება დაიმსახურა.

კოლნში სპეციალიზირებულ გამოფენაზე „ფერი - მშენებლობა და ფასადები“ (Farbe Ausbau Fassade - FAF), რომელიც 18 - დან 21 აპრილამდე მიმდინარეობდა, Caparol-ი დიდი წარმატებით იქნა წარმოდგენილი. დევიზით „ემოციები, ინოვაციები, ტენდენციები“ გერმანიის საამშენებლო საღებავების უდიდესმა წარმომადგენელმა დამთვარიელებლები მოხიბლა და დააინტერესა პროდუქციის მრავალი სიახლითა და კომპეტენციით.

## ახალი განზომილებები SPECTRUM 3.0-ით




განსაკუთრებული ფურორის მოხდენისათვის იზრუნა ფერებისა და დიზაინის სტუდიამ (Farb-Designe Studio -FDS) - ხელმძღვანელი მარგიტ ვოლმერტი, - ერთ-ერთი თანამშრომლის, პეტრა რუნაუს მიერ წარმოდგენილი იქნა ახალი კომპიუტერული პროგრამა Spectrum 3.0, რომლის საშუალებითაც Caparol-მა კიდევ ერთხელ მნიშვნელოვნად გააფართოვა ფასადებისა და ინტერიერების ფორმირების პარამეტრები. DVD-ის მეშვეობით პირველად წარმოდგენილი იქნა ერთიანი სივრცის ფორმირება, რაც საღებავებისა და სტრუქტურების პარალელურად, ახლა უკვე მოიცავს უამრავ იატაკის მასალას, როგორებიცაა ხალიჩა, ლინოლეუმი და პარკეტი, მატერიებს ფარდებისათვის, ავეჯისათვის, ასევე შიდა სივრცის სხვადასხვა პროფილებს. ისეთ მწარმოებლებთან თანამშრომლობით, როგორებიცაა, Tarkett, nmc, dura და drapilux, ფორმირების სპექტრი 17.000 ზედაპირამდე იქნა გაფართოებული. გარდა ამისა, ვებ-გვერდზე www.spectrum3.eu მოცემულია მასალათა ონლაინ ბანკი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია Spectrum 3.0-ის მეშვეობით. აღნიშნულით უზრუნველყოფილია ის, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყოს როგორც კოლექციების აქტუალიზირება, ასევე მათი გამუდმებით შევსება. გარდა ამისა, კომუნიკაციის პლატფორმა დახმარებას გვიწევს ახალი გაფორმების პროგრამების პროფესიულ გამოყენებაში.

მას შემდეგ, რაც Spectrum 2.0-მა უცხოეთში დიდი მოთხოვნა გამოიწვია, გადაწყდა ახალი ვერსიის რამდენიმე ენაზე შექმნა, მათ შორის რუსულ და ინგლისურ ენებზე. როგორც FDS-ს ერთ ერთი დიზაინერი აღნიშნავს - „გაფორმების საკითხებზე ჩვენ Spectrum 3.0-ით ვსაუბრობთ 15 ენაზე“. აღნიშნულიდან გამომდინარე სულაც არ არის გასაკვირი, რომ DVD დისკზე მოცემული სურათები აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს. სურათების ბიბლიოთეკაში მოცემულია 150-ზე მეტი ახალი მოტივი თითქმის ყველა ევროპული ქვეყნიდან.

„პერსონალურ კომპიუტერზე პროგრამის საშუალებით შესაძლებელია ობიექტების ფერებით მთლიანი გაფორმება ან მასალათა კომბინირებული ზედაპირების ვიზუალიზირება. ბიბლიოთეკაში მოცემული საკუთარი ფოტოები, ასევე სურათები ფოტორეალისტურადაა დამუშავებული“, განმარტავს მარგიტ ვოლმერტი: „3D-Studio Planer-ის მეშვეობით შესაძლებელია სივრცეების კონსტრუირება და მათი სურვილისამებრ ფორმირება. გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ ფორმირების რომელი ვარიანტები უნდა იქნას საბოლოოდ შერჩეული, გაადვილებულია პრეზენტაციის ახალი შესაძლებლობების მეშვეობით. ასე რომ შესაძლებელია ეკრანზე ერთდროულად წარმოდგენილი იქნას ორიდან ოთხ პროექტამდე ან ერთმანეთის მიყოლებით ნაჩვენები იქნას ნებისმიერი რაოდენობის სურათები“.

## წამყვანი ტექნოლოგიები ფასადებისათვის

წამყვანი ტექნოლოგიები ფასადების ფერების სფეროში SilaClean, რაც გამოფენის სიახლეს წარმოადგენდა, წარმოდგენილი იქნა პროდუქციის მენეჯერის დოქტ. შტეფან კაირისის მიერ. Caparol Clean Concept-ის ფარგლებში შექმნილი საღებავები ერთმანეთთან განუმეორებლად აკავშირებს ნანოსტრუქტურის, კაპილარჰიდროფობიისა და ფოტოკატალიზის დადებით მხარეებს. სპეციალური NanoHybrid-ფორმულის მეშვეობით შესაძლებელი ხდება იმგვარი შრეების დადება, რომლებიც - როგორც Caparol Clean Concept-ის პროდუქტებისთვისაა დამახასიათებელი - მრავალი წლის განმავლობაში სისუფთავესა და სიგლუვეს ინარჩუნებს. „NanoHybrid-ტექნოლოგიების საშუალებით ერთმანეთს უკავშირდება სილიკატური და ორგანული შემადგენელი ნაწილები“, განმარტავს დოქტ. კაირისი: „ორივე კომპონენტის აბსოლუტურად ერთგვაროვანი განაწილებით მიიღება განსაკუთრებით ხელსაყრელი თვისებების მრავალფეროვნება, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება დაჭუჭყიანების ძალზე დაბალი ხარისხი, მინერალური საღებავების სიმტკიცე და ხანგრძლივი მდგრადობა, ასევე დისპერსიული საღებავების დაცარცვაზე მდგრადობა - ყოველივე ეს წარმოადგენს შესანიშნავი დამუშავებით უზრუნველყოფილ თვისებებს“. ამასთანავე ახალი მასალების საშუალებით შესაძლებელია უჩვეულოდ მაღალი ხა-



რისხით იქნას განახლებული ძველი სილიკატის საღებავები, გლუვი დისპერსიული საღებავები და დაუზიანებელი თბოიზოლაციის სისტემები. იზოლირებული ფასადებისათვის შექმნილმა ახალი Caparol-ის სერიამ წარმოუდგენელი გაკვირვება გამოიწვია. ოთხი მეტრის სიმაღლიდან ერთი კილოგრამი სიმძიმის ლითონის ბურთულა ჩამოვარდა იზოლაციაზე, ისე რომ მას არანაირი კვალი არ დაუტოვებია. დამთვალიერებელთა გაკვირვება კიდევ უფრო დიდი გახდა მაშინ, როცა პროდუქციის მენეჯერის კლაუს ჰარტმანის მიერ განმარტებული იქნა ახალი მაღალტექნოლოგიური დაცვა. „კარბონის ბოჭკოები ამჟამად არა მხოლოდ ფორმულა-1-ის ავტომობილების ძარებს ხდის დარტყმისადმი მდგრადს და ტენისის რაკეტებს ელასტიურს. გაზრდილი შესაძლებლობების მაღალტექნოლოგიური მასალებით შესაძლებელია გაზრდილი იქნას ასევე ფასადების თბოიზოლაციის გამძლეობაც. კარბონის სერიით Caparol-მა ბაზარზე შემოიტანა სისტემა, რომელიც მაქსიმალურად ზრდის თბოიზოლაციის სისტემების დაჯახებისა და დარტყმისადმი მდგრადობას. კარბონის სერიაში ერთმანეთთან ჰარმონიზირებული არმატურის, ზედაპირის მოპირკეთებისა და ფერების კომპონენტები მაღალტექნოლოგიური ბოჭკოებით არის აღჭურვილი“, მოგვახსენებს ჰარტმანი: „აღნიშნულის საშუალებით იზრდება ისეთი მექანიკური დაზიანებებისადმი მდგრადობა, როგორებიცაა სეტყვა, ყოველდღიური მცირე დარტყმები, ველოსიპედის მირტყმა ან უნებლიედ ბურთის მოხვედრა, არ ტოვებენ არანაირ კვალს. ამგვარად იზოლაცია ათწლეულების განმავლობაში უსაფრთხოდ ინარჩუნებს თავის ფუნქციას“.

## ესთეტიკა ხმაურის წინააღმდეგ

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო Caparol-ის მიერ შემუშავებული Capacoustic-Metapor-ის ელემენტები. ისინი გარანდვისა და სამღებრო სახელოსნო სამუშაოებს ახალ სამოქმედო ასპარეზსა და ახალი ფორმირების საშუალებებს უხსნიან, რაც მდგომარეობს შენობებში ხმაურის დონის მნიშვნელოვნად შემცირებაში. აკუსტიკური ელემენტები შედგება მელამინის ფისის ნედლეულისაგან და გააჩნია ღია, უჯრედოვანი სქემის სტრუქტურა. ამგვარი გზით უზრუნველყოფილია ხმაურის ჩახშობა და თბოიზოლაცია. მათი ფორმისა და სისქის თვალსაზრისით არსებობს მოცემული ელემენტების მრავალი ვარიანტი. მათთვის ნებისმიერი ფორმის მიცემა შესაძლებელია საღებავის ფენის მეშვეობით. ძალზედ მარტივი და სწრაფი დამუშავება, ასევე მცირე წონა ხაზს უსვამს მათი მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობებს. მრავალგზის გამოკვლევის საფუძველზე დადასტურებული იქნა, რომ ელემენტების საღებავით შეღებვით არანაირი უარყოფითი ზეგავლენა არ ხდება მათი აბსორბციის უნარზე.







# ინოვაციური მასალები ინტერიერის დიზაინისთვის

Caparol-მა წელსაც არ უღალატა თავის ტრადიციას და სტენდთან მისულ უამრავ დამთვარიებლებს ახალი მასალები წარუდგინა ინტერიერის დიზაინისთვის. დამთვალიერებლები ეცნობოდნენ, თუ როგორ ხორციელდება ფერთა ტონებისა და მასალების კომბინაციით სივრცის ზედაპირისათვის კრეატიული მრავალფეროვნების შექმნა. ამასთან პროდუქციის მენეჯერის ერნსტ ჰიუბნერის მიერ FantaasticFleece-ის მეშვეობით წარმოდგენილი იქნა ზედაპირის ახალი ტექნიკა, რომლის რაფინირებული სტერეოსკოპიული ეფექტი და გამჭვირვალე შრეები განუმეორებელ ოპტიკას გვთავაზობს. ჰიუბნერი: „მოცემული სპეციალური მინის ფირფიტების ზედაპირი სხვადასხვა ნიმუშების სტრუქტურებში თეთრი ფერით არის მოცემული. თორმეტი ნიმუში გვთავაზობს მათი ფორმირების არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს, მას შემდეგ რაც შეიღებება ტონირებული Caparol Deco-Lasur-ით. შთამბეჭდავი სტერეოკოპიული ეფექტი წარმოიქმნება ახალი მინის ფირფიტების Fantaastic-Fleece-ის დიფერენცირებული შემწოვი აქტივობით“. ინდივიდუალურად ფორმირებადი FantaasticFleece წარმოადგენს კრეატიულ პასუხს კედლების სტანდარტულ გაფორმებაზე, ამბობს ჰიუბერი: „თითოეული ზედაპირი წარმოადგენს ხელით დამზადებულ ორიგინალს და ხაზს უსვამს მოცემული მასალისა და ტექნიკის განუმეორებელ ხასიათს“.









ისევე როგორც კაპაროლის ჯგუფმა ასევე კაპაროლ ჯორჯიამაც არ უღალატა ტრადიციას და მონაწილეობა მიიღო ყოველწლიურ გამოფენაზე Caucasus Build 2007, 16 მაისიდან 19 მაისამდე. კაპაროლმა თავის სტენდზე დამთვალიერებლებს მრავალი სიახლე წარუდგინა როგორც ინტერიერის ასევე ექსტერიერის მოპირკეთების სფეროებში. დამთვარიებლების განსაკუთრებული ყურადღება ინტერიერის დეკორატიულმა დანაფარებმა მიიქცია, რომელთა მრავალფეროვანი ნიმუშები და დატანის ტექნიკა ადგილზევე იქნა ნაჩვენები კაპაროლის ტექნოლოგების მიერ. წარმოდგენილი იყო ასევე კაპაროლის მიერ განხორციელებული პროექტები, როგორც ფასადები ასევე ინტერიერები. სტენდთან მოსულ დამთვალიერებელს კაპაროლმა სიურპრიზი დაახვედრა, ყოველ დღე კაპაროლის სტენდთან იმართებოდა ბოდი არტი რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა დამთვალიერებლებს შორის. მთლიანობაში სტენდთან ინფორმაციული სასიამოვნო და სანახაობრივი განწყობა შეიქმნა. კაპაროლი უკვე შემდეგი გამოფენისთვის ემზადება და კიდევ უფრო ინოვაციურ სტენდს გეგმავს დამთვალიერებლებისთვის.







## სიახლე

## ახალი პროდუქტი - მეტი შესაძლებობა – მეტი ფერი

ივლისიდან ჩვენს ასორტიმენტს ორი ახალი პროდუქტი შეემატება Premiumlatex 3-ის და Fassadenweiss-ის გამჭვირვალე ბაზები (ბაზა 3), რაც საშუალებას მოგცემთ მიიღოთ ნებისმიერი **მუქი და ინტენსიური ტონი**, ადგილზე შეფერადებით კომპიუტერული სისტემით ჩოლორ ხპრესს. Alpina Premiumlatex 3 - მოხეხვისადმი მედეგი ინტერიერის ლატექსური საღებავი განკუთვნილია შიდა სამუშაოებისთვის, უძლებს მაღალ დატვირთვას, აქვს ძალიან კარგი დაფარვის უნარი, ფერადდება მუქ ტონებში, იდეალურია მინაქსოვილების შესაღებად. Fassadenweiss Base 3 ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედებისადმი მედეგი და მაღალი დაფარვის უნარის მქონე, ცვეთამედეგი ფასადის საღებავი.

ქალაქი
CITY



# ქალაქის განვითარების სტრატეგია

ინტერვიუ ქალაქის ურბანული დაგეგმარების უფროსთან,
ქალაქის მთავარ არქიტექტორთან
ბატონ მანუჩარ მახათაძესთან

**– ბატონო მანუჩარ, ქალაქის ტერიტორიების მაღალეფექტურად გამოყენების გადასაწყვეტად, მნიშვნელოვანი ამოცანებია გადასაჭრელი. საინტერესოა თქვენი აზრი ქალაქის განაშენიანების განვითარების შესახებ.**

- ქალაქის სივრცითი მოწყობის გეგმასთან დაკავშირებით წელიწადზე მეტია მუშაობს ქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახური, ხვეწს დავალებას - დოკუმენტს, რომელიც ქალაქის განვითარების სტრატეგიად უნდა ჩამოყალიბდეს. არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ რამდენჯერმე გამოცხადდა ტენდერები და კონკურსები თბილისის სხვადასხვა რაიონების სივრცითი განვითარების წინასაპროექტო კვლევის პროგრამის შესაქმნელად. 2005 წელს გაიმარჯვა ორმა კომპანიამ, რომლებმაც ამ სამუშაოში მიიღეს მონაწილეობა. მათი კვლევის შედეგი სახეზეა - გეოსაინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით დამუშავდა განვითარების დაწვრილებითი გეგმები, აღნუსხულია ქალაქში არსებული შენობა-ნაგებობები, მათი ფუნქციური დატვირთვა, საკომუნიკაციო (მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა) სისტემები, არსებული ხიდები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. პარალელურად, გეოსაინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ძალისხმევით, ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაო - აღირიცხა ძეგლთა და ძეგლის ნიშნის მატარებელი შენობები თბილისში. გარდა ამისა, მოვახდინეთ თბილისში არსებული (დაარქივებული) წითელი ხაზების დეგიტალიზაცია. ყოველივეს ფონზე, დღესდღეობით, ჩვენ ვფლობთ მნიშვნელოვან ინფორმაციას ქალაქის ტერიტორიების, მისი ცალკეული უბნების შესახებ. ახლო მომავალში იგი საჯარო რეესტრის მონაცემებით, უფრო სრულყოფილი გახდება და ყოველი მონაკვეთი ზუსტად იქნება რეგისტრირებული. მეტად მნიშვნელოვანია, ის ფაქტიც, რომ ჩვენი სამსახური, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან „გეტეცე"-სთან ერთად გარკვეული პერიოდი მუშაობდა დავალების შედგენაზე, რაც ფაქტიურად დასრულდა.

აპრილის დასაწყისში, ჩვენ გამოვაცხადეთ კონკურსი თბილისის გენგეგმის სივრცით მოწყობაზე. კონკურსში რამოდენიმე კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. კონკურსის შედეგები, განსახილველად, ეკონომიკის სამინისტროში გადაიგზავნა, სადაც დაზუსტდება, რამდენად აკმაყოფილებს წარმოდგენილი პროექტები კონკურსის მოთხოვნებს. ამის შემდეგ, მათ განიხილავს კომისია და გამარჯვებული მაისის თვის ბოლოს გამოცხადდება. ფაქტიურად, ამავე პერიოდში დაიწყება კონკრეტული მუშაობა ახალი დავალებით და სავარაუდოდ რვა თვეში - 2007 წლის ბოლომდე გავალთ შედეგზე.

სამუშაო შესრულდება ეტაპობრივად. ყოველი ეტაპი მოიცავს ორთვიან ბიჯს, რომელიც საკუთრივ ორკვირიან ინტერვალებად დანაწილდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ორ კვირაში გამარჯვებულმა კომპანიამ, უნდა მოგვაწოდოს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

ცნობილია, აგრეთვე, რომ ძველი თბილისის გამგეობა აცხადებს კონკურსებს ისტორიული უბნების - როგორც არქიტექტურული, ასევე საკომუნიკაცი ქსელების მოსაწესრიგებლად. მოგეხსენებათ, რაოდენ სავალალო მდგომარეობაშია ძველი თბილისის მიწისქვეშა ინფრასრუქტურა. რა თქმა უნდა, კონკურსების შედეგების შემდგომ, არსებული მდგომარეობის რეაბილიტაციის პროცესი ეტაპობრივ ხასიათს მიიღებს და ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელდება.

ახლახანს მოწვეულ გაერთიანებულ საბჭოზე განსახილველად გამოტანილი იქნა თბილისის ცალკეული ტერიტორიები - რამოდენიმე კომპანია სერიოზულად დაინტერესდა „სოლოლაკში" არსებული კონკრეტული მონაკვეთებით. საბჭოს გადაწყვეტილებით ამდაგვარი საკითხები კონკურსების სისტემით გადაიჭრება - ადგილი არ ექნება ქაოტურ განაშენიანებას. კონკურსის ჩატარებამდე კი კომპანიები გაერთიანდებიან, ჩატარდება ტერიტორიის კვლევა, დაიწერება დავალება. იდენტური მდგომარეობაა უშანგი ჩხეიძის ქუჩასთან მიმართებაში. კომპანიებმა გამოთქვეს სურვილი მათი ერთიანი ძალისხმევით მოხდეს ქუჩის აღდგენა-განაშენიანება, მითუმეტეს, რომ, ამ კონკრეტულ ტერიტორიასთან დაკავშირებით, უკვე სერიოზული კვლევაა ჩატარებული და დავალება დაპროექტებისათვის დამტკიცებულია. არსებული დავალების საფუძველზე კი მენაშენეები, განაშენიანების საუკეთესო ვარიანტის შესარჩევად, კონკურსს გამოაცხადებენ.

**– თბილისის ქალაქგეგმარებით რუქაზე პრობლემატური ლაქები დაფიქსირდა. შესაძლებელია უგულველყოთ ეს პრობლემა?**

- ქალაქმშენებლობით პროცესში ეს ლაქები მტკივნეულ უბნებად რჩება. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი შენობებით, ნაწილი კი „ბარაკებითაა" გადატვირთული. მათი დანგრევა უკვე გამორიცხულია და აბსურდია. გამოსავალი ერთია - არსებული განაშენიანება გარედან „შევმოსოდ" მაღალხარისხიანი შენობებით, ღირშესანიშნავი ფასადებით. მინიმუმამდე დავიყვანოთ მშენებლობის პროცესი, დავარეგულიროთ გზები და მაქსიმალურად გავამწვანოთ დარჩენილი ტერიტორია.

ქალაქის არქიტექტურის სამსახურმა მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში მშენებლობის შემთხვევაში მიიღო გადაწყვეტილება, თითოეული შენობის მოცულობა უმჯობესია სიმაღლეში გაიზარდოს, რათა ნაკლებად მოხდეს განაშენიანებით ტერიტორიის გაჯერება.

**– რიყის ტერიტორიის განაშენიანებისათვის პროექტის შესაქმნელად კონკურსი იქნა გამოცხადებული. როგორია კონკურსის შედეგები?**

- რიყის ტერიტორიის მოსაწყობად დახურული ტიპის კონკურსი ჩატარდა. კონკურსში საერთაშორისო დონის ცნობილმა არქიტექტორებმა მიიღეს მონაწილეობა და მეტად საინტერესო, ინოვაციური წინადადებები და პროექტები წარმოადგინეს. თუმცა, ამ ეტაპზე განაშენიანების პროექტის საბოლოო ვარიანტი არ დაკონკრეტებულა. ყოველივე, ჯერ, ისევ იდეის, კონცეფციის დონეზეა მოცემული. საკითხი ახლო მომავალში გადაწყდება.

**– სატრანსპორტო პრობლემა ქალაქში, ძირითადად მის ცენტრალურ რაიონებში აუცილებელ, კარდინალურ ცვლილებებს მოითხოვს. როგორ განხორციელდება იგი?**

- ქალაქის სივრცითი მოწყობის გეგმასთან დაკავშირებით დავალების შედგენისას, უდიდესი ყურადღება ექცეოდა სატრანსპორტო სქემისა და მისი ანალიზის შესწავლას. ჩვენი სამსახური განსაკუთრებული დატვირთვით სწავლობდა კონკრეტულად იმ კვანძებს, სადაც ყველაზე ხშირია „საცობების" შექმნის საშიშროება. გამოცდილი სპეციალისტების მიერ, ამ კუთხით, უკვე მნიშვნელოვანი დასკვნებია მიღებული. გარდა ამისა, 2006 წელს, გერმანიიდან - „კაიზერსლაუტერნის" უნივერსიტეტიდან მოწვეული გვყავდა სპეციალისტები, რომლებიც მხოლოდ სატრანსპორტო პრობლემების გადაწყვეტით არიან დაკავებულნი. მათ გადავეცით ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია. უცხოელმა კოლეგებმა სერიოზულად იმუშავეს ამ საკითხზე და არსებული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტები გამოგვიგზავნეს. მათი მონაცემები დავალებაშია ჩადებული და მალე შედეგს გამოიღებს.

**– ბატონო მანუჩარ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიწის მესაკუთრეს, მერიის არქ. სამსახურის მიერ, ეკრძალება თავისი ტერიტორიის გამიჯვნა და შემდგომში, სურვილისამებრ, მისი გაყიდვა-გასხვისება. საზოგადოებისათვის საერთო სურათი მოცემულ თემაზე, მეტნაკლებად ბუნდოვანია. განგვიმარტეთ საქმის ვითარება უფრო დეტალურად.**

- ინფორმაცია, არასწორად იქნა გაგებული. მოგეხსენებათ, ჩვენთან გახშირდა მსგავსი პრეცედენტები, რაც, ვფიქრობ არასწორია და დროზე უნდა აილაგმოს. განვიხილოთ ეს პროცესი უფრო დეტალურად - მაგალითად, პიროვნება, რომელიც, ვთქვათ, ფლობს საკუთრებაში 400-450 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთს მასზე არსებული საცხოვრებელი სახლით, მიჯნავს შენობისგან თავისუფალ ტერიტორიას და არეგისტრირებს მას რეესტრში, როგორც ახალ ნაკვეთს. ფაქტიურად, არსებული ნაკვეთის გაყოფით ვიღებთ ორ, 200 კვ.მ, ან ხშირ შემთხვევაში 130-150 კვ.მ ფართის მქონე ნაკვეთ-

ებს. ახლადგამომცხვარ ნაკვეთზე, რასაკვირველია შენობა აშენდება, მაგრამ ამ შემთხვევაში, მიწის რესურსი მთლიანად გამოიყენება - მას არ ექნება თავისუფალი მიკროგარემო, ეზო. ამ ქმედებით, ფაქტიურად გაუფასურდება მიწის ღირებულება და მიზერულ მიწის (ხშირ შემთხვევაში) ნაკვეთებზე ქაოტურ განაშენიანებას ექნება ადგილი. სწორედ ამ პროცესების წინააღმდეგ წამოიწყო, ჩვენმა სამსახურმა კომპანია. თუმცა ოფიციალური დადგენილება ჯერ არ არსებობს. იგი დამუშავების პროცესშია. საჭიროა სწორი, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება. მსგავსი პრობლემების დასარეგულირებლად კი აუცილებელია არქ.სამსახურისა და საჯარო რეესტრის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა.

რეესტრი, მიწის გამიჯვნამდე, კარგად უნდა გაერკვეს არსებულ, კონკრეტულ სიტუაციაში. უარი უთხრას მიწის მფლობელს კუთვნილი ტერიტორიიდან ნაკვეთის გამოყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორია, მისი ფართის სიდიდის მიუხედავად, მასზე არსებული შენობით, პიროვნების მფლობელობაში არქ.სამსახურის მიერ არის დამტკიცებული. წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები ექმნება, როგორც არქ.სამსახურს, ასევე რეესტრს და რაც მთავარია გამიჯნული მიწის ახალ მფლობელს.

ჩვენი სამსახური მალე დაარეგულირებს ამ საკითხებს, რათა მომავალში არ გაგრძელდეს მანიპულაციები ქალაქის ტერიტორიების დაყოფა-გამიჯვნასთან დაკავშირებით.

**– ქალაქი საგრძნობლად გამოცოცხლდა. მიმდინარეობს მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციები. დაგეგმილია ახალი მშენებლობები. კონკრეტულად, რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

- რუსთაველის გამზირზე, როგორც იცით, დაწყებულია ისტორიული შენობების რესტავრაცია. მეცნიერული კვლევით, მაღალ დონეზე დამუშავდა გამზირის მარჯვენა მხარის დეტალური პროექტი. მალე დაიწყება აღმაშენებლის გამზირის რეკონსტრუქცია. ქალაქპროექტის გამოცდილმა სპეციალისტებმა ცალკეულ, მტკივნეულ უბნებზე, აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად, რამოდენიმე ოპტიმალური ვარიანტი შემოგვთავაზეს და მათ ფონზე, პარალელურად მიმდინარეობს წერტილოვანი (ცალკეული ისტორიული მნიშვნელობის შენობის) სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ცირკის შენობის უკან, სასტუმროების ბრენდი „ჰაიატი“ აშენებს ახალ კომპლექსს - სასტუმროს და საოფისე შენობას. ჩვენთან მიმდინარეობს პროექტის შეთანხმება-დამტკიცების პროცესი, რომლის საფუძველზეც 40 სართულიანი ცათამბჯენები - მეტად ძვირადღირებული ობიექტები რეალიზირდება.

კომპანია „კემპინსკის“ ძალისხმევით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უკვე გასხვისებულ შენობაში, მისი რეკონსტრუქციის შემდგომ სასტუმრო განთავსდება. სასტუმროდ გარდაიქმნება ყოფილი „იმელის“ შენობაც, თუმცა ორივე შემთხვევაში ექსტერიერი ძირითადათ უცვლელი დარჩება.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია დაგეგმილი ქუჩის დიზაინის გასამრავალფეროვნებად. ქალაქის ქონების მართვის სამსახური აცხადებს კონკურსს ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების ჯიხურების დიზაინის საუკეთესო ვარიანტის შესარჩევად და მალე ქუჩები ახალი ფორმებით და ფერებით, კიდევ უფრო გამოცოცხლდება.

ესაუბრა ნინო ლაღიძე

# The Strategy of Urban Development

*Interview with Manuchar Makhatadze,*
*Head of Urban Development Department of Tbilisi*

**Can you please share with us your vision of Tbilisi development, considering the various aspects, connected with efficient solution of urban development issues?**

Urban Development Department has been working on development of Tbilisi area for over the year now – their current task is to develop a master plan, which is going to become the key strategy of city development. Various structures of City Municipality are researching different parts of Tbilisi, registering constructions, architectural monuments and facilities, underground communication systems, bridges and other important sites existing in the city have been registered and sorted according to functions, delimiting and digitizing land boundaries. Due to the immense efforts, applied by all the stakeholders, we currently possess comprehensive information on the city and its different districts. In the near future, the information obtained from the Public Registry of Tbilisi will help us enrich these data.

Another important news is that in the near future competitions on architectural reconstruction of historical districts of the city will be announced.

On the other hand, several areas of Tbilisi cause interest of realty development companies. To eliminate chaotic architectural development, we have decided to systemize this commercial interest through a complex system of preliminary research process and architectural competitions, which will allow to satisfy all the stakeholders and identify the best options of city development.

**What is your approach to the problematic areas on Tbilisi development map?**

Within the current process of city development, the high-density construction areas remain an unsolved problem. The general policy of city office of architecture as regards densely populated districts will be to minimize the ongoing construction process and / or support "vertical increase" of construction areas, repair access roads and communications, take care of landscaping on the remaining territory in order to preserve the environment.

**What are the results of the competition on Rike area development?**

The competition on Rike area development was a closed one. It was conducted with participation of international level architects, who offered very interesting, innovative ideas and projects. However, the final project of Rike area development has not been approved as yet. At the time being, we only have a concept, a general idea, but the issue will be finalized in the nearest future.

**The problem of traffic, especially acute for the central parts of the city, probably requires certain crucial changes. What will be your response to this issue?**

While creating an assignment on spatial development of Tbilisi, we paid a great deal of attention to the analysis of existing transport communications network. Our office closely studied the areas around which occurrence of traffic jams is most frequent and took certain steps toward identification of solutions to this problem. Besides, in 2006 we invited experts from Kaiserslautern University, Germany, who worked specifically on the traffic-related issues. Foreign experts evaluated the existing information and came back to us with several possible solutions, implementation of which we included into our agenda and which will, hopefully, give a desired result very soon.

**It became known that City Office of Architecture intends to impose restrictions on provisional division and sale of existing land plots. I do not think that the public has a clear picture of this issue. Can you please give us your comments thereupon?**

As you know, the frequency of land plot splitting has increased considerably, which, as we believe, is damaging and should be restricted in a good time. Let us take a closer look at this process – e.g. an individual, owning a 400-450sq.m. piece of land with a house sitting on it, registers the free part of his land separately in the Public Registry. The newly-created plot would surely be used for construction, and there is nothing wrong in an intention to create a new building, but considering the restrictedness of available area, the land would be used fully, and there would remain no free space on the site. Such actions basically bring down the cost of land and, as it happens in most cases, cause chaotic construction on minuscule land plots. It is against this tendency of space-devouring that our Office has started to struggle. However, there have been no official regulations passed on the issue – the work is still underway, because the decision, taken by relevant authorities should be efficient and consider the interests of all stakeholders.

Such problems cannot be solved without close cooperation between the City Office of Architecture and the Public Registry – the Registry should not issue permissions on land splitting without having previously studied the background, so as not to create pretext for further complications.

**A couple of words about the current large-scale reconstruction activities, going on in the city and the new construction projects, which are most likely to enliven the image of our capital…**

As you know, reconstruction of several historical buildings is now going on in Rustaveli Avenue – the right part of the avenue has been subjected to a detailed scientific research, which resulted in a high-quality project. We are going to start the same process in Agmashenebeli Avenue. Experts from Urban Planning Office have offered us projects for reconstruction of several other problematic areas. These projects are now being finalized, but in the meantime we are conducting 'pinpoint' reconstruction of various historical buildings.

On the right bank of Mtkvari river, behind the Circus, Hyatt Network plans to start construction of a new hotel / business complex. We are now finalizing negotiations on the relevant project, implying construction of two very impressive (both as regards construction costs and technologies) 40-level buildings.

Due to the efforts of Kempinski Company, the former office of the Ministry of Agriculture will be reconstructed and transformed into a hotel. Another hotel will be housed in the former Marx, Engels and Lenin Institute, though in both cases exterior of the buildings will be preserved almost intact.

We have planned several important changes, aiming at diversification of street design. City Office of Property Management announces competitions on design of bus stops, retail sales outlets and other outdoor constructions, so that very soon the streets of Tbilisi will become more diverse, more colorful and more lively.

INTERVIEWED BY NINO LAGHIDZE



# თბილისის ჰაიატ პარკი

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ცირკის შენობის უკან, სასტუმროების ბრენდის HYATT-ს მიერ ახალი კომპლექსის - სასტუმროსა და საოფისე - ბიზნესცენტრის შენობების აგება იგეგმება. მისი ავტორები კომპანია BBG-ს (BRENNAN BEER GORMAN) არქიტექტორები არიან. საქართველოს მხრიდან არქიტექტორ-კოორდინატორი გახლავთ გოგი სულაბერიძე. მიმდინარეობს პროექტის შეთანხმება-დამტკიცების პროცესი თბილისის არქიტექტურის სამსახურთან, რომლის საფუძველზეც 40 სართულიანი ცათამბჯენები - მეტად ძვირადღირებული ობიექტები რეალიზდება.

კომპლექსი მოიცავს ორ ძირითად ცათამბჯენს. მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური ნაგებობა, ერთგვარ ქალაქის მერკანტულ ორიენტს წარმოადგენს. შენობის მოცულობა, მისი ვერტიკალების ფასადთა მოდულაცია მაღალი საზომის მასშტაბურობას და განსხვავებულობას ქმნის. მთლიანი არქიტექტონიკის დაყოფა გეომეტრიული შეჭრა-შემოჭრის პრინციპით ხორციელდება. ცათამბჯენების მინის გარსი ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფს შიდა სივრცეებს. ობიექტის მრავალფუნქციურობა aაქტიურებს გარემოს ურბანულ კონტექსტს და უდაოა, დედაქალაქის თანამედროვე უბნის იერსახეს მნიშვნელოვნად ჟღერადს გახდის.



















# Hyatt Park Tbilisi

A new HYATT complex, comprising hotel and business sections, will be built on the right bank of Mtkvari river, behind the Circus.
Authors of the design are BBG (Brennan Beer Gorman) architects; on the Georgian side, the initiative is coordinated by architect Gogi Sulaberidze.
The project, implying construction of a 40-storey complex, is now studied by the Architectural Office of Tbilisi. The project, consisting of two main high-rise constructions, is going to become one of the city landmarks, activating the urban context and enriching the existing architectural surroundings.



OSRAM
OSRAM
NEW LIGHT
ახალი ნათება
დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი,
ტელ: 59-65-96, 59-65-97, ფაქსი: 59-65-99
12 km. Agmashenebeli Alley
Tel: (995 32) 59-65-96, 59-65-97
Fax: (995 32) 59-65-99
E-mail: newlight.ge@yahoo.com
www.newlight.ge



# არქიტექტურული კონკურსი











საქართველოს დედაქალაქის - თბილისის ქალაქმშენებლობითი განვითარების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე სტრუქტურულ-გეგმარებითი საერთო-საქალაქო ცენტრის სისტემის საკვანძო ელემენტი, რომელიც ატარებს გააზრებული და აუცილებელი ინოვაციის განსაკუთრებულ ფუნქციას. ამ მიმართებით, საერთო-საქალაქო ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვანძია მეტროს სადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიწისზედა ვესტიბიულის მიმდებარე ტერიტორია.

აღნიშნული სივრცით-ტერიტორიული არეალი წარმოადგენს გლდანის საცხოვრებელი რაიონის ხაზოვანი ცენტრის საწყის ურბანულ კვანძს, სადაც თავმოყრილია მძლავრი ქალაქმაფორმირებელი საკომუნიკაციო ფუნქციები. ტერიტორიას ესაზღვრება, როგორც საცხოვრებელი ზონები, ასევე საქალაქთაშორისო ავტოსადგური, ბანკები, სხვადასხვა სიმძლავრის სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მომსახურების ობიექტები.

ქვეყნის ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბება- განვითარების პირობებში, ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით, აღნიშნულმა ტერიტორიამ განიცადა კერძო კაპიტალის არცთუ გააზრებული ზეგავლენა, თუმცა არსებულ სტიქიურ განაშენიანებაში არქიტექტურული იერსახით და სტრატეგიული მნიშვნელობის ფუნქციური დატვირთვით, უდაოდ გამოირჩევა მეტროს სადგურ „ახმეტელის თეატრის“ ზედა ვესტიბიულის ნაგებობა.

ფუნქციური, სემანტიკური, საინჟინრო და ზოგადად, კომპოზიციურ-ესთეტიკური თვალსაზრისით, ეს არეალი არ წარმოადგენს დასრულებულ ქალაქმშენებლობით კომპლექსს და საჭიროებს მსხვილმასშტაბიან რეკონსტრუქციას. ამიტომაც, დედაქალაქის საერთო-საქალაქო ცენტრის ამ უმნიშვნელოვანესი კვანძის მოწესრიგება-განვითარების პრობლემის გადაჭრა მეტად საშური არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი ამოცანაა.

ამ ამოცანის გადაწყვეტას ახლებურ იმპულსს ანიჭებს **მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის, შ.პ.ს. „სალხინო 93“-ისა და შ.პ.ს. „მუხიანის“** ერთობლივი ინიციატივა, რაც ქალაქგანვითარების დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ამა წლის 12 თებერვალს, გამოცხადდა ღია არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი კონკურსი ქ. თბილისში, მეტროს სადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიწისზედა ვესტიბიულის მიმდებარე ტერიტორიის სივრცით-კომპოზიციური განახლების კონტექსტში მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტზე.

კონკურსის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ღია შემოქმედებითი პაექრობის გზით, წინამდებარე „პროგრამა-პირობებით“ განსაზღვრული საკონკურსო ტერიტორიისთვის და არეალისათვის სივრცით-კომპოზიციური გადაწყვეტის მიღება; ამ გადაწყვეტის კონტექსტში, პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებული, საკონკურსო არეალის სივრცით-კომპოზიციური განახლების და **მრავალფუნქციური კომპლექსის საუკეთესო პროექტის გამოვლენა და ჟიურის რეკომენდაციის შემთხვევაში, მისი შემდგომი დამუშავებისათვის ქალაქმშენებლობითი დავალებისთვის აპრობირებული საფუძვლის შექმნა.**

საკონკურსო არეალში და მრავალფუნქციური კომპლექსის შემადგენლობაში გასათვალისწინებელი იყო გაშენების მაღალი ინტენსიურობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისთვის (სსზ; კ-1=0,8; კ-2=4,0;) „უფლებრივი ზონირების“ წესებით დაშვებული მრავალფუნქციური სახეობები.

**კონკურსის ორგანიზატორები იყვნენ:**

- **ქ. თბილსის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური;**
- **შ.პ.ს. „სალხინო 93“;**
- **შ.პ.ს. „მუხიანი“.**

კონკურსი იყო ერთტურიანი და სახელობითი. მასში მონაწილეობა მიიღეს დიპლომირებულმა არქიტექტორებმა და არქიტექტურის სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტმა.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ ჟიურის წევრებს და „სამსახურის“, შ.პ.ს. „სალხინო 93“-ს და შ.პ.ს. „მუხიანის“ თანამშრომლებს.

წარმოგიდგენთ კონკურსის ჟიურის წევრებს:

**მ. ახვლედიანი** - ქ. თბილისის ვიცე-მერი, ჟიურის თავმჯდომარე;

**მ. მახათაძე** - ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსი, ქალაქის მთავარი არქიტექტორი;

**თ. კოპალეიშვილი** - შ.პ.ს. “სალხინო 93-ს“ დირექტორი;

**რ. ჩხაიძე** - შ.პ.ს. „მუხიანის“ დირექტორი;

**ნ. ჩხაიძე** - არქიტექტორი;

**დ. მოსიაშვილი** - არქიტექტორი, კონკურსის პასუხისმგებელი მდივანი;

**გ. აბულაძე** - არქიტექტორი;

**ნ. ამირეჯიბი** - არქიტექტორი;

**ვ. ბახტაძე** - არქიტექტორი;

**ვ. ვარდოსანიძე** - არქიტექტორი-ურბანისტი;

**თ. ჯაფარიძე** - არქიტექტორი.

საუკეთესო საკონკურსო პროექტებისთვის დაწესდა შემდეგი პრემიები:

- ერთი პირველი პრემია - 12 000 ლარი;
- ერთი მეორე პრემია - 7 500 ლარი;
- ერთი მესამე პრემია - 4 500 ლარი;
- სამი წამახალისებელი პრემია, თითოეული - 1500 ლარი.

წარმოდგენილ პროექტებზე ჟიური 13-დან 24 ივნისამდე მუშაობდა, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

საკონკურსო მასალების საჯარო განხილვა შედგა 22 ივნისს, **კომპანია „არსის“** საგამოფენო დარბაზში, ხოლო კონკურსში გამარჯვებულთა ვინაობა გამოცხადდა 24 ივნისს.

წარმოგიდგენთ მათ:

ამრიგად, **წამახალისებელი პრემიები** მიენიჭათ:

- არქიტექტურის ფაკულტეტის დიპლომანტს, **უ. უჩავას** (კონსულტანტი - პროფესორი მერაბ ჩხენკელი);
- **გ. კერესელიძეს;**
- **გ. მიქიაშვილს, კ. მაჩაიძეს, გ, ნონიკაშვილს, გ. ბოკუჩვას, გ. გვანცელაძეს და ლ. მაჩაბლიშვილს.**

**მესამე პრემიის** მფლობელები გახდნენ: **დ. ახვლედიანი, ლ. დემეტრაშვილი, გ. თევზაძე და გ. კიღურაძე.**

**მეორე პრემია** მიენიჭათ: **ა. მეფარიშვილს და შ. დემეტრაშვილს.**

ხოლო **პირველი პრემია** მოიპოვეს **გ. ბერიძემ და ლ. დოლიძემ.**

კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, კონკურსის ორგანიზატორები გამარჯვებული პროექტების საფუძველზე განახორციელებენ საკონკურსო ტერიტორიის და მრავალფუნქციური კომპლექსის განვითარების შემდგომ ეტაპებს, სახელდობრ:

„სამსახური“ - შეადგენს შესაბამის ქალაქმშენებლობით დავალებას საკონკურსო ტერიტორიისათვის და საკუთრივ მრავალფუნქციური კომლექსისათვის. აგრეთვე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს სხვა კანონმდებლობით დადგენილ ქმედებებს.

შ.პ.ს. „სალხინო 93“ და შ.პ.ს. „მუხიანი“ დადგენილი წესით მოიწვევენ „ორგანიზატორების“ მიერ შერჩეული პროექტების ავტორებს საკონკურსო არეალისა და „მრავალფუნქციური კომპლექსის საოპროექტო დოკუმენტაციის დასამუშავებლად, შეადგენენ შესაბამის საპროექტო დავალებას და ქ. თბილისის მერიასთან, „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და რეგულირების წესების“ შესაბამისად, დაიდება „ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეკრულება“. ყოველივეს ფონზე, კი დაიწყება პროექტის რეალიზაცია.

ვუსურვოთ წარმატებები, მის ორგანიზატორებს, კონკურსის პრიზიორებს, დაწყებულ სასიკეთო საქმიანობაში, მომავალ ეტაპებზეც.



პირველი პრემია
გ. ბერიძე, ლ. დოლიძე



მეორე პრემია
ა. მეფარიშვილი,
შ. დემეტრაშვილი



მესამე პრემია
დ. ახვლედიანი, ლ. დემეტრაშვილი,
გ. თევზაძე, გ. კილურაძე













წამახალისებელი პრიზი: კახა მაჩაიძე,
გოჩა მიქიაშვილი, გიორგი ნონიკაშვილი,
გიორგი გვანცელაძე მიხეილ რამიშვილი,
ლუკა მაჩაბლიშვილი, გიორგი ბოკუჩავა



წამახალისებელი პრიზი:
უჩა უჩავა
კონსულტანტი:
ჩხენკელი მერაბი



წამახალისებელი პრიზი:
გ. კერესელიძე










ჩემს გვერდით
ჩემი ბანკია
27 27 27
www.tbcbank.ge
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ურთიერთმანეთს



# ქალაქის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიუანსები

არქიტექტურის აღქმა, პირველ რიგში ეს-თეტიკურ სიამოვნებას უნდა წარმოქმნიდეს, რასაც ქალაქგეგმარებითი ჩანაფიქრის მოცუ-ლობითობა, ობიექტისათვის ზუსტი ადგილის შერჩევა, კომპოზიციის სივრცობრივი წყობა, ტექნიკისა და ნაგებობის ფუნქციური სტრუ-ქტურის ახალი, პროგრესული სინქრონი გა-ნაპირობებს.

ნათქვამი ზედმიწევნით მიესადაგება, ამჟე-რად წარმოდგენილ, თბილისში განხორციელე-ბული ობიექტების - სავაჭრო ცენტრი დიღო-მში (2005-2006 წწ). მთ. არქიტექტორი: გიო-რგი ჭუმბურიძე. ავტორები: გოგი სულაბერი-ძე, რატი ხეცურიანი, გიორგი ჭუმბურიძე; სა-ცხოვრებელი კომპლექსი “პარკპლეის -1” – ჭა-ვჭავაძის გამზირი №78 (2005-2007 წწ). მთ. არ-ქიტექტორი: რატი ხეცურიანი, ავტორები: გოგი სულაბერიძე, გაგა კიკნაძე, შაქრი ქურ-დიანი, ირაკლი ვაჩეიშვილი, მიკა ყრუაშვილი, სანდრო რამიშვილი; ვაკის საცურაო აუზის რეკონსტრუქცია (2004-2005 წწ.). მთ. არქიტე-ქტორი: გოგი სულაბერიძე, ავტორები: სანდ-რო რამიშვილი, გოგი სულაბერიძე - არქიტე-ქტურულ-მოცულობით თუ გეგმარებით გადა-წყვეტას.

ცალკეულ შემთხვევაში, მათი მკაფიო სტრუქტურის მქონე ერთიანი ორგანიზმი გა-





რემომცველი, კონკრეტული განაშენიანების დომინანტია, მთელ სივრცეს კრავს და ამავე დროს თითქოს მასთანაა დაპირისპირებული. შენობათა ფორმა თავიანთ ფუნქციას არა იმდენად განახორციელებს, რამდენადაც გამოხატავს და მის შესახებ ავტორთა ხატოვან წარმოსახვას იძლევა. ექსტერიერთა მოცულობითი დიზაინი, ნაგებობის დანიშნილების სპეციფიკურობის აღქმა აძლიერებს და ჰაეროვნებას მატებს შიდა ვრცელ, დახურულ თუ ღია მოცულობებს.

მონუმენტურ ფორმებში შექმნილი ნაგებობების მკვეთრი დასამახსოვრებელი სახის მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიცია, ერთ შემთხვევაში თავისთავად დომინანტია, მეორეში კი ცენტრისადმი - ათვლის წერტილისადმი მიმართებით გადანაწილებულ მოცულობებზეა დაფუძნებული. მოცულობის წარმოჩენის თავისებური, პროფესიული ხედვა ნაგებობათა მთლიანობის, მძლავრი, მოქნილი სილუეტის განმსაზღვრელია. არქიტექტურული მასები თავიანთი პარამეტრებით, პროპორციული წყობით მთლიან მოცულობას განსაკუთრებულ გამომხატველობას ანიჭებენ. თანამედროვე მასალის ხარისხის გამოვლენისა და მათი კომპოზიციაში გამოყენების საშუალებით ერთიანად აღიქმება ნაგებობათა მატერიალურობა, სიმტკიცე, სიმსუბუქე - ქალაქის არქიტექტურულ პანორამაში საინტერესო ნიუანსები ჩნდება.

ნინო ლაღიძე





# Important Details of City Architecture

Perception of an architectural construction, its aesthetical value firstly depend on the scale of urban planning solution, selection of the site, spatial composition, integrity of technique and functional structure.

The above fully describes architectural and planning solution of the following projects, recently realized in Tbilisi: a trade center in Dighomi (2005-2006; chief architect – Giorgi Chumburidze; authors – Gogi Sulaberidze, Rati Khetsuriani, Giorgi Chumburidze), residential complex "Parkplace-1" in no.78 Chavchavadze Avenue (2005-2007; chief architect – Rati Khetsuriani, authors – Gogi Sulaberidze, Gaga Kiknadze, Shakri Kurdiani, Irakli Vacheishvili, Mika Kruashvili, Sandro Ramishvili), reconstruction of Vake Swimming Pool (2004-2005; chief architect – Gogi Sulaberidze, authors – Sandro Ramishvili and Gogi Sulaberidze).

Each project dominates and integrates the surrounding architectural background. Bulky but flexible exterior shapes not so much correspond to the purpose of this or that building as provide their artistic interpretation, highlight their function and render them even more expressive.

NINO LAGHIDZE



# PFT G4 – უკვე საქართველოში!

**PFT G4** სალესილე მანქანა №1 ევროპაში!

**PFT G4** - ლიდერი ევროპულ სალესილე მანქანებს შორის. მუშაობს ყოველგვარ მშრალ ნარევებთან, რომელთა დატანაც ხდება მანქანური წესით. **60 000**-ზე მეტი გაყიდული ეგზემპლარი უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.

**PFT G4** - გამოიყენება თაბაშირის, კირ-თაბაშირის, ცემენტის, კირ-ცემენტის სალესილე დუღაბების და საკალატოზო დუღაბის მოსამზადებლად და ზედაპირზე დასატანად, ასევე თვითნიველირებადი დასასხმელი იატაკების მოსაწყობად.






სარეკლამო გვერდი

შ.პ.ს. "კნაუფ მარკეტინგ თბილისი"
საკონტაქტო მისამართი:
გამრეკელის 19, 0160-თბილისი, საქართველო.
ტელ: 242503, 242503
ფაქსი: 242504
e-mail: info@knauf.ge

# სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია

თბილისის ნებისმიერ უბანში, ნებისმიერ ქუჩაზე, ნებისმიერი ასაკის, სოციალური ფენის, პროფესიის გამვლელი რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ, რომელი ქალაქი უყვარს ყველაზე მეტად, რომელი ქალაქია ყველაზე ლამაზი, თვითმყოფადი, კოლორიტული, განურჩევლად ყველა ერთი და იმავე პასუხს გაგცემთ - „თბილისი, რა თქმა უნდა, თბილისი!“

ჩვენ, ქართველებს გვიყვარს, მოგვწონს, გვეამაყება ჩვენი უძველესი დედაქალაქი. მას სიმღერებს, ლექსებს ვუძღვნით. სუფრაზე, როგორც წესი, მის სადღეგრძელოს ვსვამთ. ჩამოსულ სტუმარს სიამაყით ვათვალიერებინებთ, ძველ ნაწილში ვასეირნებთ, ქალაქის შესახებ არსებულ ლეგენდებს ვუყვებით. ჭეშმარიტი თბილისელობით თავი მოგვაქვს, ვტრაბახობთ და ეს „თბილისელობა“ ღმერთისგან ნაბოძებ განსაკუთრებულ პატივად, ბედნიერებად გვაქვს აღქმული. თითოეულმა ქართველმა ზეპირად იცის სიტყვები - „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო, უშენოდ სიცოცხლეც არ მინდა...“

არ გინდა და ნუ გინდა! თბილისი დღეს, სამწუხაროდ, ის ქალაქი აღარ არის, რომელსაც თავის დროზე ეს სიტყვები მიეძღვნა. სისტემას, დროს, დროით მოტანილ მოთხოვნებსა და გემოვნებით კრიტერიუმებს, ათასგვარ მთავრობებს მორგებულებმა, ჩვენ, ყველამ ერთად, თითოეულმა ჩვენთაგანმა წლების განმავლობაში, ეს, მართლაც რომ ულამაზესი და ჩვენთვის ვითომდა ასეთი ძვირფასი ქალაქი მეთოდურად, დაუნდობლად, დაუფიქრებლად, წინდაუხედავად, ნელ-ნელა, საკუთარი, პირადი ინტერესებიდან, მოგებიდან, უზნეობიდან ან თუ გნებავთ უკულტურობიდან გამომდინარე ვამახინჯეთ. უზარმაზარი, ერთი მეორეზე უსახური, ტიპიური საცხოვრებელი კვარტალები ვაშენეთ, რომლებსაც კარგა ხანი არაფერი ეშველება. ვანგრიეთ ძველი, უნიკალური უბნები, შენობები და მათ ადგილას „კანცელარია“, „რესპუბლიკის მოედანი“ თავისი „ივერიით“





და კიდევ უამრავი სხვა შენობა-ურჩხული წამოვჭიმეთ. ქართული კულტურისათვის სრულიად შეუფერებელი არაერთი საშინელი ძეგლი, ქანდაკება, დავიდგით. ისედაც მახინჯ, თბილისის სპეციფიკისგან ამოვარდნილ მრავალსართულიან კორპუსებს მივაშენეთ ლოჯიები, დავაშენეთ ქოხებივით მანსარდები, ინდივიდუალური გემოვნებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ფასადზე გამავალი კარ-ფანჯრები გამოვცვალეთ, ეზოები დაჟანგული რკინის ავტოფარეხებით ავავსეთ, ერთი ხის დასარგავი, ან ბავშვის გასასეირნებელი, სათამაშო ადგილი არ დავტოვეთ. ტროტუარები უბადრუკი, ჭრელაჭრულა ჯიხურებით ჩავხერგეთ, ყველა მაღაზიის თუ სილამაზის სალონის გარშემო კედლები მეპატრონის ფანტაზიისა და გემოვნების მიხედვით შერჩეული ფერით შევღებეთ, სარეკლამო წარწერებით ავაჭრელეთ. აბრები მივაკარით ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა, ხეებზეც კი და ეს ყველაფერი საკუთარი, დალაგებულ-დაკრიალებული ბინებიდან, სახლებიდან გამოტანილ ნაგავში ჩავახჩვეთ, ჩა-





ვფელით. თქვენ წარმოიდგინეთ, ამას ყველაფერს და კიდევ მეტს, წლების მანძილზე ჩვენ ვაკეთებდით, ვაკეთებთ და სამწუხაროდ, ალბათ, ასევე გავაგრძელებთ. არაპროფესიონალურ, მოგონილ, თითიდან გამოწოვილ სიმახინჯეებს დღესაც ვაშენებთ, სოკოებივით ვამრავლებთ, ზოგადად ქალაქის, ცალკეული უბნების სპეციფიკას უხეშად ვარღვევთ, ქალაქის რელიეფს, ქუჩის სიდიდეს, სიგრძე-სიგანეს, მეზობელი სახლების საერთო სიმაღლეს არაფრით ვითვალისწინებთ. ვაკეთებთ ყველაფერს მხოლოდ ისე, როგორც ჩვენ მოგვწონს, გვესმის, ან პირველ რიგში, გვაწყობს. ჩვენებურად ვღებავთ, ფანჯრების ნაცვლად თვითნებურად კარებს ვჭრით, აივნებს ვაწებებთ, ისედაც ვიწრო, პატარა ქუჩებს, კიდევ უფრო ვავიწროვებთ, ფაქტიურად გაუვალად ვაქცევთ, უზარმაზარი კორპუსების ჩაშენებით ვაუქმებთ სკვერებს, პარკებს. ჩვენ ასე გვინდა! ჩვენ ასე გვაწყობს! ჩვენ ასე გვესმის! იოლი, მომგებიანი პოზიციაა, მითუმეტეს, თუ ამ ყველაფერში დამნაშავეც ყოველთვის მარტივად მოიძებნება. ჩვენ არაფერ შუაში არ ვართ. ჩვენ თბილისი გვიყვარს! ამაში ხან უგულო, არაფრისმოყვარულ კომუნისტებს, ხან მოგების სურვილისაგან დაბრმავებულ-გაღორებულ სამშენებლო, უფრო სწორედ, მოდურად რომ ვთქვათ, დეველოპერულ კომპანიებს, ხან უზნეო კორუმპირებულ ჩინოვნიკებს და ყველაზე ხშირად კი რატომღაც, „უნიჭო“, „არაპროფესიონალ“ ქართველ (უცხოელები კარგია!) არქიტექტორებს ვადანაშაულებთ. არადა, კომუნისტებიც, ჩინოვნიკებიც, არქიტექტორებიც, პროექტის მიმღებ-დამამტკიცებლებიც, მშენებლებიც და მერე ამ ვანდალურ სახლებში ბინების მყიდველებიც ხომ ჩვენ ვართ. ჩვენ, ვისაც თბილისი ასე გვიყვარს, მისდამი მიძღვნილი ერთი ლექსი მაინც თავიდან ბოლომდე ზეპირად ვიცით და ჩვენი დედაქალაქის სადღეგრძელოს ფეხზე დამდგარი, განსხვავებული სასმისით ვსვამთ. მერე კი რიგითი ვანდალური მშენებლობის ნებართვის მისაღებად ქრთამს ვაძლევთ, ან ვიღებთ. კომერციული მოგების მიზნით, მაგალითად ვერის პატარა, კოლორიტულ სახლს ვანგრევთ და წითელ-ყვითელ-ვარდისფერ ურჩხულს ვაშენებთ. ტროტუარებს შუშის სავაჭრო ცენტრებით, ან ტოტალიზატორებით ვხერგავთ. დიდი, ნათელი, მოსახერხებელი ბინები არ გვყოფნის და კიდევ უფრო გაფართოების მიზნით, ყველა შესაძლებელი მიმართულებით, მერცხლის ბუდეებივით პატარ-პატარა ოთახებს ვაშენებთ, თაღებს ვჭრით, „ევრორემონტს“, უსულო, უწარსულო, უსახურ, მაგრამ ნორმად, „კარგ ტონად“ მიჩნეულ „მოდურ“ ინტერიერებს ვიკეთებთ, რემონტის ნაგავს იქვე სადარბაზოსთან ვყრით, სახლს ვალაგებთ, სტუმრებს ვიწვევთ და კვლავ თბილისის სადღეგრძელოს ვამბობთ.



გვიყვარს თუ გვძულს?

არ მოგწონთ ეგ სიტყვა? გეუხეშებათ? თქვენი თავის მიმართებაში გაღიზიანებთ? მაშინ, ძალა მოიკრიბეთ და თქვენ გარშემო ოდნავ ობიექტური თვალით მიმოიხედეთ. სადღაც სხვაგან, გაურკვეველ დამნაშავეს ნუ ეძებთ!

თბილისის დღევანდელი, მე რომ მკითხო, საგანგაშო მდგომარეობა ყველა ჩვენთაგანის ბრალია და ამას ვერსად გავექცევით. გვიყვარს ჩვენი უძველესი, ულამაზესი, მართლაც რომ თვითმყოფადი დედაქალაქი, მაგრამ საკუთარი ინტერესები, გამორჩენა, მოგება, გაფართოება, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, პატარა, მეშჩანური სიმყუდროვის შექმნა გვირჩევნია. და მოგწონთ თქვენ თუ არა, აღიარებთ ამას, თუ ვერა, შეძლებთ ობიექტურ შეფასებას, თუ ვერა, ეს, სწორედ ის გზაა, სადაც სიყვარულიდან სიძულვილამდე მხოლოდ ერთი, ძალიან მოკლე, თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ნაბიჯია.

ქეთუსია იგნატოვა





# One Step From Love to Hatred…

If you stop any passer-by in any district of Tbilisi and ask what city he loves most, everyone will say ‘Tbilisi’.

We Georgians are fond of our ancient capital city. We dedicate to it songs, verses and toasts, take pleasure in showing it to the guests and recalling its history. Those born in Tbilisi consider their origin as a special favor and pride.

But today, our Tbilisi is not the same city in honor of which we used to compose songs and verses. Governmental systems, changing requirements of time, taste and fashion cause us – every one of us – to turn our backs on our cherished home city and methodically, ruthlessly, irreparably cripple it without looking back at the consequences.

Impersonal administration buildings and irrelevant monuments, craggy apartment blocks with odd doors and windows, rusty garages and motley-colored shops, rising in place of unique old districts without any consideration of the existing background, style, local specificity – unfortunately, all this is done by us and will probably go on for many years to come. Evidently, this is what we want to have. An advantageous position, especially that the responsibility always rests with somebody else (because we would never harm our city) – the local undereducated architects, entrepreneurs with no imagination, development companies chasing profitable deals, corrupted government officials, etc… The only thing we forget is that we are the members of this list (architects, businessmen, development companies, government officials, etc.).

So what do we feel toward our city – do we love or hate it? Let us face the truth – the present-day alarming (as I think) situation of Tbilisi is our fault. Yes, we are fond of the place where we were born, but our personal interests, whatever they be, appear to be much closer to our heart than the environment in which we live. And this is the way on which love and hatred are just one step – one little, but important step away.

KETUSIA IGNATOVA



# ფინანსური ცენტრი

მარჯანიშვილის ქუჩაზე, თეატრის გვერდით მე-20 საუკუნის ათიან წლებში აშენებული სახლი დგას. შენობა არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდის პროექტით განხორციელდა, კავკასიის რეგიონში შვედეთის ვიცეკონსულის ქალიშვილის ეფროსინე მარტინოვსკაიასათვის. შენობა თავისი არქიტექტურით - აღმოსავლური ფლიგელებით, პროფილური აივნებით ფსევდო- რენესანსისა და ფსევდო-კლასიციზმის პერიოდს მიეკუთვნება. კომუნისტების პერიოდში სახლი ერთ-ერთ ადმინისტრაციულ შენობად იქცა.

2005 წელს ნაგებობა „ჯიარდისი ჯგუფმა" შეიძინა და 11 თვის შემდეგ, პრეზენტაციაზე ბიზნეს კორპუსს „გრინ ბილდინგად" წარუდგინა. შენობის რეკონსტრუქციაზე 5 000 000 დაიხარჯა. ინვესტიციები, როგორც ინგლისიდან, ამერიკიდან, ჰოლანდიიდან, ასევე საქართველოდან იქნა მოძიებული. ძველ შენობასთან ერთად აშენდა ახალი კორპუსიც.

არსებული შენობის რეკონსტრუქციისა და ახალი კორპუსის ერთიანი პროექტი, არქიტექტორების - ლევან მუშკუდიანისა და გაგა კიკნაძის ავტორობით შეიქმნა. სამშენებლო სამუშაოები სამშენებლო კომპანიამ NCC-მა ჩაატარა.










არქიტექტორებმა ჩვეული პროფესიონალიზმით გარდაქმნეს ჟამთა სვლით შელახული და ფუნქციადაკარგული შენობის იერსახე და დანიშნულება, სიფრთხილით მოეკიდნენ წარსულის დანატოვარს და ისეთი არქიტექტურული და დიზაინერული გადაწყვეტა მონახეს, რომლითაც წარსულისა და აწმყოს ერთიანი გამომხატველობითი სახეა დაფიქსირებული. ძველი შენობის ფასადი და შიდა სივრცე კლასიკური სტილის ესთეტიკას პასუხობს. ინტერიერში ტრადიციები თანამედროვე მენტალიტეტთანაა ადაპტირებული. ახალი შენობის ექსტერიერი უჩვეულოდ სასიამოვნო დისონანსს ქმნის არსებულთან. მთლიანობაში, კომპლექსის სივრცეთა ატმოსფეროს, ჰაერით გაჯერებული სიმსუბუქე განსაზღვრავს.

„ჯიარდისმა“ ისტორიული მნიშვნელობის სახლს ახალი ფუნქციები შემატა. რესტავრირებულ და თანამედროვეობაში გაცოცხლებულ შენობაში ბიზნეს-ცენტრი განთავსდა. 3000 კვ.მ ფართი ევროპული, უმაღლესი კლასის ოფისებით აღიჭურვა.

ინტერიერები პლასტიკური გადაწყვეტისა და წყნარი გამების შერწყმითაა აგებული. აქ თითოეული დეტალი დახვეწილი და მოწესრიგებულია. დიზაინი ინდივიდუალურია და აბსოლუტურად განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. ყოველივე ეს კი მისი დანიშნულების შესაბამის კომფორტულ, საქმიან და საინტერესო გარემოს განაპირობებს.

ნინო ლაღიძე









# Business Center

In Marjanishvili Street, by the side of the theater, there stands a house, built in the 1910s. The project of this construction – a mixture of pseudo-Renaissance and pseudo-Classicist styles – was designed by architect Leopold Bilfeld for Ms. Eprosine Martinovskaia, the daughter of Swedish vice-consul in Caucasus.

During the Soviet time, the house was used for administrative purposes. In 2005, it was purchased by GRDC Group, reconstructed, expanded and opened under the name of Green Building. Reconstruction of the building and construction of a new wing was conducted with the help of British, American, Dutch and Georgian investors.

The project of reconstruction / extension was designed by architects Levan Mushkudiani and Gaga Kiknadze; construction works implemented by construction company NCC.

In their customary professional manner, architects transformed the exterior of the time-worn building and found a design solution, allowing to integrate its long-term history with current functions.

Façade and interior of the old building retain the aesthetics of classicist style (with certain elements of modern interpretation showing up in interior design), while its new wing forms a pleasant contrast with the 'elder' counterpart.

Having adapted a historical building to the present-day reality, GRDC created a state-of-art business-center with the total area of 3000 sq.m. Flexibility and elegance of design render its interior space highly expressive and functional, and form a comfortable, businesslike atmosphere, fully corresponding to the purpose of the building.

NINO LAGHIDZE

# SUN CITY – ყველაზე ექსკლუზიური მისამართი შავი ზღვის სანაპიროზე

**Sun City -** ზღვისპირას განფენილი პრემიუმ კლასის კომპლექსი, რომლის თითოეული აპარტამენტიდან იშლება შავი ზღვისა და აჭარის მთების თვალწარმტაცი, პანორამული ხედები.

**Sun City -** ზღვისპირა კურორტზე დასვენებისა და ანტიკური ისტორიის მქონე ქალაქში ცხოვრების შესანიშნავი შესაძლებლობა.

**Sun City -** უძველესი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების, მდიდარი კულტურის ზონებისა და სუბტროპიკული მცენარეულობის გარემოში აღმოცენებული კომპლექსი.

**Sun City -** კლუბური ტიპის კომპლექსი, რომლის წევრობა მრავალფეროვანი მომსახურებებითა და პრივილეგიებით სარგებლობას ითვალისწინებს. თქვენს განკარგულებაში იქნება გართობისა და დასვენების საშუალებები, რომლებსაც შეხვედრიხართ მსოფლიოს საუკეთესო კურორტებზე.

**Sun City -** წლის 4-ივე სეზონზე დასვენებისა და განტვირთვის განსაკუთრებული გარემო.

**Sun City -ში ცხოვრება თქვენი თავდაჯერებულობისა და წარმატებული მოღვაწეობის ლოგიკური დასტურია.**

# SUN CITY – THE MOST EXCLUSIVE ADDRESS ALONG THE BLACK SEA COAST

**Sun City -** premium Class complex along the Black Sea coast. Beautiful and panoramic views of the Black Sea and Mountain can be seen from every apartment of the complex.

**Sun City -** gives a remarkable opportunity to rest at the seaside resort and live in a city having an ancient history.

**Sun City -** complex built in the surroundings of ancient historic-architectural monuments, seaside resorts, cultural zones and rich subtropical plants.

**Sun City -** being a member of Sun City means to benefit from wide range of services and privileges. You will be provided with a service of worldwide standards and enjoy different means of entertainment, which are provided on the best resorts of the world.

**Sun City -** during all **four seasons** you will enjoy yourself and have a good opportunity to relax in Sun City .

**Living in Sun City is a logical evidence of your self-confidence and successful lifestyle.**

**www.suncity.ge**


WWW.SUNCITY.GE
SUN CITY
Batumi
www.tifliscity.ge
62; (995 32) 250 338; 912 607; (995 32) 916 278



# საცხოვრებლის არქიტექტონიკა

თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში არქიტექტორ შალვა ჯაფარიძის პროექტით საცხოვრებელი სახლი აშენდა. პროექტის ღირსება – მისი სივრცის გარემოსთან ურთიერთკავშირში მდგომარეობს. ნაგებობა კომპაქტურია – არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფები ერთმანეთთან მოხერხებულადაა დაკავშირებული. მისი არქიტექტურა ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა და ერთ მთლიანობაში აღიქმება. სხვადასხვა გეომეტრიული, მობილური ფორმების შერწყმით, შენობის მოცულობა დინამიური და შესაბამისად მრავალფეროვანია. სახლი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას არაორდინალური გადახურვის ვიზუალური სიმსუბუქითა და სილუეტის გრაფიკული სიზუსტით. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ შემოქმედებითად გააზრებულ მოცულობაში არქიტექტურული დეტალების კოლორიტი ყოველ ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ ჭრილშია გადათამაშებული და მიკროსამყაროს სიმბოლურ ველს ქმნის..

ინტერიერის ატმოსფერო უხვად შემინული სიბრტყეებიდან შემოჭრილი სინათლითა და ჰაერითაა სავსე და თავისუფალია. შემინული სიბრტყეები ზრდის საცხოვრებლის საზღვრებს და მათი მცდელობა მოაქციონ იგი ხისტ, თუნდაც გამჭვირვალე ჩარჩოებში –ამაოა. დიდი მასების კონსტრუქციულ სიმსუბუქეს დიზაინის ელემენტებიც იმეორებენ. ინტერიერში ყურადღებას იპყრობს არქ. ფრაგმენტების დეკორატიული კომპოზიციები, სხვადასხვა აქსესუარების ფორმა, ფერი და ა.შ. შიდა და გარე სამყაროს სახლის მგრძნობიარე მემბრანად გარდაქმნილი გარსი ერთიმეორის მონაცვლეობით აღიქვამს.

არქიტექტორმა საცხოვრებელში მთლიანი სივრცის თავისუფლების მზარდი ხარისხის გამოყენებით კომფორტული და მშვიდი გარემო შექმნა.

ნინო ლაღიძე









# Residential Space Architectonics



A residential house (author: architect Shalva Japardze) was recently built in one of the fashionable districts of Tbilisi. Main accomplishment of the project is its close connection with the surrounding space, the immediate environment. The construction is very compact with main architectonic groups ingeniously connected with each other. Its architectural composition is rather original and harmonious. Volume of the building, composed of diverse geometric forms, develops dynamically and flexibly. Unusual, light and uncomplicated roofing acts as a dominating exterior detail.

Interior of the house is connected with the outer world by a range of glazed surfaces, which expand its borders and let in a great deal of sunlight and air. Constructional lightness of larger masses is reiterated by minor design elements, decorative compositions and accessories. The house breathes in unison with its surroundings, offering its inhabitants a comfortable living environment as well as the exciting beat of city life.

NINO LAGHIDZE











# არქიტექტურული სპექტაკლი

ბატონ ოთარ ვეფხვაძის მიერ განხორციელებული ობიექტების სკულპტურულობა და ფორმათა სიმბოლიკა ავტორის შემოქმედებით კონცეფციას დაკონკრეტებისა და განმარტების გარეშე წარმოაჩენს. ამჟამად ოსტატის ძალიხმევით ბარათაშვილის ქუჩა იცვლის იერსახეს. კონკიდან დაწყებული, ვიდრე ყავლაშვილის ძეგლამდე ავტორისეული ინტერპრეტაციით გარდაიქმნება გარემო თუ მის ირგვლივ არსებული მოცულობები. პროცესი დაწყებულია - უკვე შექმნილი კი მოულოდნელობებით ალსავსე პერსპექტივებს განაპირობებს.

პატარა სკვერი, გუბურა კუპიდონით, უცნაურად მოკირწყლული ბილიკები, ბარის ინტერიერი... აქ მოცულობითი კომპოზიციები მასისა და სივრცის ურთიერთობით ხასიათდება. ფორმაწარმომქმნელ საწყისს სკულპტურული, თვითმყოფადი ცოცხალი მასა წარმოადგენს. სივრცე კი კომპოზიციურად ექვემდებარება მას. დიზაინერი უმთავრესს ადგილს ფორმების პლასტიკურ სახესხვაობას, ადამიანისათვის განსაზღვრულ ემოციურად დატვირთულ გარემოს შექმნას უთმობს ადგილს. ერთიანი მოცულობებისა და შიდა სივრცის ურთიერთქმედების სპეციფიკის ღრმა წვდომა კომპოზიციური პალიტრის სიმდიდრის გახსნისა და გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ინტერიერში თანამედროვე თუ ტრადიციული არქიტექტურული დეკორის ყოველი ფრაგმენტი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ერთიანი სივრცის განსაკუთრებული ატმოსფერო სასიამოვნო ურთიერთობებისათვის განგვაწყობს. დიზაინის სახე დეკორის მოტივებით, მოცულობითი და პლასტიური გადაწყვეტებით არქიტექტურული რითმებით იქმნება. გამოყენებულ დეკორზე არ ბატონობს წუთიერი მოდა. ელეგანტურობა ნატიფ ნიუანსებშია განსხეულებული. თითოეულ ფრაგმენტში ახლის, თანამედროვეობის სულიერება შეიგრძნობა და ვისაც შესწევს უნარი შეიგრძნოს ეს სილამაზე - ეძლევა შანსი დატკბეს არქიტექტონიკული სპექტაკლით.

ნინო ლაღიძე














# Architectonic Spectacle

Sculptural precision and symbolism of Otar Vephkhvadze reflect the author's creative concept without a need for further explanations. At the time being, Otar Vephkhvadze works on reconstruction of Baratashvili Street, interpreting its environment and giving new life to the existing buildings.

Take Romaamori Bar, surrounded by a small square, a fountain, unusually paved paths… The design acquires its final image from interaction of forms with their live environment. Flexible and uninhibited combination of diverse design elements – including such unusual material as occasional visitors – creates an emotional atmosphere in which all the components are equally meaningful and where notions of fashion and time are dominated by the sense of freedom and eternity.

NINO LAGHIDZE


სამშენებლო კომპანია
დომინანტი
www.Dominanti.ge
არქიტექტურა. მშენებლობა. დიზაინი. ევრო-რემონტი.
თბილისი. უზნაძის 113 ბ.



# ციხე-სიმაგრე თანამედროვე ინტერპრეტაციით

საცხოვრებელი სახლის შექმნისას, არქიტექტორის წინაშე დგას საინტერესო, მაგრამ ყოველთვის. თავისებურად რთული ამოცანა - შეიქმნას კომფორტული და არაორდინალური საცხოვრებელი სივრცე კონკრეტული ოჯახის შემოქმედებითი თავისებურებებისა და ინდივიდუალურობის გათვალისწინებით, სადაც ოჯახის წევრთა გემოვნება სახლის მოცულობით-სივრცობრივი სახის სტილური მიმართულების საფუძველია.

დღეს საქართველოში, მოგეხსენებათ, მშენებლობის ბუმია მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, არა მგონია, ამ პროცესში ჩაბმული ადამიანები ჩანაფიქრის განსახორციელებლად პროფესიონალებს მიმართავდნენ და შედეგიც - ხშირ შემთხვევაში სავალალოა.

ამ თვალსაზრისით, წარმოდგენილი საცხოვრებელი სახლი, რომელიც თბილისში, არაყიშვილის ქუჩაზე აშენდა, ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია. მისმა მეპატრონემ, დავით ზოდელავამ, შესანიშნავად იცოდა, რაც უნდოდა - „ სახლი, გარეგნულად ციხე-სიმაგრედ უნდა აღიქმეს, შიდა სივრცე კი გახსნილი და თავისუფალი იყოს“ - მიაწოდა იდეა მან მეგობარ არქიტექტორს, ზაზა ციციშვილს და პროექტზე მუშაობისას, სწორედ ეს „თეზისი“ გახდა პროფესიონალისთვის ძირითადი ამოსავალი წერტილი. „დამკვეთი“ არ შემცდარა, არქიტექტორმა ზუსტად განახორციელა მისი ჩანაფიქრი.

საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტაში ორი მნიშვნელოვანი პრინციპია გატარებული - ერთის მხრივ, მისი არქიტექტურა აბსოლუტურად თანამედროვეა, კოსმოპოლიტურია. ამგვარი სახლი ნებისმიერ არქიტექტურულ ქარგაში შეიძლება არსებობდეს, მეორეს მხრივ, იგი მეტად ქართულია - ტრადიციებიდანაა აღმოცენებული.

გარემოსთან შერწყმული შენობის არქიტექტონიკულ წყობაში თუ შიდა სივრცეში გემოვნებით და გონივრულადაა შერჩეული ბუნებრივი მასალა, დეტალები, ნიუანსები. საცხოვრებლის სუფთა, ეკოლოგიური გარემო მყუდრო და კომფორტულია.

„ციხე-სიმაგრე“ მასშტაბურია, მსუბუქია და ლანდშაფტთან სასიამოვნო დისონანს ქმნის. შენობა დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან თითქმის მთლიანად დახურულია. ექსტერიერის კონტურები, მისი ფართოპლანიანი დანაწევრება მნახველს მისადმი ინტერესითა და სიმპათიით განაწყობს.





















სახლი აბსოლუტურად გახსნილია აღმოსავლეთის - ეზოს მხრიდან. ინტერიერი გარე სამყაროშია შეჭრილი. შემინული დიდი სიბრტყეებით შემოზღუდული საცხოვრებელი სივრცეები მთლიანად იხსნება და საზაფხულო ღია ოთახებად გარდაქმნილი ეზოსთან აბსოლუტურ სინქრონშია.

ორ სართულად ზონირებული საცხოვრებელის ინტერიერში მოცულობა პლასტიურად ვითარდება. სათავსოთა შიდა სტრუქტურა, მათი ზონირება, ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. ორიგინალური დიზაინი და გრაფიკულობა სივრცის ვიზუალური ჟღერადობის განმსაზღვრელია.

ავტორის ორიგინალური გადაწყვეტებითა და მიგნებებით შეიქმნა ესთეტიკურად, ფუნქციურად თვითმყოფადი საცხოვრებელი. შემოქმედებითმა თავისუფლებამ შესაძლებელი გახადა მიღწეულიყო სტილისტური მთლიანობა. მას განმარტება არ სჭირდება. მნიშვნელოვანია სახლის სტილის სრული შესაბამისობა მის მფლობელთა ცხოვრების წესთან.

ნინო ლაღიძე





# A Fortress in Modern Interpretation

Designing a residential interior, an architect invariably faces a complex task of creating a comfortable, individualized space, tailored to the needs and requirements of a particular family and reflecting the taste / style of its members.

Considering the scale, at which construction is now developing in Georgia, we can find numerous examples of this issue being solved with this or that degree of success.

A residential house recently built in Arakishvili Street, Tbilisi, stands on the positive end of this scale. Its owner David Zodelava had a clear vision of what he wanted from the very beginning – a fortress on the outside with an open, free space on the inside. The vision was picked up and developed by his friend architect Zaza Tsitsishvili.

Architectural planning solution of the resulting house is based on two key principles – on the one hand, its architecture is utterly modern, cosmopolitan, capable of matching any architectural context, while on the other hand this is a very Georgian, very traditional house.

Inner space of the construction is free and comfortable, decorated with tastefully chosen natural materials and accessories. On the outside, the house stands in a slight dissonance with its surroundings – it looks a fortress from West and South, where the walls are almost blind, but bursts open on the East, toward the courtyard.

Interior of the two-level house develops flexibly. Inner planning and zone distribution is enlivened by diversity of forms and original design, creating a unique and functional, stylistically integral space.

NINO LAGHIDZE













ზაფხულის პერიოდი განსაკუთრებით ხელსაყრელია ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებისათვის. ნალექის სიმცირე, ჰაერის მაღალი ტემპერატურა ხელშემწყობი პირობებია იმისათვის, რომ გამომშრალ კედლებზე, იატაკებზე, საძირკველებში, ტერასებზე და განსაკუთრებით ბრტყელ სახურავებზე მოეწყოს ჰიდროიზოლაცია. მრავალი ტექნოლოგიური სიახლეების მიუხედავად რულონური ჰიდროიზოლაცია კვლავ რჩება ყველაზე საიმედო მასალად, რათა შენობა-ნაგებობები დაცული იყოს ტენისგან, წყლის ჩამოდინებისაგან და ა.შ.

კომპანია "მოდერნრუფინგი" გთავაზობთ ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების კომპლექსურ შესრულებას, რაც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობების ბეტონის ზედაპირის მომზადებას, მის დამუშავებას სპეციალური ბითუმის პრაიმერით და შემდგომ ჰიდროიზოლაციას. კომპანია გთავაზობთ სამუშაოების შესრულებას გერმანული წარმოების "ემდაპლასტის", ფინური წარმოების "კატეპალის"და რუსული წარმოების "ტექნონიკოლის" გაერთიანების მრავალფეროვანი, მაღალხარისხოვანი მასალებით, რომელთა საგარანტიო-საექსპლუატაციო ვადა ხუთიდან ორმოც წლამდეა.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს ე.წ. "რბილი კრამიტი" (SHINGLE). "მოდერნრუფინგი" აგრეთვე გთავაზობთ ბელგიური, თურქული, ფინური და რუსული წარმოების ანალოგიური მასალებით ინდივიდუალური ბინების, საგარაკე კოტეჯების გადახურვებს.








უცხოური არქიტექტურა
FOREIGN ARCHITECTURE

# რენცო პიანო



იგი, 1937 წელს დაიბადა გენუაში (იტალია). 1964 წელს დაამთავრა მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი. სტუდენტობისას ფრანკო ალბინის ხელმძღვანელობით მუშაობდა. პარალელურად, პრაქტიკული გამოცდილების ამაღლების მიზნით, გამუდმებით სტუმრობდა მამის სამშენებლო მოედანს.

1965- 70-იან წლებში, ბრიტანეთსა და ამერიკაში სამუშაო ვიზიტებმა, მისი გამოცდილებისა და ცოდნის ფორმირება მოახდინა. ამ პერიოდში რენცო პიანო შეხვდა ჟეინ ფროუვეს. მასთან მეგობრობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ახალგაზრდა არქიტექტორის პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.

1971 წელს, რენცო პიანომ, რიჩარდ როჯერსთან ერთად სააგენტო „პიანო და როჯერსი" დაარსა. პომპიდუს ცენტრის პროექტირებისას, როჯერსი, პიანოს პარტნიორი იყო.

1977 წელს არქიტექტორმა, ინჟინერ პეტერ რაისთან ერთად „პიანოს და რაისის ატელიე" დააფუძნა. ისინი, 1992 წლამდე (რაისის გარდაცვალებამდე) ერთად მუშაობდნენ და მრავალი საინტერესო პროექტი განახორციელეს.

დღესდღეობით, რენცო პიანო, მის მიერ დაფუძნებულ კომპანიაში „რენცო პიანოს სახელოსნოში" მოღვაწეობს. კომპანიის ოფისები ფუნქციონირებენ პარიზსა და გენუაში. დიდ შემოქმედთან დაახლოებით ასი ადამიანი (არქიტექტორები, ინჟინრები და სხვა სპეციალისტები) მუშაობს. რენცო პიანო ცალკეულ ასოცირებულ არქიტექტორთან მჭიროდ ურთიერთთანამშრომლობს.

მაესტროს მთავარი პრიზები და აღიარებები:

1989 წ - R.I.B.A. სამეფო ოქროს მედალი არქიტექტურაში (დიდი ბრიტანეთი);

1990 წ. - კიოტოს პრიზი, ინამორის პრიზი. კიოტო, იაპონია;

1994 წ. - მიენიჭა „არქიტექტურაში კეთილი ნების ელჩის" წოდება;

1998 წ. - ფრითქერის არქიტექტურული პრიზი. თეთრი სახლი, ვაშინგტონი, ა.შ.შ.;

2002 წ. არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის მედალი. ბერლინი, გერმანია

2004 წელს გენუაში (იტალია), არაკომერციული ორგანიზაციის სახით, დაფუძნდა რენცო პიანოს ფონდი. იგი მიზნად ისახავს როგორც განათლების პროგრამების, ასევე იდენტურ საქმიანობათა მეშვეობით არქიტექტურული პრაქტიკის განვითარებას.

ფონდი არსებობს და ილწვის არქიტექტურული ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებისა და გაპიარებისათვის. ამჟამად ფონდი, აკადემიურ სწავლებასა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის ნაპრალის ამოსავსებად, გე-





ნუისა და პარიზის RPBW ოფისებში, სტუდენტური სტაჟირების პროგრამას ახორციელებს. ამჟამად, პროგრამის მიხედვით, ყოველწლიურად, ექვსი თვის განმავლობაში, მთელი მსოფლიოდან შერჩეული თორმეტი სტუდენტი მომზადდება. მომავალი წლიდან ფონდი, თავის პროგრამაში სხვა მაღალკვალიფიციური საპროექტო სტუდიების ჩართვასაც აპირებს.

რენცო პიანოს ფონდის მეშვეობით შეიქმნა ერმანო პიანოს სახელობის (მაესტროს ძმის პატივსაცემად) სტიპენდია, რომელიც ახალკურსდამთავრებულ არქიტექტორებს შესაძლებლობას მისცემს ექვსთვიანი სტაჟირებით სწავლა განაგრძონ რენცო პიანოს სამშენებლო სახელოსნოში. გრანტის რაოდენობა 10 000 ფუნტი სტერლინგია. სტაჟირება გაგრძელდება 2008 წლის თებერვლიდან 2008 წლის ივლისამდე. შესარჩევი კონკუსი ღიაა იმ არქიტექტორებისათვის, რომლებმაც სასწავლებლები 2006-2007 წლებში დაამთავრეს.

შესარჩევი კონკურსის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ვებგვერდზე www.rpbw.com.

რენცო პიანოს შემოქმედებაზე დაუსრულებლად შეიძლება მსჯელობა. მაესტროს შედევრები მთელს მსოფლიოშია რეალიზებული და ხშირად კონკრეტული ქალაქების სიმბოლოებად გვევლინებიან. ამჯერად შესაძლებლობა გვეძლევა წარმოგიდგინოთ არქიტექტორის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული სამი უმშვენიერესი ნაგებობა.

**პადრე პიოს პილიგრიმთა ეკლესია. სან ჯოვანის როტონდა (1991-2004 წწ.)**

სან ჯოვანის როტონდის მოსანახულებლად მოსული. პილიგრიმთა მზარდი ნაკადის დასაკმაყოფილებლად, თანამედროვე ტაძარი აშენდა. მიუხედაად იმისა, რომ ეკლესიის სიმაღლე 16 მეტრია, იგი 6500 ადამიანს იტევს. მის წინ არსებული მოედანი კი, რომლის ფართობი 9000კვ. მეტრია, 30 000 მლოცველზეა გათვალისწინებული. შენობის სტრუქტურა სპირალის მოძრაობის პრინციპზეა აგებული. გუმბათი, გადახურვის ცენტრიდან თითქოსდა მოედნისადმი სტუმართმოყვარე ჟესტით, ქვევით მოედინება.

ეკლესიის მშენებლობისას ტექნიკურად ურთულესი სამუშაოები ჩატარდა. მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო მასალად ადგილობრივი ქვა იქნა გამოყენებული. კონსტრუქცია 20 ქვის კამარას მოიცავს. ისინი, იდენტური ფორმის გუმბათის ბალავრად წრიულად არიან განლაგებულნი.













**პაულ კლეის ცენტრი ბერნში (1999 - 2005 წწ.) ქალაქის საჩუქარი უდიდესი მხატვრისადმი**

პაულ კლეის ცენტრი წარმოადგენს მრავალფუნქციურ, გრანდიოზულ ნაგებობას. იგი სამი, მინისა და ლითონისაგან შეკრული „ბორცვისაგან“ შედგება. მათი ფორმა-მოცულობები დინამიურად ერწყმის ერთმანეთს, იმეორებს მიმდებარე გარემოს, ლანდშაფტის ხვეულებს (უსწორმასწორო ფორმებს) და ამით მისი შემადგენელი ნაწილი ხდება. ყოველი მათგანი შეესაბამება ცენტრის სპეციფიურ ფუნქციებს და ზედმიწევნით ასახავს ხელოვანის ცხოვრებას, რომელიც მხატვარიც იყო, მუსიკოსიც და პოეტიც. შენობაში განთავსებულია საკონცერტო დარბაზი, ცენტრი საბავშვო სტენდებით და მხატვრის მუდმივმოქმედი კოლექცია. გარდა ამისა, აქ სხვა ცნობილი მხატვრების დროებითი, მოკლევადიანი გამოფენებიც იმართება.

**ატლანტის ხელოვნების მუზეუმი. ატლანტა, ა.შ.შ. (1999-2005 წწ.)**

რიჩარდ მაიერის პროექტის მიხედვით, 1983 წელს რეალიზებული საგამოფენო სივრცის ნაგებობა, 1999-2005 წლებში პერცო პიანოს მიერ რეკონსტრუირდა - გაფართოვდა და ატლანტის ხელოვნების მუზეუმი ეწოდა. მისი მთლიანი სივრცე, თითქმის ორჯერ აღემატება ადრეულ ნაგებობას. მუზეუმი სამი ახალი მოცულობისგან შედგება - ძირითადი პავილიონი, დარბაზი სპეციალური კოლექციებისათვის და ადმინისტრაციული ბლოკი. პროექტის მიხედვით, დღის სინათლე შენობის შიდა სივრცეს მაქსიმალურად მოიცავს. მოშენებული კონსტრუქციების გადახურვებში დატანილია 1000 მრგვალი ფანჯარა, რომელთა მეშვეობითაც საგამოფენო გალერეები, მათი სპეციფიკის დანიშნულებისამებრ მაქსიმალურად ნათდება. მუზეუმის ცენტრია - ახალი პიაცა (მოედანი). იგი ახალისებს, ერთმანეთთან აკავშირებს კომპლექსის მოცულობებს და დამთვარიებელთათვის მოძრაობის დამატებით სივრცეს უზრუნველყოფს.

ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲦᲘᲫᲔᲛ
ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ: ᲜᲐᲢᲐ ᲙᲣᲠᲢᲐᲜᲘᲫᲔ,
ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ











# Renzo Piano







Renzo Paino was born in Genoa (Italy) in 1937. He graduated in 1964 from the School of Architecture of the Milan Polytechnic. As a student, he was working under the design guidance of Franco Albini, while also regularly attending his father's building sites where he got a valuable practical experience.

Between 1965 and 1970, he completed his formation and work experiments with study travels in Britain and America. It was at that time he met Jean Prouve: their friendship would have a deep influence on his professional life.

In 1971, Renzo Piano founded the "Piano & Rogers" agency with Richard Rogers, his partner on the Centre Pompidou project in Paris.

In 1977, he founded "l'Atelier Piano & Rice" with the engineer Peter Rice, who worked with him on many projects, until his death in 1992.

Nowadays Renzo Piano works in Renzo Piano Building Workshop. The enterprise, comprising offices in Paris and Genoa and to 100 architects, engineers and specialists, works in close collaboration with associate architects, linked to Renzo Piano by nears of experience.

Among the major prizes & acknowledgements of Renzo Piano, we can mention the following"

1989 – R.I.B.A. Royal Gold Medal for Architecture, UK

1990 – Kyoto Prize, Inamori Foundation, Kyoto, Japan

1994 – Goodwill Ambassador of Unesco for Architecture

1998 – The Pritzker Architecture Prize, The White House, Washington, USA

2002 – Medaille D'Or UIA (International Union of Architects), Berlin, Germany

In 2004, the Fondazione Renzo Piano was established as a non-profit organization, dedicated to advancing architectural practice through education programs and related activities.

The Fondazione Renzo Piano exists and acts for sharing and preserving architectural know-how and expertise. The Fondazione currently runs a student internship program at the RPBW's offices in Paris and Genoa to foster educational experiences that bridge the gap between academic learning and the realities of actual creative practice. The program involves 6-month internships for 12 students per year, drawn from selected universities all over the world. In the coming years, the Fondazione plans to include other well-qualified design offices into the program.

The Fondazione Renzo Piano established Ermanno Piano Scholarship (in memory of Renzo Piano's brother), assigned annually to young graduate architects and implying a 6-month internship in Renzo Piano building Workshop from February to July 2008. The amount of grant is 10000 Euros; selection is open to architects who have graduated in the academic year 2006-2007. Conditions of participation are available at www.rpbw.com.

The work of Renzo Piano could serve as a subject for endless discussions. His creations are scattered all over the world and often serve as area symbols. This time, we have an opportunity to present you three beautiful constructions, realized by Renzo Piano during the recent years.

**Padre Pio Pilgrimage Church**
**San Giovanni Rotondo (1991-2004)**

The church was designed to receive the increasing number of pilgrims, visiting San Giovanni Rotondo. Though it is only 16 meters high, the church has a capacity of 6500 people. The vast external precinct can hold some 30000 people on a surface of 9000 square meters.

The structure has a spiral-shaped movement: the dome sweeps down from the centre towards the precinct in a gesture of welcoming invitation.

The technical challenge of the project lies in the use of local stone as a structural material: the church in fact includes about twenty stone arches arranged in radial fashion holding the vast roof.

**Zentrum Paul Klee**
**Bern (1999-2005)**

A gift from the city to one of its greatest artists.

The Paul Klee Centre is a multifunctional space: in addition to the permanent collection, it also houses temporary exhibitions, a concert hall, and a centre with ateliers for children.

The shapes of the building recall the curves of the surrounding landscape, thus becoming its integral part.

The Centre is composed of three hills, made of glass and steel. Each "hill" corresponds to one different function of the centre and runs through the life of the artist, who was a painter, a musician and a poet.

**High Museum Expansion**
**Atlanta, USA (1999-2005)**

The intervention of the High Museum of Art is composed of three new buildings – a main pavilion, a building for special collections and a building for administrative offices.

The extension doubles the exhibition space of the museum originally designed by Richard Meier in 1983.

The theme of zenithal light is once again pursued through a grid of 1000 circular skylights atop each building.

The north facing skylights fill the gallery spaces with the required amount of light.

The heart of the scheme is the new "piazza", which gives the project new life by linking the buildings, environment and visitors.

PREPARED BY NINO LAGHIDZE









# პეის არქიტექტურა

ცნობილ ამერიკელ არქიტექტორს I.M.Pei-ს (იკითხება I am Pei, მე ვარ პეი), რომლის სახელის გაგონებაზეც ლუვრის მინის პირამიდა წარმოგვიდგება თვალწინ, აპრილის თვეში 90 წელი შეუსრულდა.

პეი 1917 წელს კანტონში / ჩინეთში დაიბადა. შემდგომი წლები კი ჰონგ კონგში, შანგჰაისა და სუცჰოუში გაატარა. 18 წლის ასაკში პეი მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ MIT-ში

(Massachusetts Institute of Technology) ხოლო შემდგომ ჰარვარდში არქიტექტურულ ფაკულტეტზე სასწავლებლად. მისი მასწავლებლები არიან გერმანიიდან ემიგრირებული ბაუჰაუზის დამაარსებლები ვალტერ გროპიუსი და მარსელ ბროიერი.

პეის არქიტექტურულ კარიერაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პრეზიდენტ კენედის ოჯახთან მისმა დამეგობრებამ.

1964 წელს პეის დაევალა ბოსტონში, კენედის სახელობის ბიბლიოთეკის სარეალიზაციო პროექტის განხორციელება. ეს იყო მისი მსოფლიო არქიტექტურულ სარბიელზე გამოსვლის დასაწყისი. მას შემდეგ პეიმ 50 სხვადასხვა ნამუშევარი განახორციელა მსოფლიოს სამ კონტინენტზე: ამერიკაში, აზიასა და ევროპაში.

ცათამბჯენები ბოსტონში, ტორონტოში, ნიუ-იორკში, მაიამიში, ჰიუსტონსა და დენვერში. სინგაპურში Rafles-City-Tower და ტაივანში ქრისტიანული ეკლესიის ნაგებობა.

1974 წელს, ჩინეთში მოგზაურობის შემდეგ ჩინეთის მთავრობა მას ყოფილი ჩინეთის კაიზერის სანადირო ტერიტორიაზე, რომლის სახელია “სურნელოვანი მთა”, სასტუმრო „Xiangshan-Hotel“-ის პროექტს უკვეთავს. ნაგებობა სრულიად ასიმეტრიულია და ტრადიციულ ჩინურ არქიტექტურას და ორნამენტს თანამედროვე თვალით დაგვანახებს.

ერთი წლის შემდეგ პეი აპროექტებს ჰონგ კონგში Bank of China-ს ცათამბჯენს.

და მაინც პეის ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრებად მისი მუზეუმები ითვლება, რომელთა დაპროექტებისას მან განსაკუთრებული სიფაქიზით შეძლო არსებული ისტორიული ნაგებობების თანამედროვე სხეულთან ჰარმონიულად შერწყმა. ამის ლეგენდარული მაგალითებია ვაშინგტონის ნაციონალური გალერეის ე.წ. “აღმოსავლეთის ფრთა” (National Gallery of Art "East Wing"), პარიზიში ლუვრის მინის პირამიდა და ბერლინში „გერმანიის ისტორიის მუზეუმი“-ს (Deutsches Historisches Museum) შენობა.

ბერლინში „გერმანიის ისტორიის მუზეუმი“-ს გაფართოების პროექტი, გერმანიაში პეის ერთადერთი ნამუშევარია.

კლასიცისტური მუზეუმების კუნძულის გარემოცვაში აღმოცენდა პეის გამჭვირვალე და დინამიური თანამედროვე ნაგებობა. შენობის ძირითადი ნაწილი მონუმეტურია, გეგმარებაში სამკუთხა ფორმისაა და მთლიანად ბუნებრივი ქვით არის მოპირკეთებული. შესასვლელი ნაწილი კი შენობის მთელ სიმაღლეზე შემინულია, რომლის სკულპტურულ დეტალსაც სპირალური ფორმის კიბის უჯრედი წარმოადგეს.
















ოთხ დონეზე განთავსებული ექსპოზიცია დამთვალიერებელს ყველა დონეზე ახალ და მოულოდნელ პერსპექტივას უხსნის.

საგამოფენო ნაწილი მიწისქვეშა გადასასვლელითაა დაკავშირებული ბაროკოს სტილის Zeughaus-თან.

ისევე როგორც პეის სხვა ნამუშევრები, ეს ნაგებობაც გამოირჩევა მასალის სიძვირფასით (ბუნებრივი ქვით მოპირკეთებული ფასადი), ინტერიერების განსაკუთრებული დახვეწილობით და შუქ-ჩრდილების ეფექტებით.

მოძრავი გამოფენებისთვის კონციპირებული ნაგებობა ქალაქგეგმარებითი ხელოვნების ნამდვილი შედევრია.

პეის აზრით არქიტექტურა პრაგმატული ხელოვნებაა და მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, როდესაც ყველა მისი შემადგენელი კომპონენტი ერთმანეთთან სრულ ჰარმონიაშია.

მიუხედავად ხანდაზმულობისა პეი აქტიურად მოღვაწეობს. მისი ბოლო წლების ნამუშევრებია მუზეუმები ლუქსემბურგში, დოჰასა და სუცჰოუში.

ქეთევან ოდიშელი

სპეც. კორესპონდენტი ბერლინიდან

# Ieoh Ming Pei



Well-known American architect I.M.Pei, whose name invariably evokes an image of Louvre glass pyramid, became 90 years old this April.

Pei was born in 1917 in Canton, China and passed his childhood and adolescence in Hong Kong, Shanghai and Suchou. At the age of 18, Pei went to the USA to study in Massachussetts Institute of Technology and then the Architectural Faculty of Harvard University. His teachers were Walter Gropius and Marcel Breuer, founders of Bauhaus.

Architectural career of I.M.Pei was considerably influenced by his friendship with Kennedy family. In 1964, Pei was asked to develop a project of Kennedy Library in Boston. This was one of his first steps on the international architectural stage. Since that time, Pei designed 50 different projects on three continents – America, Asia and Europe, including high-rise constructions in Boston, Toronto, New York, Miami, Houston and Denver, Rafles City Tower in Singapore and a Christian church in Taiwan.

In 1974, after a visit to China, Ieoh Ming Pei received an assignment from the Chinese government to design Xiangshan Hotel in the Fragrant Hills, former hunting grounds of the Chinese emperors. The realized construction with its asymmetric forms represents a modern interpretation of Chinese architectural and decoration traditions.

On the next year, Pei started to design Bank of China office in Hong Kong.

However, the most important works of Ieoh Ming Pei are East Wing of the National Gallery of Art in Washington, Louvre glass pyramid in Paris and Deutsches Historisches Museum in Berlin – museum projects, in which modern constructions are skilfully integrated into the existing historical context.

Extension of Deutsches Historisches Museum – a transparent and dynamic, highly modern building, standing in the Classicist surroundings of Museuminsel, is the only project Ieoh Ming Pei realized in Germany. Deutsches Historisches Museum is a triangular stone-clad bulk with glazed entrance, featuring a spiral staircase. Four-level exhibition space, offering visitors new and unexpected perspectives, is connected with Baroque-style Zeughaus by an underground tunnel. Same as other projects, created by Pei, Deutsches Historisches Museum features expensive construction materials (e.g. the natural stone cladding, used on the facade) and refined interior design with rare lighting effects. The construction, specially designed for mobile exhibitions, is a masterpiece of urban planning.

According to Pei, architecture is a pragmatic art, functioning only in case if all its components are in harmony with each other.

In spite of his old age, Ieoh Ming Pei is as productive as ever. His most recent projects are museums in Luxembourg, Doha and Suchou.

KETEVAN ODISHELI
SPECIAL CORRESPONDENT FROM BERLIN


იტალიური ფილების სალონი



TILE salon

- ნებოცემენტი
- იზოლაცია
- სანტექნიკა
- შემრევები
- ჰიდროაბაზანები
- ავეჯი და აქსესუარები
- მოსაპირკეთებელი მასალები

მისამართი: თბილისი 0179, ი. აბაშიძის ქ.№49. ტელ: (995 32) 23-36-77
www.unifsp.ge

# საცხოვრებელი - ინტელექტუალურობის კრედო



ვაგრძელებთ გაცნობას აზერბაიჯანელი კოლეგების შემოქმედებასთან.

ამჟამად, არქიტექტურულ-შემოქმედებით წყვილის - რაგიმ და ნაილა სეიფულაევებს წარმოგიდგენთ. არქიტექტორთა შესახებ არსებული შემოქმედებითი დოსიე, დაგვეთანხმებით, ზუსტად ასახავს მათ მიღწევებს არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში.

- რაგიმ სეიფულაევმა არქიტექტურული განათლება აზერბაიჯანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიიღო. ინსტიტუტის დამათავრებისთანავე სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში - „აზგოსპროექტში“ დაიწყო მუშაობა. ორიოდე წლის შემდეგ, ოჯახთან ერთად, ქალაქ ნორილსკში გადავიდა საცხოვრებლად და საქმიანობა ქალაქის საპროექტო ინსტიტუტში „ნორილსკპროექტში“ განაგრძო. აქედან, ერთი წლის თავზე, ქალაქის სამხატვრო სახელოსნოს (სახელოსნო, ქალაქის საზოგადოებრივი ინტერიერების დიზაინზე მუშაობდა) ხელმძღვანელად იქნა მიწვეული.

1976 წლიდან არის სსრკ არიტექტორთა კავშირის წევრი. 1980 წლიდან - სსრკ მხატვართა კავშირის წევრი.

1982-1991 წლებში იყო ბაქოს მთავარი მხატვარი.

1992 წლიდან დღემდე დაკავებულია კერძო პრაქტიკით.

1999 წლიდან არის აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის
ნამდვილი წევრი.

2002 წელს მიენიჭა აზერბაიჯანის დამსახურებული არქიტექტორის წოდება.

- ნაილა სეიფულაევამ, მეუღლის დარად, აზერბაიჯანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიიღო არქიტექტურული განათლება. პრაქტიკული საქმიანობა სპეციალურ სამხატვრო საკონსტრუქტორო ბიუროში (СХКБ-ში)
დაიწყო. 1970-1980 წლებში ქალაქ ნარილსკის სამხატვრო სახელოსნოში მოღვაწეობდა.

1976 წლიდან არის სსრკ არიტექტორთა კავშირის წევრი. 1980 წლიდან - სსრკ მხატვართა კავშირის წევრი.













ნაილა სეიფულაევას მიერ შექმნილი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მხატვრული ნიმუშები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციებში ინახება. ახალი ათასწლეულის მიჯნაზე, ლონდონში, ქალბატონი ნაილას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა შედგა.

ოჯახს, ზოგჯერ აერთიანებს, როგორც საერთო ყოფა და შვილები, ასევე შემოქმედებითი იდეები. რაგიმ და ნაილა სეიფულაევები, ამ მიმართებით იდეალურად ჰარმონიულ წყვილს წარმოადგენს. მათი არქიტექტურულ-პროფესიული ტანდემი წლების განმავლობაში მრავალი წარმატებული შედეგის საფუძველია. მოგეხსენებათ შემოქმედებითი პროცესი თავისთავად კომპრომისებსაც მოიცავს და ყოველი განხორციელებული იდეა შინაგანად დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, უფრო ზუსტად კი, კიდევ უკეთესის შექმნის სურვილს ბადებს. აბსოლუტურად იდენტურია არქიტექტურული წყვილის დამოკიდებულება ყოველი ახალი ობიექტისადმი. იცვლება ლანდშაფტი, არქიტექტონიკა, ინტერიერი, დიზაინი და ყოველ მოცემულ შემთხვევაში შედეგი წარმატებულია - იგი ზუსტად შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს და ხშირად აღემატება კიდეც თავისი თვითმყოფადობით.

არქიტექტურული წყვილი იდენტური დატვირთვით მუშაობს ნებისმიერი სპეციფიკისა და სირთულის არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტის განსახორციელებლად. ამჯერად, შესაძლებლობა გვეძლევა, მათი მრავალფეროვანი შემოქმედებითი პალიტრიდან, ახლახანს რეალიზებული, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ფრაგმენტები წარმოგიდგინოთ.

თითოეულ შემთხვევაში, არქიტექტურული მოცულობა პლასტიურად ვითარდება. ყოველი მონაკვეთი ინდივიდუალურია და არაორდინალური ხერხებით პროფესიულადაა გადაწყვეტილი. მთლიანი სივრცის, მისი ელემენტების გათავისება გარკვეულ გონებრივ ფო-












კუსირებას მოითხოვს. შენობების მოცულობათა არქიტექტონიკა, მყუდრო, ნათელი სივრცეები კონკრეტული ოჯახების, ადამიანების შემოქმედებითი ცხოვრების სტილისა და კომფორტის გარანტია. კომპოზიციათა გეოგრაფიული და ესთეტიკური ცენტრები, მთლიანი ღერძი, საცხოვრებელი ზონების ორგანიზაცია, მათი მოძრაობის ხაზის დინამიკა და საერთოდ საცხოვრებლების ერთიანი ატმოსფერო თავისუფლებისა და ლაკონურობის შეგრძნებითაა განმსჭვალული, ვიზუალურად გაზრდილია, ხისტ საზღვრებს სცდება და გარემოსთან ორგანულადაა შერწყმული.

იდეის გარეგნული მოჩვენებითი „სიმარტივე“ გააზრებულ ფუნქციონალიზმთან და კომფორტთანაა შერწყმული. ამგვარად იქმნება „პიროვნულობისკენ“ მიმართული ბინის დიზაინი. ეს სტილი ძალზედ მოსახერხებელია სივრცის შემდგომი გარდასახვისათვის, რადგან დიზაინი, პრაქტიკულად, ხელოვანის მიერ შექმნილ, ნებისმიერ დეტალს „ითვისებს“. ეს დეტალები და აქსესუარები „საკუთარი“, განსაზღვრული ადგილების დაკავებით ინტერიერს დასრულებულ სახეს აძლევს და ამით განუმეორებელ საცხოვრებელ ატმოსფეროს ქმნის.

ნინო ლალიძე

# A House as an Accessory of Intellectual Lifestyle









More information on the activities of our colleagues from Azerbaijan – today, we would like to tell you about the work of architects Ragim and Naila Seipulaev, whose portfolio fully reflects their successful background in architecture and design.

Ragim Seifulaev accomplished his architectural education in Azerbaijan Polytechnic Institute and started to work in State Design Institute AzGosProjekt immediately upon graduation. A couple of years later, he moved to Norilsk and continued to work as an architect in the City Design Institute NorilskProjekt and, later on, as a director of City Public Interior Design Studio.

In 1976, Ragim Seifulaev became member of the Union of Architects of USSR; in 1980 – member of the Union of Artists of the USSR.

In 1982-1991 Ragim Seifulaev occupied the position of the Chief Artist of Baku.

Since 1992 he engaged in a private architectural business.

In 1999, Ragim Seifulaev was elected a full member of the International Architectural Academy of Oriental Countries.

In 2002, Ragim Seifulaev was granted a title of the Merited Architect of Azerbaijan.









Like her husband, Naila Seifulaeva studied architecture in Azerbaijan Polytechnic Institute and started her professional activities in the State Creative Design Office. In 1976-1980, Naila Seifulaeva worked in the Creative Design Studio of Norilsk. Naila Sefulaeva had been a member of the Union of Architects of USSR since 1976 and member of the Union of Artists of the USSR since 1980.

Naila Seifulaeva's decorative designs are stored in private collections all over the world. In the beginning of the 21st century, the personal exhibition of Naila Seifulaeva's works was arranged in London.

Families are often united not only by the habit of joint life and the children, but creative ideas too. From this point of view, Ragim and Naila are an ideal couple. Activities of their professional tandem have resulted in numerous achievements. Through the years of working with diverse architectural environments, landscapes, architectonics, interiors, they have successfully retained their approach – prioritized aspiration toward perfection and the readiness to compromise in order to achieve harmony.

This time, we have an opportunity to describe several realized residential houses, designed by Ragim and Naila Seifulaev.

The distinguishing traits of their architecture are flexibility, originality and elegance, forming an inspiring environment tailored to meet the requirements of a family intending to live therein. Seeming simplicity of the concept is merged with functionality and comfort, allowing further "personalization" and creation of a unique living atmosphere.

NINO LAGHIDZE





# ჩეხეთის არქიტექტურული ანონსი თბილისში













18 მაისს საქრთველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში „უნივერსი", ჩეხი არქიტექტორების - ჟან ბოჩანის, ოლეგ ჰამანის და პეტერ ნოვაკის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი;
- საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.

სპონსორები:

დეველოპერული კომპანია „ლიბო+";

სამშენებლო კომპანია „სასკო".

გამოფენაზე თავი მოიყარა ქართული არქიტექტურული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებმა, საქართველოში არსებული ჩეხეთის საელჩოს ოფიციალურმა პირებმა, დამსწრეთა შორის იყო ჩეხეთის ელჩი ბატონი იოზეფ ვრაბეცი.

გამოფენა გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა გოჩა მიქიაშვილმა. მან საზოგადოებას წარუდგინა ჩეხი არქიტექტორები. სიტყვით გამოვიდნენ ქართული არქიტექტურული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები ბატონები: გიორგი სალუქვაძე, ვახტანგ დავითაია, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი დავით აბულაძე. დამსწრე საზოგადოებას თავიანთი შემოქმედებითი მიღწევების წარმოჩენით წარუდგნენ ჩეხი არქიტექტორები.

გამოფენა ჩეხეთის და საქართველოს კულტურული ურთიერთობების ფარგლებში გაიმართა. ამ ურთიერთობებს დიდ ხნის ტრადიცია აქვს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩეხმა კომპოზიტორმა იოსებ რატილმა, უდიდესი ამაგი დასდო ქართული კულტურის განვითარებას, კერძოდ მუსიკალურ ხელოვნებას.

შედარებით ახალია კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენის -არქიტექტურის სფეროში თანამშრომლობა. მაშინ როცა ჩვენს ქვეყანას ბოლო დროს ასე მოეძალა უცხოური, არცთუ მაღალი ხარისხის არქიტექტურა.

ჩვენი საზოგადოება არა არის განებივრებული მსგავსი გამოფენებით. არა და მათი მნიშვნელობა განუზომელია, მით უმეტეს როდესაც დაინტერესებულ ადამიანებს, მათ შორის არქიტექტორებს, უჩნდებათ პირადი კონტაქტის დამყარების და ურთიერთობის შესაძლებლობა საქვეყნოდ ცნობილ არქიტექტორებთან. ამ ურთიერთობების დროს მრავალი საინტერესო, შორს მიმავალი ერთობლივი პროექტი თუ საქმიანობა შეიძლება დაიგეგმოს.

ჩვენი სტუმრები - გამოფენის მონაწილენი, ჩეხეთის ცნობილი არქიტექტორები არიან. მათ მრავალ საერთაშორისო კოკურსში მიიღეს მონაწილეობა და დიდი წარმატებითაც. შემთხვევითი არა არის, რომ ჩეხეთის ერთ-ერთი წამყვანი არქიტექტორი, პროფესორი ჟან ბოჩანი ჯერ კიდევ 2004 წელს არჩეული ქნა სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის საპატიო პროფესორად. ამდენად მან მოვალედ ჩათვალა თავი, საკუთარი თუ თავისი კოლეგების ნამუშევრებით წარმდგარიყო ქართველი სტუდენტების, პროფესიონალი არქიტექტორების და საერთოდ ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე.

უდაოა ეს გამოფენა დადებით იმპულსს მისცემს ქართველი და ჩეხი არქიტექტორების ურთიერთობას. სტუ-ს პრორექტორთან პროფესორ არჩილ ფრანგიშვლთან, ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი მილოსლავ პავლიკისა და ჩეხი არქიტექტორების შეხვედრის შემდეგ, ორი ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების - საქართველოს და ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის არსებული კონტაქტები კიდევ უფრო გაღრმავდება. უკვე მიღწეულია შეთანხმება, რათა მოხდეს ჩვენი და ჩეხი სტუდენტების გაცვლა საზაფხულო ვორქშოფებში მონაწილეობის და პროფესიული პრაქტიკის გავლის თვალსაზრისით. სავსებით რეალურია ქართველი და ჩეხი არქიტექტორების პროფესიული თანამშრომლობაც, ჩეხი არქიტექტორების ჩართვა სხვადასხვა ქართული არქიტექტურული თუ დეველოპერული ფირმების საქმიანობაში.








# Czech Architecture Introduces Itself to Tbilisi

On May 18, exhibition of Czech architects Jan Bochan, Oleg Haman and Peter Novak opened in UNIVERSI Exhibition Hall of the Georgian Technical University.

The exhibition was organized by Architecture, Urban Development and Design Faculty of the Georgian Technical University and the Union of Architects of Georgia with the support of Developer Company LIBO+ and Construction Company SASCO.

The exhibition was attended by notable members of the Georgian architectural community, the Ambassador of Czech Republic in Georgia Mr. Josef Vrabec and other official representatives of the Czech Embassy.

The honor of opening the exhibition and introducing the Czech architects to the attendees was conferred upon Gocha Mikiashvili, the dean of Architecture, Urban Development and Design Faculty of the Georgian Technical University. Welcome speeches were also pronounced by prominent Georgian architects Giorgi Salukvadze, Vakhtang Davitaia, David Abuladze, Chairman of the Union of Architects of Georgia.

The exhibition was a part of long-term Czech-Georgian cultural exchange tradition, of which architecture is a comparatively new component. Though the inflow of foreign architecture into our country is rather intense, Georgian public does not often have a chance to attend quality architectural exhibitions, enabling the stakeholders to gain new information, plan interesting projects and joint actions.

Our guests, participating in the exhibition, do have their say in Czech architecture. They have successfully participated in numerous international competitions; professor Jan Bochan, who has been elected a honorary member of Architecture Institute at the Georgian Technical University in 2004, felt obliged to present his works to the Georgian students, professional architects and Georgian public in General.

The exhibition will surely provide an additional incentive to development of friendly relationship between Czech and Georgian architects. At the meeting, which professor Archil Prangishvili, pro-rector of the Georgian Technical University, held with Miloslav Pavlic, pro-rector of the Czech Technical University, and the Czech architects, it was decided to deepen and reinforce the existing links between the Georgian and Czech Technical Universities, arrange student exchange programs for summer workshops and internships and, possibly, establish professional cooperation between Czech and Georgian architects.









# ჟან ბოჩანი, პარტნიორები, კასუა

მაისის თვეში თბილისში ჩეხი არქიტექტორების ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

ძირითადად წარმოდგენილი იყო ჩეხური არქიტექტურული კომპანიების „ბოჩანი & პარტნიორებისა" და „კასუას" პროექტები თუ რეალიზებული ობიექტები. ევროპელი არქიტექტორების მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული პალიტრა ახალი პროგრესული ფორმით გამოირჩეოდა. მათ, განაშენიანების ცალკეული ობიექტის თუ ინტერიერული ფრაგმენტების გამრავალფეროვნებისა და მაღალმხატვრული სახის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მთელი რიგი პრინციპული გადაწყვეტები წარმოაჩინეს. ყოველ მოცემულ შემთხვევაში, ობიექტის კომპოზიციის არქიტექტურული მთლიანობის უზრნველსაყოფად გამოყენებული ინდივიდუალური პროფესიული ხერხების ფუნქციონალურ-გეგმარებითმა სიახლეებმა, მოცულობით-სივრცობრივ სტრუქტურათა მრავალმხრივი ვარირება განაპირობა. წარმოჩენილში, ინდუსტრიული ელემენტების აქტიური პლასტიკით არქიტექტურის მაღალი, ემოციურ-მხატვრული ჟღერადობაა მიღწეული. არქიტექტურული საშუალებების მრავალფეროვნების ფონზე, კიდევ ერთი, საინტერესო საწყისი გამოიკვეთება - ობიექტის არქიტექტურის გადაწყვეტისას, ტრადიცია თანამედროვე აღქმით ვითარდება. ყოველივე კი მაღალი ოსტატობის დასტურია.

საპროექტო სტუდია „ბოჩანი & პარტნიორები" საპროექტო სამუშაოების შესრულებისას, მის ყველა ეტაპს (დაწყებული წინა საპროექტო სამუშაოებიდან, დამთავრებული მშენებლობის ზედამხედველობით) უზრუნველყოფს.

არქიტექტორი, ინჟინერი, პროფესორი ჟან ბოჩანი მუშაობდა საპროექტო საკონსტრუქტორო ბიუროში, მოგვიანებით კი სტუდია "BETA" -ში, რომელსაც ხელმძღვანელობდა არქიტექტორი ჟან სტამეკი.

დროის ძალზე მცირე პერიოდის მანძილზე ამ სტუდიაში მეტად ნაყოფიერი შემოქმედებითი გუნდი შეიქმნა. არქიტექტურულ კონკურსებში მიღწეულმა შედეგებმა მათ საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაუთქვეს სახელი. ამ პერიოდის განმავლობაში ჟან ბოჩანის მთავარი პარტნიორი პროექტების შექმნაში ინჟინერი ზდენეკ როტბაუერი გახლდათ.

1990 წლის პირველი სემესტრიდან ჟან ბოჩანი საპროექტო შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი გახლდათ ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, სადაც მასთან ერთად მუშაობენ არქიტექტორები იან პლადიკი, იაკუბ კონატა, დევიდ ბრაუნი. იმავე პერიოდში მან ჩამოაყალიბა საკუთარი საპროექტო სტუდია „ბოჩანი & პარტნიორები".

სტუდენტურ კონკურსებში ჟან ბოჩანის სტუდია ყო-









ველთვის იყო დაფასებული, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო. მრავალ ნომინაციაში გამარჯვება და უამრავი ჯილდო საუკეთესო პროექტებისათვის და საუკეთესო სახელოსნო-სტუდიისათვის ამის ნათელი დასტურია.

ჩეხეთის ნაციონალურ არქიტექტურულ კონკურსებში მისი სტუდენტები ხშირად იმსახურებენ უმაღლეს შეფასებას. ჟან ბოჩანის სტუდენტები მისი პარტნიორები და თანამშრომლები არიან საპროექტო სტუდიაში, რომელიც წარმატებით აგრძელებს შემოქმედებით და საშემსრულებლო მოღვაწეობას.

არქიტექტურული კომპანია „კასუას“ საქმიანობის სპექტრი საკმაოდ ვრცელია. იგი იდენტური დატვირთვით მუშაობს ქალაქგეგმარებით და რესტავრაცია-რეკონსტუქციის სფეროში, დამოუკიდებელ ობიექტებზე, და სხვადასხვა დანიშნულების ინტერიერების შესაქმნელად, მცირე არქიტექტურულ ფორმებზე, და ლანდშაფტის არქიტექტურაზე და ა.შ. მისი პროფესიული საქმიანობის ფილოსოფია ეფუძნება ორი მნიშვნელოვანი დარგის - არქიტექტურისა და სამშენებლო ინჟინერიის თანამშრომლობას, რაც მუშაობის სხვა სპექტრების კოორდინაციას წინასწარ განსაზღვრავს. ამ პრინციპის სულისჩამდგმელები, რომლებიც ამავდროულად კომპანიის თანამფლობელებიც არიან, გახლავთ არქიტექტორი ოლეგ ჰამანი და ინჟინერ-მშენებელი ალეშ პოდებროდი. კომპანიაში გაერთიანებულია 35 არქიტექტორი და ინჟინერ-მშენებელი. დღიდან მისი დაარსებისა, „კასუა“ თანამშრომლობს სხვადასხვა მსხვილ კლიენტებთან, მათ შორის - სახელმწიფო კომპანიებთან, მუნიციპალურ სტრუქტურებთან, ბანკებთან, სადაზღვევო თუ საერთაშორისო დეველოპერულ კომპანიებთან, , კერძო ინვესტორებთან, საელჩოებთან და სხვა.

კომპანია „კასუა“ არის:

- 2005 წლიდან ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის სერთიფიკატის მფლობელი;

- საერთაშორისო Iშ□ 9001/2000 სერტიფიკატის მფლობელი;

- 2007 წლის იანვრიდან საერთაშორისო კომპანიის „ექვატორის“ („ევროპის არქიტექტორები“) წევრი.



მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაცნობოთ, რომ „ექვატორი“ არის საერთაშორისო არქიტექტურული ქსელი, რომელშიც გაწევრიანებულია 240 თანამშრომელი. იგი მოიცავს ცხრა ოფისს ევროპის სხვადასხვა წერტილებში (ბელგია, რუმინეთი, ირლანდია, ფინეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, ჩეხეთი, შვედეთი და პოლონეთი). „ექვატორი“ ადგილობრივი სპეციფიკის ცოდნასთან და საერთაშორისო მასშტაბის რესურსებთან ახდენს კომერციული მიზნების კომბინირებას. მისი მუშაობის სამი მთავარი პრინციპია - კლიენტის ინტერესების სრულად დაკმაყოფილება; შემოქმედებითი დიზაინი; ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობა.

დაგვეთანხმებით, ყოვლივე ზემოთთქმული კომენტარს არ საჭიროებს.

მასალა მოამზადა ნინო ლაღიძემ











# Bochan & Partners, Casua

In May 2007, Tbilisi hosted an exhibition of Czech architects.

The majority of projects and realized works displayed at the exhibition belonged to Czech design studios Bochan & Partners and Casua. The range of architectural works, presented by the European architects, comprised urban planning, construction, interior design – a diversity of professional solutions, creativity and innovative approach.

Design Studeio "Bochan & Partners" covers all stages of design activities (starting with initial design and ending in supervision of construction works).

Jan Bochan – architect, engineer, professor, started his professional career in Design Engineering Bureau and, later on, in Beta Studio, run by architect Jan Stamec.

In a very short period of time, Beta Studio gathered an immensely productive team of architects, who successfully promoted Czech architecture by participating in various architectural competitions. During this period, Jan Bochan mainly designed his projects in partnership with engineer Zdenec Rotbauer.

In 1990, Jan Bochan became the head of creative design studio at the architectural faculty of the Czech Technical University, where he works in cooperation with architects Jan Hladic, Jacub Konata and David Braun. In the same year he established an engineering his on design studio "Bochan & Partners".

Jan Bochan's studio always stood out as one of the best at the students' architectural competitions, winning numerous prizes and best project / best studio awards.

Students of Jan Bochan often get high evaluation in domestic architectural competitions. Many of them become Jan Bochan's partners and pursue their career in the engineering studio, which successfully implements its design and construction activities.









The range of activities of Casua Company is rather wide, covering urban planning and reconstruction, separate sites and interior design, minor architectural forms and landscape architecture. Philosophy of their professional activities are based on a tight cooperation and communication of two crucial professions: architect and civil engineer. This cooperation predetermines consequential coordination of other profession. The main bearers of this cooperation and simultaneously co-owners of the company are architect Oleg Haman and civil engineer Ales Podebrad. At the time being, Casua comprises 35 architects and civil engineers. Since its establishment in 1991, CASUA worked for a lot of clients starting with large state companies, banks, private investors, embassies, etc.

CASUA is holder of National Security Authority Certificate since 2005 and a holder of ISO 9001/2000 certificate and member of Equator European architects since January 2007.

We would like to note here that Equator is an international architectural network, employing a 240-man staff in 9 offices all around Europe (in Belgium, Romania, Ireland, Finland, Portugal, France, Czech Republic, Sweden and Poland). Equator combines business objective with local expertise and international resources to deliver value through design. The 3 key values, to which Equator network is committed are clients' objectives, creative design and interactivity. You would agree that no further comment on our part is required.

MATERIALS COMPILED BY NINO LAGHIDZE







# იტალიის მილანი, მილანის ჯიანინო


კახი და ნუკა

სპორტი, უდაოდ ეროვნული სიამაყეა, ეროვნული აღორძინების, ქვეყნის წარმოჩენის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა და ბედნიერებაა, როცა თანამედროვე ქართულ სპორტულ სამყაროში მრავალი ცნობილი სახეა, რომლებიც სხვადასხვა მიღწევებით იპყრობენ ყურადღებას.

კახი კალაძე – ფეხბურთის ეროვნული ნაკრების კაპიტანი, იტალიის საფეხბურთო კლუბის „მილანის" მცველი – განსაკუთრებული კრიტერიუმებით გამოირჩევა და კარგა ხანია მისი პერსონა საერთაშორისო მასმედიის არეალის ცენტრშია მოქცეული. წარმატებულმა სპორტსმენმა რადიკალურად განსხვავებულ სფეროებშიაც მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს. იგი, საქვეყნოდ ცნობილი ჟურნალის, **MAX**-ის გამომცემელია (კიევი, უკრაინა), ფეშენებელური რესტორნის **Giannino**-ს (მილანი, იტალია) დამფუძნებელია და ახლო მომავალში განსახორციელებლად, კვლავ საინტერესო, არაორდინალურ პროექტებზე მუშაობს.

ჩვენი ჟურნალის სპეციფიკიდან გამომდინარე, შევეცადეთ დაგვეფიქსირებინა კახი კალაძის რეალიების ერთ-ერთი ფრაგმენტი და ამჯერად, შეძლებისდაგვარად, რესტორან **Giannino**-ს ინტერიერულ გარემოს გაგაცნობთ, რომელიც სხვათაშორის, პირველად შუქდება ქართულ საინფორმაციო სივრცეში. ვისარგებლეთ აგრეთვე, კახი კალაძის თბილისში დროებითი ყოფნით და მას **Giannino**-სა და საერთოდ არქიტექტურის შესახებ გავესაუბრეთ.




**– ბატონო კახი, როგორ შეიქმნა Giannino-ს ინტერიერული სივრცე?**

– ინტერიერის დიზაინი იტალიელი არქიტექტორ-დიზაინერის ფლავიო კაპრიოტის პროექტით განხორციელდა თვით პროექტი კი, პროფესიონალმა ჩემთან შეთანხმებით - ჩემი მოსაზრებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნა.





**– შედეგი, მართლაც წარმატებულია, სამომავლოდ, თუ გაქვთ დაგეგმილი, იდენტური ან განსხავავებული დანიშნულების საზოგადოებრივი ობიექტის გახსნა-ფუნქციონირება?**

– დიდი სურვილი მაქვს და უახლოეს პერიოდში ვაპირებ კიდეც, გავხსნა მსგავსი იტალიური რესტორანი კიევში.

**– რომელ არქიტექტურულ სტილში უნდა იყოს გადაწყვეტილი, თქვენთვის მისაღები ინტერიერი?**

– დამეთანხმებით, გემოვნებაზე არ დაობენ. ამ თვალსაზრისით, მე მოდერნისა და კლასიკური სტილის სინთეზს ვანიჭებ უპირატესობას.

**– საინტერესოა თქვენი შთაბეჭდილებები, ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების წესის – მისი საცხოვრებელი გარემოს აღქმისას.**

– ქართულ ინტერიერს, ჩემი აზრით, გარკვეული ჩამოყალიბებული სახელი არ გააჩნია. უფრო ხშირად, იგი ეკლექტიკურია და მასში შეიძლება ჰაიტეკის, ქანთრის, კოლონიალური თუ კლასიკური სტილის ელემენტები ნახოთ, ბოლოსდაბოლოს ადამიანს უფლება აქვს იცხოვროს იქ, სადაც თავს კარგად გრძნობს და რა მნიშვნელობა აქვს მისთვის მისი გარემოს სტილს? თუმცა ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი საზოგადოების გემოვნება, მოთხოვნილებები და ინტერესი ინტერიერის მოწყობის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

**– საქართველოში მშენებლობის ბუმია გაჩაღებული. როგორ შეაფასებდით უახლეს სამამულო არქიტექტურას, ევროპის, ვთქვათ, იტალიის თანამედროვე არქიტექტურის ფონზე?**

– რაც შეეხება არქიტექტურის - პროფესიონალიზმის დონეს, იტალიის თანამედროვე არქიტექტურა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო მასშტაბით. საქართველოში კი, სადაც პროფესიონალს შემოქმედებითი თავისუფლება სულ რამდენიმე წელიწადია მიეცა, იქმნება საშუალო, კარგი, საუკეთესო თუ უნიკალური, საბოლოოდ კი არქიტექტურა თვითმყოფადობას შეიძენს, უდაოდ.

... Giannino-ს სადა და მყუდრო ატმოსფერო, ფერთა კლასიკური პალიტრა, დახვეწილი ფურნიტურა და სასიამოვნო აურა...

აქ, თანამედროვე დიზაინის ელემენტები ისტორიულად ჩამოყალიბებულ სივრცობრივ სტრუქტურასთანაა შერწყმული. მკვეთრად გამოხატული სტილისტური სპეციფიკის, დამოუკიდებელი მოცულობითი კომპოზიციის მქონე ეგზოტიკური ინტერიერი არაჩვეულებრივ გარემოს ქმნის საქმიანი შეხვედრებისთვის, დასვენებისა და გართობისათვის.

ნინო ლალიძე







# Milan, Italy – Giannino, Milan










Kakhi Kaladze – captain of the Georgian national football team, player of Italian Milan F.C. – is an outstanding personality, attracting a great deal of attention on the part of international mass media. A sportsman of remarkable performance, Kahi also achieved success in radically different fields. He founded a very popular MAX Magazine in Kiev (Ukraine) and a fashionable restaurant GIANNINO in Milan (Italy); at the time being, Kakhi works on more interesting and original projects to be implemented in the near future.

Considering the specificity of our magazine, we chose to cover one particular fragment of Kakhi Kaladze's life – the interior of GIANNINO Restaurant and his views on architecture in general.

**How was the interior of GIANNINO designed?**

The project of interior design was developed by the Italian architect-designer Flavio Capriotti based on my own ideas and requirements.

**The result is successful. Does it make you wish to create another public establishment?**

Yes, of course. In the nearest future I am going to open a similar Italian restaurant in Kiev.

**What is your preferred interior design style?**

Chacun a son gout, you would agree with that. I personally favor a synthesis of modern and classical styles.

**What do you think about the current lifestyle, living environment of the Georgian public?**

I believe Georgian residential interior design could not be classified under a definite name. Most often, you find there a little of everything – hi-tech, country, elements of colonial and classical styles. After all, one can live where one likes and there is no need to live in an environment of a definite style. But in general it can be said that the taste of the Georgian public and their interest toward interior design have increased considerably.

**Considering the growing popularity of construction in Georgia, how would you evaluate the present-day Georgian architecture compared to modern European, e.g. Italian architecture?**

As regards the level of professionalism, modern Italian architecture is one of the best in the world. In Georgia, where professional architects acquired creative freedom just several years ago, architecture is yet a mixture of good and bad, original and trite. But considering the high speed of its development, the day when Georgian architecture finds its unique image is not so far away.

…In the reserved and comfortable atmosphere of GIANNINO Restaurant, the elements of modern design are skillfully combined with the historically developed structure of the space. The exotic interior with clearly expressed specific style and independent volumetric composition provides a perfect setting for business meetings, relaxation and leisure.

NINO LAGHIDZE

ისარი

isARE

ADVERTISING

- მინის საზღვარი რეალობასთან
- რეკლამა პლაზმურ მონიტორებზე
- საუკეთესო ბარ-რესტორნებისა და კაფეების ქსელი
- M group, GMC და ინდივიდუალური

P.S ჩვენ ზუსტად ვიცით როგორი უნდა იყოს
სარეკლამო რგოლი პლაზმურ მონიტორზე
ისარი ამას უსასყიდლოდ დაგიმტკიცებთ

წერეთლის 92, 0160 თბილისი
ტელ: 390748, ფაქსი: 390036

ინტერიერი

ITERIOR

# მეტეხის ჩრდილქვეშ

წარმოდგენილი ინტერიერი თავისი არქიტექტონიკით, მასში შესაბამისი განწყობის შესაქმნელად სასიამოვნო ანტურაჟს ქმნის. რესტორნის „მეტეხის ჩრდილში“ მყუდრო, კომფორტული გარემო ნინო ახვლედიანისა და გია ჯაოშვილის დიზაინით შეიქმნა. მისი მკვეთრი, დასამახსოვრებელი სახე - მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიცია, ცენტრისადმი სიმეტრიულად თუ ასიმეტრიულად გადანაწილებულ მოცულობებზეა დაფუძნებული, ამდენად დინამიკური და შთამბეჭდავია. მოცულობების დანაწევრების თავისებური ხედვა სივრცის მთლიანობის, მოქნილი სილუეტის განმსაზღვრელია.

საინტერესო, ცოცხალი ინტერიერული კომპოზიციების განხორციელებით ავტორები უამრავ სიურპრიზს გვიწყობენ. ინტერიერის ატმოსფერო აბსოლუტურად შემინული ნახევარწრიდან შემოსული სინათლითა და ჰაერითაა სავსე და თავისუფლების შეგრძნებითაა გაჟღენთილი. უზარმაზარი შემინული სიბრტყეები ზრდიან საზღვრებს და მათი მცდელობა მოაქციონ იგი ხისტ, თუნდაც გამჭვირვალე ჩარჩოში ამაოა. გარე სამყარო - ძველი თბილისის ულამაზესი პანორამა ინტერიერის სტრუქტურულ ელემენტათაა გარდაქმნილი.

დეტალების გრაფიკული ნახატის მოძრაობა მოულოდნელ რაკურსებს ხსნის. სხვადასხვა მასალის თამამ, დახვეწილ კომბინირებას, კონსტრუქციისა და მოპირკეთების ურთიერთზემოქმედების გამოვლინებას დიზაინერები პროფესიული ოსტატობით მოეკიდნენ და წამყვანი ელემენტების წარმოჩინებით, მთლიანი სივრცის თავისუფლების მზარდი ხარისხის გამოყენებით, თვითმყოფადი გარემო შექმნეს.

ნინო ლაღიძე

ფოტო: გია ჯაველიძე















# In the Shade of Metekhi

The comfortable and peaceful interior of this restaurant has been created by Nino Akhvlediani and Gia Jaoshvili.

Its unusual and memorable design is based on dynamic and flexible planning with clearly delimited zones, which nevertheless leave an impression of integrity. Semicircular, fully glazed wall fills the space with air and sunlight and merges the interior into the magnificent panorama of old Tbilisi. Unusual combinations of construction materials, distribution of dominant elements and accessories allowed the designers to form a free and original atmosphere, a place, which is always a pleasure to visit.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY GIA JAVELIDZE









# კაშე

ქალაქის ისტორიული უბნის რეგენერაცია, მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება აუცილებელი პროცესია, რადგან ის რაც ღირებულია, ისტორიას არ უნდა ჩაბარდეს. სწორედ რეგენერაციის შედეგად მოხდა ბამბის რიგისა და შარდენის ქუჩების ჩართვა ქალაქის მაჯისცემაში. აქ არსებული ისტორიული შენობების შიდა და გარე სივრცეების თანამედროვე კონტექსტში შერწყმამ მნიშვნელოვანი გახადა გარემოს მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიცია. ჩვენ არაერთხელ შევეხეთ ბამბის რიგის ქუჩაზე მდებარე ისტორიული „მანთაშევის რიგების“ არქიტექტურულ ანსამბლს. იგი, საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლადაა აღიარებული.

ნაგებობის გეგმარებამ რეკონსტრუქციის შედეგად ცვლილებები განიცადა, რაც გარკვეულწილად მისმა მრავალფუნქციურმა დანიშნულებამ განაპირობა. შენობაში განთავსებულია საკონფერენციო და საგამოფენო სივრცეები, საოფისე სათავსოები, კაფეები, „თუ საით“ ქსელის ბარი და რესტორნები. ამჯერად, წარმოგიდგენთ მის მოცულობაში რეალიზებულ ახალ კაფეს - „კაშე“, რომლის დიზაინიც ალექსანდრა აბზიანიძისა და სოფო ცხვედიანის იდეებით შეიქმნა. ფუნქციურად ორგანიზებულ, ულამაზესი სივრცის დიზაინში მრავალფეროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი, გასაზღვრულ და დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული. განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით წარმოქმნილი არაორდინალური სივრცე, ყოველ მოცემულ შემთხვევაში ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ სტრუქტურაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲦᲘᲫᲔ
ᲤᲝᲢᲝ: ᲒᲘᲐ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ













# CACHE

Regeneration of the historical districts of a city, retention of their viability is an indispensable process, enabling to conserve the most valuable characteristic traits of a place. This is the reason why Shardeni and Bambis Rigi Streets were restored to life. Rehabilitation of their historical buildings and outdoor spaces highlighted the importance of local space composition. We have repeatedly covered the architectural complex of Mantashevis Rigebi, located in Bambis Rigi Street, which has been recognized as a historical / architectural monument of national importance.

After reconstruction, planning of the construction was modified to correspond to the numerous functions it now combines. Mantashev complex houses conference and exhibition spaces, offices, cafes, a bar of Two Side network and several restaurants.

This time, we would like to tell you about a new café CACHE, recently opened in the same building. Its interior has been created by Alexandra Abzianidze and Sopo Skhvediani. An attractive and at the same time highly functional design is smoothly integrated with its environment. Lighting, colors, accessories, proportions, moving graphics – these tools proved much more efficient in forming this unordinary space than an artificially developed structure based on advanced technologies would.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY GIA JAVELIDZE

# სერვის-მშენი



საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქუჩა №51-ში
ავტორები: თ. მურვანიძე, ლ. კუპრაშვილი,
ბ. აბრამიშვილი, რ. ებრალიძე

- პროექტირება;
- არქიტექტურული ნახაზების სივრცობრივი ვიზუალიზაცია;
- კონსტრუირება;
- საპროექტო გადაწყვეტების შეთანხმება;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- მშენებლობა;
- ულტრათანამედროვე მასალებითა და აღჭურვილობით ობიექტის კომპლექტაცია;
- ყოველი ეტაპის ზედამხედველობა.

თბილისი,
ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 45-01-52

# ფრანგული ელეგანტურობა

სულ ახლახანს, ძველ თბილისში, პროკრედიტ ჯგუფის ინიციატივით კიდევ ერთი, ულამაზესი, ფრანგული რესტორანი „ლექსპრესი“ გაიხსნა. მისი ინტერიერის დიზაინის ავტორია გოგა ჩხეტია. ელეგანტურ გარემოში მოხვედრისას „ლექსპრესის“ ფრანგული „სურნელი“, თავიდანვე ამაღლებულ, რესპექტაბელურ შეგრძნებებს იწვევს მნახველში.

ორიგინალური გადაწყვეტითა და საინტერესო მიგნებებით კომფორტული, ესთეტიკურად თვითმყოფადი საზოგადოებრივი სივრცე წარმოიქმნა. ინტერიერში მოცულობები თავისუფ-












ლადაა განთავსებული, თუმცა მათი განლაგება მკაცრ კანზომიერებას ექვემდებარება - ყველაფერი მხოლოდ სილამაზისათვის და სარგებლობისთვისაა შექმნილი. ესთეტიკა სინქრონულად ერწყმის პრაგმატიზმს. სივრცის თითოეული მონაკვეთი დამოუკიდებელი და დამთავრებულია, ყოველი კუთხე და დეტალი პედანტური თანმიმდევრობითაა შესრულებული. ფურნიტურა საერთო ასოციაციაციების სისტემაშია ჩართული და თითქოს არსებული არქიტექტურული ფორმებიდანაა ამოზიდული. გეომეტრიული ჭრილები, მოცულობები, გარემოს მხატვრულ-დინამიკურ გამოხატულებას - ევროპულ შარმს - აძლიერებს და მეტად გამომხატველობითს ხდის.

ნინო ლაღიძე



# საკურა







წარმოდგენილი ინტერიერის ჩამოყალიბებისას, იდეა, „ემოციური მდგომარეობის ცვალებადობის“გამოხატულებად ჩამოყალიბდა. „საკურა“ პატარა იაპონური რესტორანია, თბილისში. იგი პროკრედიტ ჯგუფის დამფუძნებლების ინიციატივით ფუნქციონირებს. მისი ინტერიერი, არქიტექტორების, მიკა ყრუაშვილისა და მარიანა ჭყონიას პროექტით შეიქმნა.

ალმოსავლურ გარემოში, თანამედროვე არქიტექტურული დეკორის ყოველი ნიუანსი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ეკოლოგიური დიზაინის ტექნოლოგიურ ელემენტებთან შერწყმა, ეფექტური და გამომხატველობითია. ერთიანი სივრცის შექმნა, რომელიც სასიამოვნო ურთიერთობებისათვის განგვაწყობს, პროფესიონალთათვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. დიზაინის სახე თანამედროვე დეკორის მოტივებით, მოცულობითა და პლასტიკური გადაწყვეტებით, არქიტექტურული რითმებითაა მიღწეული. თავისუფლად ფორმირებულ სივრცეში, თითოეული ნიუანსია აქცენტირებული, რაც თავისთავად დიზაინის სტილს განსაზღვრავს. სწორედ მიგნებული ინტონაციების ფონზე ინტერიერში შესაბამისი ატმოსფერო, სასიამოვნო განწყობა, სიმყუდროვე, კომფორტი ისადგურებს და იგი მაქსიმალურად სრულყოფილი დასამახსოვრებელი სახით წარმოჩინდება.

ნინო ლალიძე







# ბუფეტის რესპექტაბელური გარემო

რესტორან „ბუფეტის“ ინტერიერს, პრაქტიკულად ვიზუალურად ზრდის, მისი ავტორის, მარიანა ჭყონიას მიერ შერჩეული დიზაინი, რომელიც დამკვეთის, პროგრეს ჯგუფის დამფუძნებლების მოთხოვნების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. მშვიდ და რესპექტაბელურ გარემოში, სადაც დეტალების სიჭარბით ქაოსი არ იქმნება, ყოველი ელემენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ინტერიერში სივრცე ერთ მთლიანობად აღიქმება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ კლასიკური ფორმების გამეორება და ერთიანი ფერითი გამა დომინირებს. ზუსტად შერჩეული მოსაპირკეთებელი მასალა, ლამაზი ტექსტურა და თბილი ტონალობა, მისგან დამზადებული ავეჯი ინტერიერის წარმომადგენლობითობას არბილებს. მთავარია კი ის არის, რომ აქ, მოცემულ შემთხვევაში, თითქმის ყოველთვის რთული დიალოგი დიზაინის ავტორსა და დამკვეთს შორის წარმატებით შედგა.

ნინო ლაღიძე












# ტოკიო

არქიტექტორ მიკა ყრუაშვილის დიზაინით შექმნილი რესტორან „ტოკიოს“ ინტერიერში მრავალფეროვნება, ფორმალური არაერთგვაროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი ერთმანეთთანაა შერწყმული. კლასიკური, გამომხატველობითი საშუალებების ერთი მიზნისკენ მიმართვით სტილური გარემო იქმნება. მასში კულტურულ-მხატვრული ელემენტების შეტანით, ატრიბუტიკის დეკორი მისი დანიშნულების საერთო პრინციპებს შეესაბამება. ამის გათვალისწინებით არქიტექტურული დეტალებისა და ავეჯის დიზაინერული გადაწყვეტა თუ გა-



ნთავსება აღმოსავლური სტილის ესთეტიკას პასუხობს. იგი დახვეწილ პროპორციონალიზმზეა დაფუძნებული. აქ გამეფებულ პატარა სამყაროს სურვილისამებრ ირჩევ, მის წესებს ემორჩილები და მთელი სისავსით შეიგრძნობ ნირვანას.

ნინო ლალიძე











# TOKYO

AUTHOR MIKA KRUASHVILI





# მშვენიერი კონკრეტულ მატერიად გარდაიქმნება

მაქსიმალურად ეფექტურად წარმოჩენილი შედეგი ყოველთვის ორიგინალურობით გამოირჩევა და ფუნქციონალურად და ესთეტიკურად შეესაბამება კონკრეტულ მოთხოვნებს. არქიტექტორ დავით ხურცილავას მიერ შექმნილი, ამჯერად წარმოდგენილი სალონის „ფრანკო პროვოს“ ინტერიერში მოცულობა პლასტიკურად ვითარდება. ყოველი ამოცანა კომპოზიციური ხერხითაა გადაწყვეტილი და კომპოზიციური პრინციპის შენარჩუნებით სათავსოს შიდა სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. ფურნიტურითა და ლამაზი საგნებით შექმნილ სივრცეს, ცალკეული განსაკუთრებული ხიბლის მატარებელ მონაკვეთთა ერთობლიობა ქმნის.

მოცემული ინტერიერი ერთხელ უკვე იქნა ჩვენს მიერ წარმოდგენილი მაშინ, იგი ძირითად მასებში, დეტალების დაკონკრეტების გარეშე იყო გადაწყვეტილი. ავტორმა, მეტად საინტერესოდ მოახდინა მისი საბოლოო ვიზუალიზაცია, თუმცა პროცესი დინამიურია და განუწყვეტლივ მიმდინარეობს.

ნინო ლალიძე













# ტრანსფორმიზმი ინტერიერში

არქიტექტორ ილია ზაქარაიას მიერ შექმნილი საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი ინტერიერის ერთიანი სივრცის ორგანიზებაში მთავარი მხატვრული პრინციპი მინიმალიზმი და სისადავე გახდა. მოცულობის მთლიანი სახე სასიამოვნო დისონანსების მქონე მოულოდნელობებზეა აგებული. მისი მთავარი ნიშანია არსებობის ფილოსოფია – კომფორტულობა და სისადავე, რომლითაც თითოეული დეტალია გაჯერებული. ასეთი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში არაორდინალურ ჩართვებს განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის.

ინტერიერის არქიტექტონიკა მარტივიცაა, რთულიც, ლამაზიც და „არქიტექტურული ჟანრის“ ყველა კანონის მიხედვით ვითარდება. სივრცის მთლიანობის შთაბეჭდილება კომპოზიციის დინამიზმით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მიხედვით, ფერთა ლავირებით, მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტების რითმებითაა მიღწეული.

ინტერიერში, კიდევ ერთი, მისი „ვიზუალური მოძრაობის“ – ტრანსფორმიზმის იდეაა განხორციელებული, რასაც არქიტექტორის მიერ შემუშავებული სპეცეფექტებისა და მოულოდნელი დიზაინერული გადაწყვეტების სისტემები ილუსტრირებს.

ნინო ლაღიძე











# Interior Transformism

In either residential or public interiors, created by Ilia Zakaraia, major principles defining space organization are minimalism and simplicity. Generally speaking, his projects always feature unexpected highlights, seemingly falling out of general concept, but not damaging the philosophy of being – the comfort and ease, to whish every detail of the design is subjected.

Architectonics of the interior is both complex and simple, developed according to the basic architectural principles and just beautiful. Integrity is achieved by dynamic composition, smooth zone-to-zone transition décor, rhythmical solution of space composition.

One of the ideas, distinguishing this interior, is visual movement – transformism, based on specific effects and unordinary design solutions, developed by the architect.

NINO LAGHIDZE

# ArchiTech

DESIGN FURNITURE ARCHITECTURE TECHNOLOGY LIFESTYLE












# სივრცის ფუნქციური ორგანიზება



საზოგადოებრივი სივრცის სწორად ორგანიზება, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, ინტერიერის საერთო სტილისტური გადაწყვეტის შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული ტექსტილი და აქსესუარები... - თითოეულ მოცემულ ამოცანას ორიგინალური იდეების შემოთავაზებით და მათი წარმატებულად განხორციელებით, არქიტექტორი წყვეტს. უზადო დიზაინი გულისხმობს საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახის შექმნას, რომელშიც გათვლილია ყოველი ნიუანსი და მაქსიმალურადაა გათვალისწინებული დამკვეთის „ტაბუდადებული“ მოთხოვნა.



სტუდია „ადლის“ (არქიტექტორები: ვ. ჭელიძე, ა. დონაძე, ზ. სვანაძე, გ. ჭანჭალეიშვილი) პროექტით, თბილისში განხორციელებული სტანდარტ ბანკის ფილიალების საოფისე ინტერიერები სპეციფიკური დახვეწილი ზომიერი დეკორით გამოირჩევა, შესაბამისად თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში კომფორტული და მყუდრო სამუშაო გარემო იქმნება.

ინტერიერის თავისებურება - დეტალებამდე გათვლილი სივრცის ფუნქციური ორგანიზებაა. ამგვარად წარმოქმნილი ერთიანი საზოგადოებრივი ზონა აფართოვებს „მანევრირების სივრცეს“ და მოცემულ ფართობზე ფუნქციათა მაქსიმუმის კონცენტრირება ხდება შესაძლებელი.



ავტორთა ძალისხმევით აღქმადი ლაკონიზმით შენიღბული ზუსტად გათვლილი გადაწყვეტების ფონზე, მისი დატვირთვის სპეციფიკის შესაბამისი, სტილური ინტერიერები შეიქმნა.

ნინო ლაღიძე

















# Functional Organization of the Space

Correct space organization, harmony of colors and materials, skillful finishing and lighting, interesting interior design and well-chosen furniture, tasteful accessories alongside with clear identity and style, conforming the functional meaning of the space… - such are attributes, describing a successful architectural solution.

Interiors of StandardBank Tbilisi branch offices, designed by Adli Studio (architects V. Chelidze, A. Donadze, Z. Svanadze, G. Chanchaleishvili), provide an open and comfortable working environment with refined, purpose-specific style, corresponding to modern requirements.

NINO LAGHIDZE






# ვინოსიმო



ბახუსის სასმელისათვის განკუთვნილი, პატარა ბუტიკის „ვინოსიმოს“ ინტერიერის დიზაინი არქიტექტორ დათო ხურცილავას პროექტით განხორციელდა. დამკვეთის მოთხოვნით ზონირება მკაცრად უნდა ყოფილიყო დაცული, რათა ჰორიზონტალში მინიმუმამდე დასულიყო კლიენტების გზების გადაკვეთა. შესვლისთანავე შეიგრძნობთ, რომ ინტერიერი ფერითი და სივრცითი გადაწყვეტით აქტიური და ლოკალურია, რაც მისი იერსახის განმსაზღვრელია. დიზაინში ავტორისათვის დამახასიათებელი მანერა, სტილი, თვალსაჩინო პირობითობა, მთლიანი სივრცის ორიგინალური კომპოზიცია ნათლად გამოიკვეთა. ინტერიერში თბილი ფერითი პალიტრა დომინირებს. მოცემული თემატიკა გულდასმითაა დამუშავებული და ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. მასში წამყვანი დომინანტი ელემენტების გადანაწილება, დიზაინერული ხერხებით ოსტატურადაა შესრულებული, რაც სასიამოვნო გარემოს ქმნის.

ნინო ლაღიძე







ავტორები:
ლენკა ციციშვილი,
სანდრო თაყაიშვილი



# ისტორიული დეკორაცია

მიჰყვები ძველი თბილისის ვიწრო, ქვაფენილიან ქუჩას, რომლის გასწვრივ მყუდრო კუთხეები, ღია პაწაწინა მოედნებია მოწყობილი. თითოეულ მონაკვეთზე სხვადასხვა დროის სული ტრიალებს, თითოეულს - თავისი სახელი ჰქვია. სურვილისამებრ ირჩევ დროის რომელიმე ფრაგმენტს და ხდები მისი მონაწილე, ებმები „თამაშში“...

Tarovine - ღვინის ციცქნა დუქანია. მისი დიზაინი - შიდა სივრცე და წინ მდებარე პატარა მოედანი არქიტექტორების, სანდრო თაყაიშვილისა და ლენკა ციციშვილის იდეით განხორციელდა.

ავტორებმა გულდასმით შემუშავებული თემატური სცენარით შექმნეს შთამბეჭდავი ექსპოზიცია. აქ დიზაინი - დეკორაცია, არც თუ ისე შორეული წარსულის, ისტორიული ეპოქის ანარეკლია. საინტერესო საგნების, აქსესუარების (Tarovine-ს ავტორთა სახელოვანი წინაპარების ფოტო-პორტრეტების გალერეა, გრამაფონი, ძველი ფირფიტები...), თბილ ტონალობათა რიალში, ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, ყოველივეს წამყვანი როლი აკისრია.

ფერით, ფორმითა და ინფორმაციით დატვირთული დეკორაციები ჰარმონიულადაა შეწყმული პატარა სამყაროს სივრცით გადაწყვეტასთან, რომელშიც არქიტექტურულ-მხატვრული ავანგარდისა და ინტელექტუალური ბოჰემის აურა იკვეთება.

ნინო ლაღიძე

# Historical Decorations

A narrow paved street in old Tbilisi, lined with shady nooks, minuscule open squares, buildings of different ages, each having its own story and individuality… So easy to plunge headlong into this game of time and get lost among these distant whispers of time…

Tarovine is a small wine tavern. Its design – the interior and the small square in front of the tavern – belongs to architects Sandro Takaishvili and Lenka Tsitsishvili. The authors spent a great deal of effort to develop a thematic scenario, which resulted in an impressive exposition. Design theme represents a decoration from relatively recent historical past. A variety of attractive items, accessories (photo-portraits of the ancestors of Tarovine owners, a phonograph, old song records), nestling in the tavern, harmoniously match the spatial solution of this small world, saturated with the aura of artistic and intellectual 'underground'.

NINO LAGHIDZE















# ელეგანტურობა დეკორში

ახალი კომპიუტერული მაღაზია-სალონის ინტერიერი დახვეწილი, ზომიერი დეკორით გამოირჩევა. იგი არქიტექტორების ლენკა ციციშვილისა და სანდრო თაყაიშვილის პროექტით განხორციელდა.

ფერი, ინტერიერის ხასიათის შესაბამისად, ტონალურ ნიუანსებში ლავირებს და ამგვარი ლაკონური, ოპტიმალური ანტურაჟი საგნობრივი გარემოსათვის არაჩვეულებრივ ფონს ქმნის. ინტერიერის ელეგანტურობა ფურნიტურის, აქსესუარების არაორდინალურ დეკორში ვლინდება, ავტორთა პროფესიონალიზმს დეკლარირებს და მათთვის, ვისაც ძალუძს სილამაზე გადაჭარბებული თეატრალურობისა და პრეზენტაბელურობის გარეშე შეაფასოს, წარმოდგენილი დიზაინის ესთეტიკა მეტად ახლობელია.

ნინო ლაღიძე







# იტალიური კომფორტი

საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცის თანამედროვე გარემო არასოდეს ყოფილა მხოლოდ კომფორტული ინტერიერი. იგი, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვის დამცველია და ისევე როგორც შემოქმედება, თავისი კანონებით ტრანსფორმირდება რეალობაში.

არქიტექტორების ლენკა ციციშვილისა და სანდრო თაყაიშვილის პროექტით შექმნილ იტალიური რესტორნის ინტერიერში, დახვეწილი ფურნიტურითა და ლამაზი საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებული ხიბლის მატარებელია. მშვენიერი, ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება, რადგან იგი მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიად გარდაქმნას მოითხოვს. დიზაინში დეტალები არაორდინალური გამოვლინებით გამოირჩევა და მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. იგი უხილავი ბარიერებით შექმნილ მსუბუქ ერთიანობას წარმოადგენს, სადაც საერთო ფერითი გამა დეკორატიული აქსესუარების, ფურნიტურის მკვეთრი ტონებითაა აქცენტირებული. ადვილი წარმოსადგენია, რა სასიამოვნო იქნება მეგობრებთან ერთად აქ თავშეყრა და მათთან ურთიერთობა.

ნინო ლაღიძე







# Italian Comfort

Modern public space does not just provide comfort. It contains a unique atmosphere, integrating with the outside life according to its own laws.

Interior of an Italian restaurant, designed by architects Lenka Tsitsishvili and Sandro Takaishvili, has a special appeal. Different sections of the space, each endowed with a special charm, unobtrusively delimited by invisible barriers, are reintegrated by colors and textures, decorative accessories and furniture. In other words – a perfect place to meet friends and relax.

NINO LAGHIDZE




# ფუნქციონალიზმის ესთეტიკა

არქიტექტურული სივრცე მრავლისმთქმელია. ინტერიერმა განუმეორებელი სახე, რომ მიიღოს და ჩვენთან ერთად და ჩვეზე ილაპარაკოს, პროფესიონალია საჭირო, რომელიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შესრულების მანერით წარმოაჩენს ერთადერთს, ინდივიდუალურობით გამორჩეულს. ინტერიერზე მუშაობისას დიზაინერი მასში არსებულ სიხისტეებს ოსტატურად აუჩინარებს და დამკვეთის მოთხოვნების თუ დანიშნულების შესაბამის განწყობას ქმნის.

პროექტირება ნიშნავს, კონკრეტულ სივრცეში, გააზრებულად მოაქციო საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებანი. ეს მტკიცებულება მეტად მართებულია ინტერიერთან მიმართებაში. ახალგაზრდა დიზაინერების ნია მგალობლიშვილის, სოფო შევარდნაძისა და ია ლიპარტელიანის მიერ განხორციელებული, „ელიტ-ელექტრონიქსის" მაღაზია-სალონის სივრცე ზემოთთქმულის დასტურია. იგი გამჭვირვალე და მსუბუქია, რასაც ორიგინალური კოლორისტული გადაწყვეტა უდევს საფუძვლად. მთლიანი პალიტრა ოპტიმალურ ფონს უქმნის ნებისმიერ საგანს, გამოკვეთს მის მოცულობას. ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ინტერიერში ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და სკულპტურული ხასიათის მატარებელია. გამოყენებულ მასალათა ფაქტურების ზედაპირებზე სინათლის ათინათი ინტერიერისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ იდეას, უფრო მეტად აქცენტირებს. საერთო გამჭვირვალებაში შეჭრილი ხაზები და პარალელები, დინამიკური სიმრუდეები მაორიენტებელ მონახაზებსა და სილუეტებს ქმნიან. დიზაინერული მელოდია, მისი რითმის ცვლითა და შესაბამისი ნოტების რეგისტრის გაძლიერებითაა აგებული.

ნინო ლალიძე
ფოტო: ირაკლი ბლუიშვილი









# Functionalism at Its Best

For an interior to acquire a definitive image, it requires involvement of a professional who will interpret the concept and express it in his own way. While creating an interior, a designer skillfully removes unfavorable traits and builds up an atmosphere, corresponding to the client's wishes and/or the purpose of the interior.

The above exactly corresponds to the interior of Elite Electronics showroom, designed by young designers Nia Mgaloblishvili, Sopho Shevardnadze and Ia Liparteliani. Original coloring solution renders the space transparent and light and creates an efficient and advantageous background to any object. Which is especially important is that all the components of the interior are put in right places and possess a monumental quality. Graphic precision of the design is further accentuated by lighting. Parallel and perpendicular lines, dynamic curves interrupting the general transparency of the space, structure the interior and facilitate orientation. The melodious flow of the design is set off by variable rhythms and tonalities.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI













# სტილი ინტერიერში

საცხოვრებელი ინტერიერის დიზაინის შერჩევა დიდ პასუხისმგებლობას და სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. სახლის მეპატრონე, რომელიმე სტილისათვის უპირატესობის მიცემით, ხანგრძლივი დროით ირჩევს განსაზღვრულ ატმოსფეროს, ცხოვრების წესს. სახლში გამეფებული სტილი, კი თავად ზემოქმედებს ადამიანზე - ამშვიდებს ან აღელვებს მას.

წარმოდგენილი ინტერიერის ავტორი დიზაინერი ია ლიპარტელიანია. მან სახლის მფლობელთა გემოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, გეომეტრიული ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით თანამედროვე დახვეწილი ინტერიერი შექმნა.

ავტორს, საცხოვრებელ სივრცეში მოულოდნელი დიზაინერული შტრიხები, სიმსუბუქე შეაქვს და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნის.

სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული სათავსოს ინდივიდუალურობა, ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება. მათი კონტრასტულობა ინტერიერში სიმსუბუქის, უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის. საცხოვრებელში მნიშვნელოვან როლს თამაშობს განათება. იგი ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს ფერის სიღრმეს და ინტენსიობას.

ინტერიერის დიზაინი მის ბინადართა გემოვნების, სოციალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა და დღესდღეობით, როდესაც სულ უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება ფუნქციონალიზმს, ჭარბობს სიმარტივე და გონივრულობა, სახლში ადამიანისათვის აუცილებელ სიმყუდროვეს მხოლოდ დიზაინერი ქმნის.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲦᲘᲫᲔ
ᲤᲝᲢᲝ: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲚᲣᲘᲨᲕᲘᲚᲘ





# Style Identification Issues

Designing of a residential interior is a complex and responsible issue. People, choosing this or that style for their houses, actually define their environment and living style for years to come, while the environment of a house extends a great deal of influence – both positive and negative – on its inhabitants.

The interior presented in this article has been created by designer Ia Liparteliani. She implemented this project considering the taste and interests of its owners as well as her own professional experience, which motivated her to create a distinctively graphical and brightly colored house with unexpected design solutions and comfortable planning.

Within the overall design, this each particular room stands out according to its function. These contrasts, as well as smaller constructional and decorative elements, far from disrupting the uninhibited atmosphere of the house, create a pleasant feeling of weightlessness, visually expand and diversify the space. Lighting design plays an important role in the interior, highlighting the form, stressing the depth and intensity of colors.

House interior design is a realization of its owners' taste, social status and lifestyle. Today, when the importance of functionality, simplicity and rationalism increases daily, the atmosphere of comfort, indispensable for any living space, can be created only with the designer's professional assistance.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI













# სივრცის სწორად ორგანიზაცია

სივრცის სწორად ორგანიზაცია, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, ბინის საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული ტექსტილი და აქსესუარები.. - მოგეხსენებათ, ყოველივეს, დამკვეთის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროფესიონალი წყვეტს. უზადო დიზაინი გულისხმობს საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახის შექმნას, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია დამკვეთის ინდივიდუალურობა. არქიტექტორ კახა დეკანოიძის პროექტით განხორციელებული, წარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერი თვითმყოფადია - დახვეწილი ზომიერი დეკორით გამოირჩევა და მყუდრო საცხოვრებელ გარემოს წარმოქმნის. ფერი, ინტერიერის ხასიათის შესაბამისად ტონალურ ნიუანსებში ლავირებს და ამგვარი ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს. ინტერიერის ელეგანტურობა ფურნიტურისა და აქსესუარების დახვეწილ დეკორში ვლინდება. და შესაბამისად ავტორის პროფესიონალიზმი ყოველ ფრაგმენტში შეიგრძნობა.

ნინო ლალიძე





# ინტერიერული ესთეტიკა

არქიტექტორების გივი და ვასილ ქობულიების პროექტით შექმნილი საცხოვრებელი სახლის ინტერიერი თანამედროვე ესთეტიკითაა გაჯერებული, სადაც მკვეთრადაა გამოხატული სტილური დომინანტი. ლაკონიზმიდან გამომდინარე თავისუფალი გეგმარება, გეომეტრიზმი და ფორმათა გრაფიკა ესთეტიკასთან შერწყმული ფუნქციონალიზმის ტრადიციებს გვკარნახობს. დიზაინში გამოყენებული





მასალის ფაქტურა და ფერი, თავისუფალი მოცულობები და ფორმები, ლოკალური ტონების და დეკორის თვალშისაცემი მინიმუმი ნათლად წარმოაჩენს ინტერიერის განუმეორებელ სახეს - სიურპრიზებით აღსავსე ატმოსფეროს, ავტორთა მაღალ პროფესიონალიზმს.

საცხოვრებლის მოდულური კომპოზიცია - არქიტექტონიკური ელემენტების პროპორციები თავისუფალია, სივრცითი კომპოზიცია ფუნქციურ-მხატვრული ხასიათის მატარებელია და ინტერიერის თვითმყოფადობას განსაზღვრავს.

საცხოვრებელი ჰაერითაა გაჟღენთილი. თავისი „ხასიათით", სინატიფით იდენტურ მოპყრობას მოითხოვს. ზედმეტი დეკორატიული დეტალების იგნორი მკვეთრი,





ლაკონური ფერითი კონტრასტებითაა კომპენსირებული. საცხოვრებლის ფრაგმენტების საერთო ტონალობების, ფორმათა გრაფიკულობის თანაარსებობა მშვიდ, დადებით განწყობას ქმნის.

ინტერიერის დიზაინი, თავისი პიკანტურობის მიუხედავად, თავისუფალი და გამომგონებლურობას აბსოლუტურად მოკლებულია. მთლიანი სივრცე, მისთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით აღიქმება და თავისი ესთეტიკით სრულად შეესაბამება მის მობინადრეთა მოთხოვნებს, გემოვნებას, ცხოვრების ესთეტიკას.

ნინო ლაღიძე











# Interior Aesthetics

Interior, designed by architects Givi and Vasil Kobulia, is saturated with modern aesthetics and dominant stylistic elements. Simple planning and strict graphic forms remind us of functional traditions. Textures and colors, free volumes and forms, minimum of local overtones and decorations clearly highlight originality of the design and professionalism of its authors.

The interior space with its light, breathing atmosphere evokes the associations of fragility and delicacy. Small number of decorative details is compensated by color contrasts and geometric forms. In spite of all its piquancy, interior design does not disturb one with excessive originality. On the emotional plane, the house fully conforms to the taste and character, day-to-day life aesthetics of its dwellers.

NINO LAGHIDZE

# თანამედროვე კლასიკური

















არქიტექტორ კახა დეკანოიძისა და გიორგი ფერაძის მიერ განხორციელებული, ამჯერად წარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერი, სასიამოვნო დისონანსის მქონე მოულოდნელობებზეა აგებული. მთლიანი სივრცე პოლარული თემებითაა აღსავსე. მის ორგანიზებაში მინიმალიზმი და ეკლექტიკა გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. ასეთი მიდგომა თანამედროვე სტილისტიკაში „ისტორიულ ჩართვებს" განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის. საცხოვრებელში საზოგადოებრივი ცხოვრება რამოდენიმე დომინანტი ნიუანსისადმია კონცენტრირებული, თუმცა არალოკალურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი აღიქვამს, რომ ჭეშმარიტად თანამედროვე ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმებსა და საგნებს. ის აუცილებლად ეყრდნობა წარსულის სახასიათო ფორმებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის ჭეშმარიტად თანამედროვე ჟღერადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.

ნინო ლაღიძე



# Modern Classical

This residential interior, designed by Kakha Dekanoidze and Giorgi Peradze, boasts clear functional organization and refined architectonics, diversity and high quality of forms, which merge together into an integral space. Original language of sculptural plasticity, lighting, proportion and movement graphics, combined with advanced technology and modern construction materials, form an original composition, which is much more than an artificial structure, based on technological innovations.

NINO LAGHIDZE











# რომაული ვერნისაჟი

ქართული მინანქრის პოპულარიზაციისა და მის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენის საქმეში უნდა აღინიშნოს გალერეა „შარდენის“ უდიდესი დამსახურება. მინანქრის ნაკეთობების სისტემატური გამოფენების წყალობით, სულ უფრო მეტი მხტვარი დაინტერესდა ხელოვნების ამ უძველესი დარგით. გალერეას გამართული აქვს 60-ზე მეტი გამოფენა. თანამედროვე ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფური გამოფენების გარდა, გალერეას მოწყობილი აქვს მნიშვნელოვანი პერსონალური გამოფენები და ფოტო-გამოფენები.

2007 წლის 24 მაისიდან 1 ივნისამდე, იტალიაში, ქალაქ რომში, საგამოფენო დარბაზში „მარგუტა 3“ (ეს გალერეა მდებარეობს რომში, ულამაზეს ვია მარგუტაზე) მოეწყო ქართული მინანქრის გამოფენა სახელწოდებით – „მინანქრის საიდუმლოება საქართველოდან“. გამოფენას მასპინძლობდა საქართველოს საელჩო იტალიაში (ელჩი – ბატონი ზაზა გოქსაძე). გამოფენა გაიმართა ქალბატონ ნინო ნოღაიდელის პატრონაჟით (ქალბატონ ნინოს პატრონაჟით მოეწყო გამოფენა ლონდონშიც).

ქუჩა, სადაც გაიმართა გამოფენა, ულამაზესია, ყვავილებშია ჩაფლული, კაფეებითა და საგამოფენო დარბაზებითაა დახუნძლული, რომის კულტურულ ცენტრად ითვლება და ბომონდის თავშეყრის საყვარელი ადგილია. ადამიანები სეირნობენ, კაფეებიდან ცოცხალი მუსიკა ისმის, აქ ყოველი მომენტი, დღისა თუ ღამის ყველა მონაკვეთი ნახატვით აღიქმება – ყოველივე ამის ფონზე, ქართულმა მინანქარმა აღაფრთოვანა დამთვალიერებელი, პრესაში სერიოზული რეცენზიები გაჩნდა ქართული მინანქრის განუმეორებელ, განსხვავებულ სტილზე.

საქართველოს საელჩომ იტალიაში 26 მაისს მოაწყო ქართული გამოფენის ინაოგურაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ხელოვნების მოღვაწეები, სხვა ქვეყნების ელჩები, საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, მხატვრები, გალერეა „შარდენის“ მესვეურები ქალბატონი მაია ნოზაძე და ქალბატონი ია დვალი.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გალერეა „შარდენის“ ექსკლუზიურმა კოლექციამ – ძვირფასი ლითონითა და თვლებით შესრულებულმა ნამუშევრებმა – სამკაულებმა, ხატებმა, სხვადასხვა კომპოზიციებმა. გამოფენით დაინტერესდნენ რომის სხვა საგამოფენო დარბაზებიც, დაიგეგმა მიწვევები.

რომის გამოფენას ყველა მონაწილისათვის თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, სხვა ქვეყნების მხატვრებთან კონტაქტი ყოველმხრივ წაადგება მათ პროფესიულ საქმიანობას, რაც უდაოდ მნიშვნელოვანია ხელოვნების ამ დარგის გამრავალფეროვნებისა და წინსვლისათვის.

შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ ქართული მინანქრის მესვეურებს შემოქმედებითი გეგმების განხორციელების საქმეში.

ლალი ბახტაძე



# თემა მოყვარულთათვის

სამზარეულო, საცხოვრებლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. იგი ოჯახის თავშეყრის უცვლელი ადგილია. ყოველდღიური, მრავალკილომეტრიანი გარბენის ათვლას დიასახლისი სამზარეულოდან იწყებს. სამზარეულო კონკრეტული ოჯახის გამოვნებას, მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს, იყოს განსაკუთრებულად კომფორტული და ზუსტად პასუხობდეს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. იგი თანამედროვე საცხოვრებლის სხვადასახვა ზონების გამაერთიანებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია, ამიტომ სამზარეულოს დაპროექტებისას აუცილებელია გეგმარების მოქნილობა და რაციონალურობა. ის შეიძლება მაქსიმალურად იზოლირებულ ზონაში განთავსდეს, შეიძლება სასადილო ან სასტუმრო ზონასთან გაერთიანდეს, ანდა მისი კონფიგურაცია საერთო სივრციდან, მცირე მინიშნებით, თუნდაც ვიზუალური დანაწევრებით, გამოიკვეთოს. მოკლედ, ეს ყოველივე პროფესიონალის გადასაწყვეტია, რომელიც დამკვეთთან შეთანხმებით აღწევს დასახულ მიზანს.



წარმოდგენილი ინტერიერები არქიტექტორების - გრანტ მარქაროვისა და ილია გავრილიადის დიზაინით განხორციელებული, სხვადასხვა საცხოვრებელი ბინების სამზარეულოებია. ყოველ მოცემულ შემთხვევაში, სამზარეულო აღჭურვილობის გეგმარება თავისუფალია. თანამედროვე ტექნიკა ავტორებს საშუალებას აძლევს ინტერიერის დიზაინს მობილურობა შესძინოს. საცხოვრებლის განსაზღვრულ, ლოკალურ ზონაში სტაციონალური და მობილური ელემენტები ერთმანეთს ჰარმონიულად შეერწყმის და „ოქროს შუალედის“ მაქსიმალურად ოპტიმალური ვარიანტები იქმნება. დიზაინის კონსტრუქციას მოდულური პრინციპი უდევს საფუძვლად. ოსტატურად გამოიყენება ერგონომიული „კარუსელები“ თუ მოდური ელემენტები.

რამდენადაც ექსპრესიულია სამზარეულოს გარეგნული სახე, ავანგარდულია მისი დიზაინი, იმდენად მეტი შანსი აქვს მალე ჩამორჩეს მოდას. ამიტომ არქიტექტორები, გამომწვევი, მკვეთრი ფერების გამოყენების გარეშე, უპირატესობას პლასტიკის საფარველის, პოლიმერების, ლითონის, ხის წყნარ პასტელურ ტონებს ანიჭებენ. ავეჯის შერჩევისას ორიენტაცია მის სტილზეა აღებული, საბოლოოდ კი ავტორთა პროფესიული ხედვით მიღწეული ფორმისა და შინაარსის ჰარმონია შესაძლებლობას იძლევა სამზარეულო ხანგრძლივად ემსახუროს ოჯახს.

ნინო ლაღიძე

# A theme for amateurs

A kitchen is an indispensable component of a living environment – the most traditional place of family gatherings, the starting point of a woman's busy day-to-day life. In a kitchen – a hub, uniting various zones of an apartment, it is especially important to ensure flexibility and rationality of design as well as conformance with the preferences and demands of the family. The kitchen might stand apart from other parts of the house or be integrated into a generally accessible area, be fully open or delimited with at least a waist-high partition… In other words, positioning and design issues can be solved in various ways based on individual requirements.

The interiors, covered in this article are kitchens, designed by architects Grant Markarov and Ilia Gavriliadi for different apartments. In each case, the planning of kitchen equipment is provisional. Modern technologies provide the authors with enough maneuvering space, allowing to achieve the balance between stationary and mobile design elements and diversify the space with accessories.

The more expressive and fashionable kitchen design is at the time of its creation, the less time it takes to become outdated. This is why the architects maximally try to use endurable materials, mild pastel coloring and ergonomic furniture and attempt to harmonize style with requirements of comfort, so that a kitchen serves a family for many years to come.

NINO LAGHIDZE







ქართველ მამლუქთა აკლდამები

# ქართველ მამლუქთა არქიტექტურა

2006 წლის დეკემბერში გადაცემა "ჩვენებურებმა", ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ტელეექსპედიცია მოაწყო. ჩვენი მიზანი ქართველი მამლუქების მოღვაწეობის შესწავლა და შემორჩენილი კვალის ფირზე დაფიქსირება იყო. ამ მისიის მიღწევა ალბათ შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბატონი გია ჯანჯღავას, საელჩოს თანამშრომლის მაკა ოძელაშვილის, აღმოსავლეთმცოდნეების: თამარ ნატროშვილისა და ვახო იმერლიშვილის უანგარო დახმარება.

10 დღის განმავლობაში ფირზე უამრავი საინტერესო რამ აღვბეჭდეთ, თუმცა წარუშლელი კვალი მაინც მამლუქთა პერიოდის არქიტექტურამ დატოვა. ოთხსერიანი დოკუმენტურ-პუბლიცისტური ფილმის, "მისრეთის მხედრების" ეთერში გასვლამდე ჟურნალი "სტილის" მკითხველს ექსპედიციის დღიურის სახით ნანახსა და განცდილს პირველად გავაცნობთ.



ბაბ ზუვეილა-გამარჯვების ჭიშკარი



კაიტ ბეის სასახლე საკრებულო



კაიტ ბეის სასახლის კუზგანაგატია

**3.XII.2006**

თანამედროვე კაირო პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს, ერთი ცოცხლებს, მეორე კი მათ წინაპრებს ეკუთვნით. პირველი ხმაურიანი და მშფოთვარეა, მეორე - უტყვი და მშვიდი. მკვდართა ქალაქი კაიროშივე, მის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ალბათ, ადამიანს მასზე უფრო მშვენიერი და ამასთან შემზარავი არაფერი შეუქმნია. თუმცა ის დროის ნახელავი უფროა, ვიდრე კაცთა მოდგმისა. აქ მართლმორწმუნე მუსლიმებს ჯერ კიდევ VII საუკუნეში კრძალავდნენ. აკლდამა მფლობელის ღირსებასა და სიმდიდრეზე მიუთითებდა. იგი იმქვეყნიურ სამყაროში თავისებური კარიბჭე იყო.

ქვეყნის საუკეთესო არქიტექტორები მიცვალებულთა ქალაქის გასამშვენიერებლად დროსა და ენერგიას არ იშურებდნენ. ასე იქმნებოდა მოკვდავთა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები, დიდებული მეჩეთებით, გრანდიოზული მაკბარებით და მდიდრულად მორთული კედლებით.

მკვდართა ქალაქი დღემდე ცოცხალია, ანუ აქაურ აკლდამებში ადამიანები ცხოვრობენ. კაიროს უპოვართათვის ის საუკეთესო თავშესაფრად იქცა. ქალაქი დღეს 2 დან 3 მილიონამდე ეგვიპტელითაა დასახლებული. აკლდამებში იბადებიან ბავშვები, ქორწინდებიან მოზარდები, იმქვეყნად მიდიან მოხუცები.

მკვდართა ქალაქს ერთადერთი მიზნით ვეწვიეთ, ჩვენ აქ დაკრძალულ რამდენიმე განთქმული ქართველის საფლავს ვეძებთ. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კაიროს მიცვალებულთა საუფლოში უკანასკნელი განსასვენებელი ალი ბეგ ალ ქაბირმა, ისმაილ ბეგმა და იბრაჰიმ ქათხუდამ ჰპოვეს. სამივე ჩვენებურმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მართავდნენ ეგვიპტეს, ქვეყნის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს.

კაიროს მზე, ჯერ კიდევ ოქროსფრად ანათებდა, როცა ჩვენებურების საფლავებს მივაგენით. მავზოლეუმი ქალაქის შუაგულში მუჰამმად ალის იმამ ალ-ლაისის ქუჩაზე ყრუ კედლისა და უბრალო ხის ჭიშკრის მიღმა მდებარეობს. ღია თაღებიანი და ორგუმბათიანი მავზოლეუმი მფლობელთა პატივსა და ღირსებაზე მიუთითებს. აკლდამები ქვედა და ზედა სამარხებისაგან შედგება. ზედა საფლავის ქვები, იგივე თარქიბა, მდიდრულადაა მორთული ყვავილთა გამოსახულებებითა და აღმოსავლური ორნამენტებით. მიცვალებულის თავთან და ფეხებთან მაღალი სვეტები, ანუ მოწმეები - „შაჰიდები“ დგას. ჩვენს ყურადღებას ერთი სვეტი იპყრობს, იგი იბრაჰიმ ქათხუდას ეკუთვნის, შაჰიდის არაბული წარწერა კი განსვენებულის ბოლო წუთებს საოცრად ხატოვნად მოგვითხრობს:

„იმ დღეს, როდესაც ეპოქის ეს რჩეული ადამიანი აღესრულა, აღმოთქვეს საწუთროს ენებმა: „ჰოი დაქცევა ჟამისა“. ის უკვე დიდი ხანია აღზევდა თავისი დიდსულოვნებითა და გულუხვობით, და თავისი კეთილმოქმედებით ყოველი გაჭირვებულისადმი, ხოლო მისი სამწყსო მისი სამართლიანობით იყო დაცული, და ასევე ყველა, ვისი დაცვის სურვილიც ჰქონდა. ამ შემწეს ობლობისა, მისი მფარველობის მოსურნეთა, იმ დროს როდესაც განანადგურა მათი ბედი ძმათა ხელმა და მიმართა თავის უფალს და მერე წარუდგა მორჩილად სამოთხისა და რიდვანის მეზობლობაში. რამდენმა თვალმა დაიტირა და ადინა ღვარებად ცრემლი, წინაშე მისი სანაქებო თვისებებისა, როდესაც დაეთანხმა უფალი: - წადი! დავსვი თარიღი. ის ჭეშმარიტად ამაღლდა სამოთხის ნეტარებაში“ (გ. ჯაფარიძის თარგმანი).

იბრაჰიმი 1754 წლის 23 ნოემბერს გარდაიცვალა, ამბობენ ავადმყოფი მამლუქი მეტოქე ამირებმა მოწამლესო გულუბრყვილო დალაქის ხელით, ამას საფლავის ეპიტაფიაც მიუთითებს განადგურებელ ძმათა ხელის ხსენებისას. ამ ქვეყნიდან მიმავალმა იბრაჰიმმა თავისი მოწყალებით, ეგვიპტე კიდევ ერთხელ გააოცა. მან კაიროს ციხეებიდან ყველა პატიმრის გათავისუფლება ბრძანა. იბრაჰიმის საგმირო საქმეებმა ისტორიაში სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა. მაგრამ მისი ბავშვობის შესახებ წყაროებს არაფერი შემორჩენიათ. ცნობილია ერთადერთი, რომ იგი ჩვენებური იყო, ამაზე ბერძენი ვაჭრის სავიურა ლუზინიანის ჩანაწერი მიუთითებს. მოგვიანებით არაბი ისტორიკოსი ალ ჯაბართი იბრაჰიმ ქათხუდაზე იტყვის: - „მას ჰქონდა ისეთი სიძლიერე და სიდიადე, გავლენა, გამჭრიახობა მართვაში და უდავო ხელისუფლება, რომლისთვისაც ეგვიპტეში არავის მიუღწევია“.

ქათხუდას, სიკვდილის შემდეგაც უერთგულეს, მისი განსასვენებლის გვერდით ორი საფლავია, ორივე იბრაჰიმის მიერ ნაყიდ და გათავისუფლებულ მონებს, ქართველ ალი ბეისა და ისმაილ ბეის ეკუთვნით.

ალი ბეის შესახებ წყაროებით გაცილებით მეტი შემორჩა - „იგი 5 ფუტისა და 10 გოჯის სიმაღლისა იყო, ლამაზი აგებულების, ღია წაბლისფერი თმებით, დიდთვალებიანი, მოგრძო-მრგვალი სახით და მედიდური შესახედავად“. ალბათ ვეფხვის ტყავს ატარებდა როგორც ყველა ნამდვილი კავკასიელი, მზის სხივებისაგან გარუჯულსა და ფერშეცვლილ იერში ქართველობა ყოველთვის ჩანდა.

ალი ბეიმ ეგვიპტე ოსმალეთის მონობისაგან გაათავისუფლა და დამოუკიდებელ ქვეყნად გამოაცხადა, მოჭრა ვერცხლის მონეტა, რომელზეც საკუთარი სახელი ამოტვიფრა, შემოიერთა სირია და დალაშქრა საუდის არაბეთი.

ისტორიამ მისი საგმირო საქმეების გარდა, მისი რომანტიული თავგადასავალიც იცის, ალი ბეის თავდავიწყებით შეუყვარდა უკრაინელი მონა ქალი მარია, რომელზეც იქორწინა კიდეც. მზესავით ბრწყინვალე მამლუქ სულთანს სამშობლოც არ დავიწყებია, ახსოვდა აფხაზეთში მცხოვრები მამა, ბერი დავითი, რომელიც ქაიროში ჩაიყვანა. თუმცა მოხუცმა ქართველმა უცხოეთში დიდხანს ვერ გაძლო და 7 თვის შემდეგ აფხაზეთში დაბრუნდა.

მავზოლეუმიდან ორიოდე ნაბიჯზე უბრალო საფლავია, ისტორიული წყაროების თანახმად იგი მამლუქთა დედად წოდებულ ქართველ ქალს ნაფისას ეკუთვნის...

ის ჰარამხანის რიგითი მანდილოსანი არასოდეს ყოფილა, ტყვეთა ბაზარზევე გაუღიმა ბედმა და გოგონა იმ დროის ყველაზე გამოჩენილმა მამლუქმა, ალი ბეი ალ-ქაბირმა იყიდა. ნაფისამ ძალიან სწრაფად გაითქვა სახელი. რამდენიმე წელიწადში ალიმ ის გაათავისუფლა და მეორე ცოლად შეირთო. თუმცა სიყვარულში ნაფისას ბედი არასოდეს ჰქონია, მისი საქვეყნოდ განთქმული მეუღლე მალე სასიკვდილოდ დაიჭრა, ნაფისას კი ალის მოსაგონრად დიდძალი ქონება დარჩა.

დაქვრივებიდან, არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ ნაფისა მეორე ცნობილმა ქართველმა მამლუქმა მურადმა შეირთო. ლამაზმანი და მისი ახალი მეუღლე აუარებელი ქონების პატრონებად იქცნენ. მაშინ ეგვიპტეში ძალიან რთული დრო იდგა, თუმცა ნაფისას გამჭრიხობით წყვილმა მაინც ხელგაშლილად იცხოვრა.

1791 წელს, ქართველმა ქალმა მომავალი უბედურება განსჭვრიტა და უსაფრთხოების მიზნით მთელი ქონება ოფიციალურად გადაიფორმა. ხუთი წლის შემდეგ კი ბაბ ზუვეილას უბანში დიდებული ქარვასლა შეაკეთა და თავისი სახელობის მოწყალების სახლი, ანუ საბილ-ქუთაბიც მიაშენა.

**4.XII.2006**

... უბანი, რომელსაც ვეწვიეთ კაიროში, ალბათ ყველაზე გამორჩეული და კოლორიტული ადგილია. გამარჯვების ჭიშკრის ბასტიონიდან ეგვიპტის დედაქალაქის საოცრად ლამაზი ხედი იშლება, აქედან დანახული კაირო სულ სხვანაირია. იგი ათასი მინარეთის ზღაპრულ ქალაქს უფრო ჰგავს ვიდრე 21 საუკუნის თანამედროვე მეგაპოლისს.

ჩვენთვის საინტერესო ნაფისა ხანუმის ქარვასლა და საბილ ქუთაბი, ქუჩის სამხრეთ ბოლოში ყველაზე გამორჩეულ ადგილას მდებარეობს. შენობის დახვეწილობა, ლამაზად დამუშავებული ქვის, ხისა და ბრინჯაოს დეკორაციები მნახველზე დღემდე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ქარვასლის კედლებს, დახურული ხის აივნების ლამაზი რიგი მიუყვება. ეს მაშრაბიაა, ანუ თავისებური გალია, რომლის წვრილი ცხაურებიდან ქალები ქუჩაში გამვლელთ ათვალიერებდნენ, მათ კი უცხო თვალი ვერასოდეს ხედავდა.

მდიდარი ძლევამოსილი ქალბატონი, რომლის ბრძანებითაც 1796 წელს ეს შენობა აიგო, მონა იყო. არავინ იცის, ნაფისა წარმოშობით საიდან იყო ან როგორ გამოიყურებოდა, მაგრამ მისთვის შერქმეული სახელი – „თეთრი სამკაული" ცხადყოფს, რომ ღია კანისფერი უნდა ჰქონოდა. მისი ცხოვრების ამსახველი გადმოცემებიდან ჩანს, რომ ის მტკიცე ხასიათის მქონე, განათლებული, გონიერი და გულკეთილი ქალი იყო. „მან არაბივით ზედმიწევნით კარგად იცოდა არაბული პოეზია, მიუხედავად იმისა, რომ არაბული არ იყო მისი მშობლიური ენა და მხოლოდ მოგვიანებით დაეუფლა ამ ენას" - აღნიშნავს მისი თანამედროვე მწერალი. გარდა იმისა, რომ ძალიან კარგად იცოდა არაბული და თურქული წერა-კითხვა, სავარაუდოდ ის ფრანგულ ენასაც ფლობდა.

კაიროში მისი პირველი პატრონი ქართველი ალი ბეი ალ ქაბირი იყო, რომელსაც „ღრუბლებზე მონადირეს" ეძახდნენ. ის ძლევამოსილი ქართველი მამლუქი და ეგვიპტის დე ფაქტო მმართველი გახლდათ. მან ნაფისა ჯერ მონობიდან გაათავისუფლა მერე კი ცოლად შეირთო, მაგრამ ეგვიპტეში საშინელი მდგომარეობა იყო. 1773 წელს ალი ბეი ძალაუფლებას მოწყურებულ მამლუქებთან ბრძოლისას დაიღუპა. გადმოცემის თანახმად ის მეორე ქართველმა მამლუქმა მურად ბეიმ მოაკვლევინა, რადგან ერთხელ ნათქვამი ჰქონდა, რომ ალის მოკლავდა და ნაფისას ხელში ჩაიგდებდა.

ნაფისამ და მურადმა მალევე იქორწინეს და იმ მემკვიდრეობის წყალობით, რომელიც ნაფისას ყოფილი ქმრისაგან ერგო, მეორე ქმართან ერთად მთელი ცხოვრება ფუფუნებაში გაატარა. სასახლეები, სავაჭრო სახლები, 400 მამლუქისაგან შემდგარი პირადი ამალა, ნილოსზე ჩამწკრივებული გემები...

ქარვასლაში მეგზურობა პოლონელმა მეცნიერმა აგნესკა დობროვოლსკამ გაგვიწია, იგი ეგვიპტეს მეუღლესთან ერთად 17 წლის წინ ეწვია, მალე მეცნიერი ნაფისას საბილ ქუთაბით და აქედან გამომდინარე, მისი შემქნელის ბიოგრაფიითაც დაინტერესდა. ნაფისა ხანუმის მოწყალების სახლი შიგნიდანაც ისეთივე ლამაზია როგორც გარედან, დღემდე შემორჩენილი მდიდრულად მორთული ყოველი დეტალი კი მფლობელის დახვეწილ გემოვნებაზე მიუთითებს. ეგვიპტეში სასმელი წყალი დასახლებულ უბნებში ნილოსიდან გამოჰყავდათ. საბილის შექმნის მიზანიც ის იყო, რომ ხალხს წყალი მოწყალების სახით მიეღო. იმ უბნის ბავშვები კი ქუთაბში (ანუ სასწავლებელში) ელემენტარულ განათლებას იღებდნენ. საბილებსა (ჭებს) და ქუთაბებს (სკოლებს) ისლამურ სამყაროში სხვაგანაც შეხვდებოდით, მაგრამ მოწყალების სახლის ეს ორი ტიპი რომ ერთ შენობაში ყოფილიყო მოქცეული, ამას მხოლოდ კაიროში თუ ნახავდით. საბილ-ქუთაბი ქალაქისათვის დამახასიათებელ ნიშნად იქცა. როდესაც ნაფისას საბილი აშენდა, კაიროში უკვე 300-ზე მეტი მოწყალების ასეთი სახლი არსებობდა.

ყოველ საბილს ჰქონდა გისოსებიანი დიდი ფანჯრები, მასზე წყლის სასმისებს ამაგრებდნენ. მსახურები, რომლებიც გასამრჯელოს შემოწირულობებიდან იღებდნენ, მარმარილოს აუზებიდან წყალს გარეთ მდგომ ხალხს აწვდიდნენ. წყალი კი მიწისქვეშა აუზიდან ამოდიოდა, რომელიც აქლემებს ნილოსიდან ამოჰქონდათ. ნაფისას საბილი ერთადერთი გამონაკლისი იყო, რომელსაც მიწის ქვეშ ცისტერნა არ ჰქონდა. აქ წყალი მეზობელი შენობის ჭიდან ამოდიოდა. ნაფისამ ხუროთმოძღვრებს შენობის ყველა ოთახი მოახატინა.

ვინ იცის რამდენმა უპოვარმა და ღარიბმა მიიღო ამ შენობაში მოწყალება, თავშესაფარი და ის სათნოება, რომელმაც ნაფისას მთელ ეგვიპტეში მამლუქთა დედის სახელი დაუმკვიდრა. „თეთრმა განძმა", სახელი, განსაკუთრებით ნაპოლეონის ეგვიპტური კამპანიის დროს გაითქვა. ფრანგმა იმპერატორმა, მართალია კაიროდან ქართველი მამლუქები გააძევა, მაგრამ ნაფისას ვერაფერი ავნო, პირიქით მისით მოხიბლულმა ნაპოლეონმა ქალბატონი თავის სასახლეში წვეულებაზე მიიწვია. იმპერატორმა მას ბრილიანტებით მორთული საათი აჩუქა. ნაფისა, მალე ფრანგებთან პოლიტიკურ თამაშში ჩაება, თუმცა პარალელურად კონტაქტს არ წყვეტდა ქართველ მეუღლესთან მურადთან. წყვილი ერთმანეთს ნიშანს უგზავნიდა. ნაფისა, აბასიაში საკუთარი სასახლის


მკვდართა ქალაქი


კნუტისშვილის საფლავი


კუნძული რავდა და შინჯიკაშვილის სასახლე


მკვდართა ქალაქი


კნუტისშვილის აკლდამა


კაიტ ბეის მეჩეთი


ნაფისას ვაკალა


ნაფისას ვაკალა


ნაფისას ვაკალას მაშრაბია


ნაფისას ვაკალის ფანჯრის გაფორმება

სახურავიდან, ხოლო მისი მეუღლე გიზის პირამიდის წვერიდან. ქართველი ქალის გამჭრიახობამ, ის შედეგი გამოიღო, რომ მურადი და მისი მეომრები უკან დაბრუნდნენ და ნაპოლეონს გაურიგდნენ. თუმცა რომანტიკამ დიდხანს ვერ გასტანა. მურად ბეი ეპიდემიამ იმსხვერპლა. ნაფისა კი სიღარიბეში 1816 წელს გარდაიცვალა.

### 5.XII.2006

ძველი ქაიროს ცენტრში მდგარი სულთან ალ აშრაფ კაიტბეის მეჩეთი და მავზოლეუმი მამლუქთა პერიოდის არაბული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია. ჩვენ ამ შენობას ორი მიზეზის გამო ვსტუმრობთ. პირველ რიგში, გვაინტერესებს ხელოვნების ბრწყინვალე თვალსაჩინოებად ქცეული ისტორიული ძეგლის დათვალიერება და ამასთანავე გვსურს, მეტი შევიტყოთ მისი ამშენებელი სულთნის შესახებ. ისტორიული წყაროების ცნობით იგი წარმოშობით კავკასიელია. თუმცა ზოგი მეცნიერი კაიტ ბეის ჩერქეზ, ზოგი კი ქართველ მამლუქად მიიჩნევს.

კაიტ ბეის მიერ აგებული მეჩეთი მნახველს ფერთა სიხასხასითა და მდიდრული მორთულობით აჯადოებს. მისი ფასადი 1472 წელს მარმარილოთი და გრანიტით მოპირკეთდა. შენობაში ყველაზე გამორჩეული კუბბანაბათია, ანუ მცენარეული ორნამენტით მორთული თეთრი გუმბათი. ასეთ ხელოვნების ნიმუშს ისლამურ სამყაროში იშვიათად იხილავთ. ასეთივე უნიკალური ძეგლია მაღალი მინარეთი, რომელიც მამლუქთა პერიოდის ეგვიპტის არქიტექტურის მარგალიტად იქცა..

კაიტ ბეის მიერ აშენებული კომპლექსი 3 ძირითადი ნაწილისაგან შედგება. მთავარი ადგილი მეჩეთს უკავია. მას, ერთ-ერთი ემირის მაკბარი ანუ მავზოლეუმი მოჰყვება. სწორედ მას აგვირგვინებს კუბბანაბათია. აქვეა მაკყადა, იგივე სასახლე, სადაც სულთნის მრჩევლები სამამლუქო ქვეყნის საქმეებზე ბჭობდნენ..

მეჩეთში გრანდიოზული კარიბჭით შედიხარ, მასიური ხის ძელები ყურანიდან გადმოღებული დეკორაციებითაა მორთული. მამლუქთა ეპოქაში აშენებულ მეჩეთთა შორის ყველაზე ლამაზი ჭერი სწორედ კაიტ ბეიმ შექმნა. მისი გაფორმებისთვის ასი ათასზე მეტი პატარა ხისა და სპილოს ძვლის დეტალია გამოყენებული. შენობის სივრცე უამრავი სარკმელით ნათდება რადგან აქ ლოცვის გარდა სწავლობდნენ კიდეც.

მამლუქის განსასვენებელი მის მიერ საგანგებოდ აშენებულ კუბბანაბათიას თაღებქვეშ მდებარეობს, აქვეა მისი დის, 4 ცოლისა და ვაჟის მაჰმუდ ნასრუდინ კაიტ ბეის საფლავი. მავზოლეუმში ერთი უცნაური რამ ხდება - როცა მზე ამოდის ვიტრაჟების ფერადი შუქი წრიულად ყველა კედელს მოივლის და საღამო ჟამს მამლუქის საფლავთან ჩერდება.

ნამდვილ ქაიროს მხოლოდ კაიტ ბეის მეჩეთის მინარეთიდან იხილავ. მისი სიმაღლიდან მუკატამის მთა, კაიროს ციტადელი და მკვდართა ქალაქი ხელისგულივით მოჩანს. ძველად, როცა ამ მინარეთებზე შემომდგარ მოლებს ხედავდნენ, სჯეროდათ, რომ მათი ლოცვა ღრუბლებს გააპობდა და ზეცას მიაღწევდა. ნეტავ ქართველი მამლუქი მაშინ რას ფიქრობდა, რას გრძნობდა, როცა პარასკევობით, პირით მექისაკენ შექცეული იდგა. ნუთუ, არასოდეს ახსენდებოდა ბავშობაში, ეკლესიაში ჩუმად, ბუტბუტით წაკითხული ქართული ლოცვა და გალობა.

თუ კაიტ ბეის ეროვნება ბურუსითაა მოცულია, ზუსტადაა ცნობილი იმ სახელოვანი ქართველი მამლუქის წარსული, რომლის საფლავიც მეჩეთიდან სულ რამდენიმე წუთის სავალში მდებარეობს. ეს ის მარტყოფელი ქართველი გლეხია რომელმაც ერეკლე მეფეს შორეული ეგვიპტიდან წერილი გაუგზავნა და საკუთარი ძმის ივანე კნუტისშვილის სახასო ყმად გადაყვანა სთხოვა. უკეთეს პირობებში აცხოვრეო ევედრებოდა სულთნის მოადგილე პატარა კახს, თავისი ქვეყნიდან და საქრისტიანოდან არ დაიკარგოსო, დასძენდა გამუსლიმებული ქართველი.

### 7.XII.2006

ეგვიპტის შეიხის თანამმართველის საფლავი მკვდართა ქალაქის შუაგულში კლდის მეჩეთის ქვემოთ მდებარეობს. იგი დიდი აკლდამაა სადაც განსასვენებლის გარდა მოწყალების სახლი ანუ საბილი იყო. სწორედ ამ ჭიდან ურიგებდნენ წყალს უპოვარ ეგვიპტელებს, აქვე ნებისმიერ დავრდომილს ღამის გათევა და დახმარების მიღება შეეძლო. კნუტისშვილის გრანდიოზული აკლდამიდან დღეს აჩრდილიღა შემორჩა, ჩამოინგრა ჭერი და გაიძარცვა ორნამენტებით მორთული კედლები. შიდა ეზო კი ქაიროელთა ახალმა საფლავებმა დაიკავა.

კნუტისშვილის საფლავის შემდეგ, გეზი მისი პატრონის, ეგვიპტის უზენაეს მმართველად აღზევებული მარტყოფელი გლეხის, იბრაჰიმ შინჯიკაშვილის სასახლისაკენ გვიჭირავს. ქართველმა მამლუქმა რეზიდენცია ღვთაებრივი მდინარე ნილოსის შუაგულში, კუნძულ რავდაზე ააგო.

იბრაჰიმ შინჯიკაშვილის სასახლიდან რავდას დღეს, მხოლოდ საძირკველი შემორჩა. მის ფუნდამენტზე ხედივ თაუფიკის დროს ახალი შენობა აიგო. ჟამთასვლამ საბოლოოდ წარხოცა ქართველი მამლუქის ვრცელი აპარტამენტები, ძველი ხიდი და ეგვიპტური წისქვილი. ახლა, აქ ევროპული ტიპის სასახლე დგას, რომელსაც თანამედროვე კაიროში კლასიკური მუსიკის საღამოების მოსაწყობად იყენებენ.

იბრაჰიმ შინჯიკაშვილის გარდა ქაიროში სასახლე მეორე ქართველ მამლუქს მურად ბეისაც ჰქონია. იგი, ქალაქის რამდენიმე რუკაზეა გამოსახული. შემორჩენილია, ასევე სასახლის ფერადი გრავიურაც. ექსპედიციის მიერ მოძიებული დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ ქართველი მამლუქის რეზიდენცია ძველი კაიროს ცენტრში, ყველაზე გამორჩეულ ადგილას, დიდ მოედანზე, მეჩეთებს შორის მდგარა.

ჩვენს ხელთ არსებული, მწირი ისტორიული წყაროების მიუხედავად მურადის სასახლის მოძებნა მაინც ვცადეთ, თუმცა უშედეგოდ. ვერც მცხოვრებთა გამოკითხვამ და ვერც ქაიროს ძველ უბნებში ხეტიალმა ხელშესახები ვერაფერი მოგვიტანა, როგორც ჩანს ქართველი მამლუქის რეზიდენცია დიდი ქალაქის ჟამთასვლამ სამუდამოდ წარხოცა.

### 9.XII.2006

ამირ ტაზის და მისი პატრონის სულთან ჰასანის სახელი ქაიროს ერთ გრანდიოზულ შენობას უკავშირდება. შენობას რომელიც ამასთანავე ქართველი მამლუქის უდიდეს ტრაგედიას იტევს.

მეჩეთის მინარეთების მშენებლობის დაიწყებისას, არქიტექტორებს სჯეროდათ, რომ ცის კიდეს მიაღწევდნენ, თუმცა ცადაზიდულმა სვეტებმა ნგრევა იწყო და ქვეშ უამრავი ადამიანი მოიყოლა. დღეს შენობას ჩაფიქრებული 4-ის ნაცვლად მხოლოდ 2 მინარეთი ამშვენებს.

სულთან ჰასანის მეჩეთს მთელს ისლამურ სამყაროში ყველაზე მაღალი კარები აქვს. აქური კედლები კი მილიონ 500 ათასი ქვისაგან აშენდა, რომელთაგან ბევრი გიზის პირამიდების კუთვნილებაა.

მოედანი, რომელიც მეჩეთის შუაში გაშლილა, 1736 წელს დიდი სისხლისღვრის მოწმე იყო. სწორედ მისი მინბარის ბოძებს ქვეშ 40 მამლუქის და მათ შორის კაიროს ქართველი მმართველის მუ-

ჰამედ ბეი კატამიშის მოკვეთილი თავი გამოდეს. არაბი ისტორიკოსი ალ ჯაბართი მამლუქების ხოცვას დრამატულად აღწერს: - „როცა ქართველმა მუჰამედ კატამიშმა ეგვიპტის მმართველობა ხელთ იგდო, ის ღვინის მსმელებსა და გარყვნილების სახლთა პატრონებს დაუპირისპირდა. მისმა მცდელობამ, ქვეყანაში წესრიგი დაემყარებინა, ბევრი აამხედრა. 1736 წლის 22 აპრილს მსხვერპლთშეწირვის დღესასწაული იდგა. კატამიში ერთ-ერთი მამლუქის სასახლეში ვახშამზე მიიწვიეს. შეთქმულებს საიდუმლო ნიშანი ჰქონდათ და როცა სანთლები ჩააქრეს დარბაზში საშინელი ხოცვა-ჟლეტა ატყდა. თავი ყველას, მათ შორის კატამიშად წოდებულ მუჰამედ ბეგ კიტასს, სალიჰ ბეის, ოსმან ქათხუდას, ხალილ ეფენდისა და უამრავ ალას მოჰკვეთეს.“

**10.XII.2006**

დღეს, ბედნიერი შემთხვევა მოგვეცა და კაიროში ქართველი მამლუქის შთამომავალს იასირ კატამიშს შევხვდით. ბატონი იასირი პოეტია. იგი, თავისი წინაპრის თავგადასავალზე გატაცებით გვიამბობდა, მოგვითხრობდა იმ საგმირო საქმეებს რომელიც ქართველმა მამლუქმა ფარაონთა მიწაზე ჩაიდინა, დიდი შეიხ ელბალადის წარსული, პოეტი შთამომავალისთვის აშკარა თავმოწონების საგანია:

— „მე ძალიან მეამაყება, რომ ქართველი მამლუქის შთამომავალი ვარ, იმიტომ, რომ ქართველებმა ეგვიპტის ისტორიაში დიდი კვალი დატოვეს. ძველი კაიროს დათვალიერებისას, ამას ყოველ ნაბიჯზე შეამჩნევთ. მაგალითად, მაიდან ობრაზე დღემდე დგას მეჩეთი ქეხია, რომელიც კატამიშის ქართველი მეგობრის მიერაა აშენებული. იქ ხშირად მივდივარ და ორივეს სახელზე დიდხანს ვლოცულობ“.

ეგვიპტე ის ქვეყანაა, სადაც მარადისობას ხელით შეეხები. ამ მარადისობის ნაწილი კი ბევრი ქართველი გახდა. ზოგმა ხმლით, გონიერებით, სილამაზით ან შენებით გაითქვა სახელი. 200 წლის განმავლობაში ქართველებმა ეგვიპტის მზის ქვეშ უზარმაზარი შემოქმედებით ენერგია დახარჯეს - ენერგია, რომელსაც მხოლოდ დიდი ხუროთმოძღვრის ძალას თუ შეადრი.

გიორგი კალანდია
გადაცემა "ჩვენებურების" ავტორი

# Architecture of Georgian Mameluks

In December 2006 program Chveneburebi organized an expedition to Egypt. We wanted to study the history of Georgian mameluks and film the traces of their activities. This mission would not have succeeded without kind assistance of the Ambassador of Georgia Mr. Gia Janjgava, diplomatist Maka Odzelashvili and Orientalists Tamar Natroshvili and Vakho Imerlishvili.

Prior to issuing the documental-publicist film, based on our research, we would like to present the readers of STYLE Magazine with a story of what our expedition saw and experienced in Egypt. During the 10 days of our stay there we collected a great deal of interesting materials, but our most important finding was the architecture of Mameluk period.

The present-day Cairo consists of two parts, closely intertwined with each other – the city of alive and the city of the dead. The former is a busy and clamorous modern city, while the latter – silent and serene – probably the most beautiful and most terrible place that human hands could create. The best architects of the country had spent a great deal of effort and time on embellishing the city of dead with glorious mosques, impressive makbars and richly ornamented walls.

The reason why we visited this part of Cairo was to study the graves of several famous Georgians. According to historical sources, we would find here the tomb of Ali Beg Al Kabir, Ismail Beg and Ibrahim Katkhuda. The three Georgians had ruled Egypt for a considerable period of time in the middle of 18th century and left an indelible trace in its history.

The mausoleum, located in the middle of the city in Mukhammad Ali Imam al-Lais Street – a lavishly decorated two-domed construction with open vaults, is a testimony to the honorable and worthy position of its occupants during their life. Arabian inscriptions, engraved on high stone columns – 'shahids', watching over Ibrahim Katkhuda's grave, eloquently describe the demise of this man, who, according to historians, ruled the country with incomparable power, influence and shrewdness. The same mausoleum contains graves of two other mameluks – Ali Bei and Ismail Bei – both of them Georgian slaves, bought and liberated by Ibrahim Katkhuda, whom they faithfully supported until his death.

In a couple of paces from the mameluk's mausoleum there is a simple grave, which, according to historians, belongs to a Georgian woman Napisa, called the mother of mameluks. The life of this lady is closely connected with the three warriors and rulers we mentioned above. A liberated slave, she distinguished herself by beauty, outstanding education and social as well as political activity in the second half of the 18th century.

Napisa owned a sabil-kutab – a charity house in Bab Zuveila district. This establishment, combining a shelter for the poor, publicly accessible water reservoirs and an elementary school for local children, was one of 300 charity houses, existing in the 18th-19th century Cairo. This sabil-kutab of Napisa khanum – an elegant construction with stone, wood and bronze ornaments and lavishly decorated interiors, still exists in one of the most beautiful corners of old Cairo, rather resembling a city of thousand mosques than a modern megapolis.

GIORGI KALANDIA
AUTHOR OF CHVENEBUREBI PROGRAM


მკვდართა ქალაქი

მამლუქთა საფლავის თარქიბა



კაიტ ბეის მეჩეთის ჭერი


კუნძული რავდა


ვიტრაჟების ანარეკლი კაიტ ბეის აკლდამაში







# ტიხრული მინანქარი ოქროს საწმისის ქვეყნიდან

ქართული ტიხრული მინანქრის ნიმუშები V საუკუნით თარიღდება. თითოეული განიხილება, როგორც თვითმყოფადი, უნიკალური და შეუფასებელი ხელოვნების ძეგლი. ქართული ტიხრული მინანქარი ერთადერთია მსოფლიოში თავისი გამორჩეული ინდივიდუალურობით. იგი თავისებურია შესრულების ტექნიკით, ფერთა წყობით, კომპოზიციის დინამიკით და სრულიად განსხვავდება ბიზანტიური, ჩინური და ვენეციური მინანქრისგან. მისი მხატვრულად სრულყოფისა და ურთულესი ტექნოლოგიის დახვეწის პროცესი კი დღესაც გრძელდება აღაფრთოვანებს მნახველს.

ამ იშვიათი შუასაუკუნოვანი ტექნიკის აღორძინება თანამედროვე საქართველოში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ხელოვნების ისტორიკოსთა, მეცნიერთა და მინანქრის ოსტატთა თანამშრომლობის შედეგად აღდგენილი იქნა ადგილობრივი მინერალების მოპოვებაზე დაფუძნებული უნიკალური ფერების, მათ შორის ლილისფერისა და ღვინისფერის მიღების საიდუმლო. თუკი უწინ ტიხრული მინანქარი, მხოლოდ რელიგიური და კანონიკური თემატიკით შემოიფარგლებოდა, დღეისათვის იგი მრავალფეროვანი და ყოფითი გახდა.

თბილისის შუაგულში მდებარეობს რამდენიმე სამხატვრო გალერეა, რომელიც მყიდველებს სთავაზობს ტიხრული მინანქრის სხვადასხვა სტილისა და მიმართულების ასობით ნიმუშს...

ამ ორიოდე თვის წინ, სტრასბურგში, საქართველოს ელჩის, ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილის თაოსნობით, ევროსაბჭოს შტაბ-ბინის საგამოფენო დარბაზში შედგა ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, სახელწოდებით - „ტიხრული მინანქარი ოქროს საწმისის ქვეყნიდან“. პროექტის სპონსორები იყვნენ: „ბანკი რესპუბლიკა“, დეველოპერული კომპანია „ბისივი - არქსტუდია პ.მ.“ და ქართული ღვინო „ქინძმარაულის მარანი“. გამოფენის კურატორები გახლდნენ ქალბატონები ქეთი ჭავჭანიძე-ლომაია (დიზაინერი) და მარიამ მამუჩაშვილი (მხატვარი). ექსპოზიციაზე 47 ქართველი მხატვრის საუკეთესო ტიხრული მინანქრის ნაკეთობები იყო წარმოდგენილი. დამთვარიელებლები, ძირითადად ევროსაბჭოს დელეგატები, აღფრთოვანდნენ გამოფენით და მათ მიერ, წარმოდგენილ ნაკეთობათა მნიშვნელოვანი ნაწილი იქნა შესყიდული.

ალსანიშნავია, ის ფაქტი, რომ გამოფენაზე ქა-



ირაკლი მეგრელიშვილი
IRAKLI MEGRELISHVILI



თეა გურგენიძე
TEA GURGENIDZE



დავით ჩხეიძე
DAVID CHKHEIDZE



პაატა პაატაშვილი
PAATA PAATASHVILI



ქეთი ჭავჭანიძე-ლომაია
KATIE CHAVCHANIDZE-LOMAIA

# Cloisonne Enamel from the Land of Golden Fleece

A couple of months ago, the EU headquarters exhibition hall in Strasbourg hosted an exhibition of Georgian artists, titled “Cloisonne Enamel from the Land of Golden Fleece”. This initiative of the Georgian Ambassador Zurab Chiaberashvili was sponsored by Respublika Bank, development company BCV Archstudio P.M. and Georgian winery “Kindzmaraulis







რთული ღვინის „ქინძმარაულის მარანის“ პრეზენტაცია-დეგუსტაციაც შედგა და უახლესი წარსულის, ყურითმოთრეული მითი ქართული ღვინის „ფიასკოს“ შესახებ, საბოლოოდ გაქარწყლდა, უფრო მეტიც, ქართული სასმელის იმპორტით სერიოზულად დაინტერესდნენ რიგი ქვეყნების წარმომადგენლები. ფაქტი, დაგვეთანხმებით, მართლაც სასიხარულოა, მაგრამ, კვლავ დაწყებულ, ჩვენთვის, ამჯერად მნიშვნელოვან თემას დავუბრუნდეთ.

ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში, სამეფო სასახლეში, წელიწადში ერთხელ, ესპანეთის დედოფლის ფონდის ინიციატივით, ესპანეთში აკრედიტებული ქვეყნების ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა იმართება, რომლიდანაც შემოსული თანხა ბავშვთა ფონდში ირიცხება.

წელს, მადრიდის გამოფენაზე მონაწილეობის მიღება ქართველ ხელოვნებს, ესპანეთში საქართველოს ელჩმა, ბატონმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა შესთავაზა.

და, აი, 11 ივნისს, 50 ქართველი მხატვრის 200-ზე მეტი ნამუშევრით შექმნილი ექსპოზიცია, ჩვენთვის, უკვე ნაცნობი სახელწოდებით - „ტიხრული მინანქარი ოქროს საწმისის ქვეყნიდან“ (სპონსორები: „ბანკი რესპუბლიკა“, დეველოპერული კომპანია „ბისივი - არქსტუდია პ.მ.“ და ქართული ღვინო „ქინძმარაულის მარანი“), პირველად იქნა გამოფენილი მადრიდის სამეფო სასახლეში.

მადრიდის გამოფენაზე, სულ, 53 ქვეყნის ხელოვანთა ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. საექსპოზიციო დარბაზები დამთვალიერებელს ვერ იტევდა. მალე, თავისი ამალით, დედოფალიც მობრძანდა. იგი, ყურადღებით ეცნობოდა წარმოდგენილ ექსპონატებს, განსაკუთრებით კი ქართული ხელნაკეთი სამკაულებით მოიხიბლა. ქართული გამოფენის კურატორებმა, ქალბატონებმა, ქეთი ჭავჭანიძე-ლომაიამ და მარიამ მამუჩაშვილმა, დედოფალს საჩუქრად, ულამაზესი ტიხრული მინანქრის ნაკეთობა - ყელსაბამი (ავტორი - თეა გურგენიძე) მიართვეს. თავად, მისმა უდიდებულესობამ (წარმოშობით ბერძენმა), კი ბერძნულ ჯვარზე შეარჩია ყურადღება და შეიძინა კიდეც იგი, თავისი შვილიშვილისათვის.

ნაკეთობის ავტორი, ირინა მახვილაძე პროფესიით ფიზიკოსია და სულ რაღაც ერთი წელია, რაც ტიხრულ მინანქარზე მუშაობს, მხატვარ ნინო ბურკაძის ხელმძღვანელობით.

დედოფლისგან ამგვარი ჟესტის გამოვლენის შემდგომ, ქართულ ნაკეთობათა მიმართ დამთვარიელებელთა თუ სპეციალისტთა ინტერესი, კიდევ უფრო გაიზარდა. ხაზგასმით აღინიშნა ქართველ ხელოვანთა მაღალი შემოქმედებითობა და პროფესიონალიზმი... წარმატებით შედგა ქართული ღვინის დეგუსტაცია...

ესპანეთის მეფის ოჯახში უკვე კარგად იცნობენ საქართველოს. ქალბატონი დედოფალი კი მალე სტუმრად გვეწვევა.

მოამზადა ნინო ლაღიძემ



ზაზა ლოდია
ZAZA LODIA



თეა დურმიშიძე
TEA DURMISHIDZE



ნინო ბურკაძე
NINO BURKADZE



პაატა პაატაშვილი
PAATA PAATASHVILI

Marani”. The exhibition was supervised by designer Keti Chavchanidze-Lomaia and artist Mariam Mamuchashvili.

Once a year, the charitable foundation of the Spanish Queen organizes sales-exhibitions in the Royal Palace in Madrid, all the revenues of which are passed on to the vulnerable children.

On June 11 2007, this annual exhibition hosted the abovementioned project “Cloisonne Enamel from the Land of Golden Fleece”. The exposition, consisting of over 200 works by 50 Georgian artists, produced an immense impression on Queen Sophia. Supervisors of the exhibition – Keti Chavchanidze-Lomaia and Mariam Mamuchashvili presented Her Majesty with an enamel necklace (author: Tea Gurgenidze) and the Queen, on her part, purchased a Greek-style cross (author: Irina Makhviladze) for her grandchild.

PREPARED BY NINO LAGHIDZE



ია გიგოშვილი
IA GIGOSHVILI











# ამერიკის გზისპირა არქიტექტურა

**საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ, საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა და გალერეა "არსმა" უმასპინძლა გამოფენას "ამერიკის გზისპირა არქიტექტურა". გამოფენა მიეძღვნა ამერიკის არქიტექტურის ინსტიტუტის 150 წლისთავს.**

15 მაისს, გალერეა „არსში“ გაიხსნა ფოტო - გამოფენა “ამერიკის გზისპირა არქიტექტურა”, რომლის ორგანიზატორები არიან ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი. გამოფენა მოიცავდა ცნობილი ამერიკელი არქიტექტორისა და მკვლევარის ჯონ მარგოლისის წიგნებიდან გადმოტანილ 56 ფოტოს, რომლებზეც აღბეჭდილია ამერიკის ადრეული ხანის ბენზინ-გასამართი სადგურების, გზისპირა დასასვენებელი ადგილების, რესტორნებისა და სასადილოების არქიტექტურა.

25 წლის განმავლობაში ჯონ მარგოლისი მოგზაურობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ფოტოკამერის მეშვეობით ისტორიას შეუნარჩუნა ამერიკულ კომერციაში არსებული ძველი ტრადიციები. ფოტოებზე აღბეჭდილი ამერიკის არქიტექტურული ნაგებობების დიზაინი ძალიან თავისებური და განუმეორებელია. ფოტოსესიის მიზანი იყო მოგზაურებისა და ტურისტების მოზიდვა და ამავე დროს იმდროინდელი ამერიკული კულტურისა და ხასიათის ასახვა.

ამერიკის გზისპირა არქიტექტურის ფოტოები გამოფენილი იყო კიევში, ეკატერინბურგში, პერმში, ვლადივოსტოკში, ათენში, პრაღაში, ანკარაში, პარიზში, ზაგრებში, ტალინში, ასევე UNESCO-ს შტაბბინაში პარიზში.

ჯონ მარგოლისმა თავისი საარქიტექტურო კარიერის მანძილზე დააგროვა უამრავი ვიდეო და ფოტო დოკუმენტაცია და აგრეთვე გამოსცა ბევრი წიგნი და პუბლიკაცია არქიტექტურის ისტორიის შესახებ. მისი ყოველწლიური ლექციები ნიუ-იორკის არქიტექტორთა ლიგაში და ლონდონის სამეფო არქიტექტურულ საზოგადოებაში როგორც წესი დიდი ინტერესით სარგებლობს.

ამერიკის გზისპირა არქიტექტურის ფოტოები გამოფენილი იყო თბილისში, გალერეა „არსში“ 15-დან 22 მაისამდე. შემდეგ დაგეგმილი იყო ფოტოების გამოფენა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: თელავში (24 მაისიდან - 29 მაისამდე), ქუთაისში (31 მაისიდან 6 ივნისამდე), ბათუმში (8 ივნისიდან - 17 ივნისამდე), ფოთში (19 ივნისიდან - 24 ივნისამდე), ზუგდიდში (26 ივნისიდან – 29 ივნისამდე).

ფოტოგამოფენის პროგრამით გათვალისწინებულია ლექციები ამერიკის არქიტექტურის შესახებ, რომელსაც წაიკითხავს იენის უნივერსიტეტის არქიტექტურის სკოლის ფულბრაიტის პროფესორი, დოქტორი ელენე კილაძე.

ავტომობილის გამოგონებამ და მისმა მასობრივმა წარმოებამ შეცვალა ამერიკელების ცხოვრება და შეერთებული შტატების ლანდშაფტი მე-20 საუკუნეში. მე-19 საუკუნეში მგზავრობა მოუხერხებელი და ძვირადღირებული სიამოვნება იყო. იმ დროს არსებული გზები სირთულეებს ქმნიდა მანევრირებისათვის. ეს ყოველივე შეიცალა მაშინ, როდესაც მანქანები ხელმისაწვდომი გახდა მილიონობით ადამიანისათვის, გაიყვანეს კარგი გზები, რათა დაეკმაყოფილებინათ ავტომობილის მფლობელთა მოთხოვნა. შეიქმნა ახალი ტიპის ბიზნესი. კომპანია „Moms and Pops”-მა მთელს ამერიკაში შექმნა გზისპირა ინფრასტრუქტურა სხვადასხვა საჭიროებებისათვის: საწვავის, საკვების და ღამის გასათევად. გაჩნდა გამორჩეული და ინდივიდუალისტური გზისპირა შენობები, ხშირად უზარმაზარი წარწერებით. მათი დიზაინი გარკვეულ ვიზუალურ სტენოგრაფიულ ჩანაწერს წარმოადგენდა, რომლის მიზანი ყურადღების მიპყრობა და მომხმარებელთა შეჩერება იყო.













# American Roadside Architecture

*The United States Embassy in Tbilisi, Georgian Union of Architects and ARCI Gallery host the American Roadside Architecture Exhibition. The exhibition was dedicated to celebrating 150 years of American Institute of Architects – AIA.*

On May 15, the United States Embassy in Tbilisi and the Georgian Union of Architects opened the photographic exhibition “American Roadside Architecture” at ARCI Gallery. The exhibition, created by architectural historian John Margolies, comprised 56 photos and four text panels that depicted the early architecture of gas stations, roadside lodging, restaurants and eateries.

American roadside architecture is drawn from Mr. Margolies’s extensive series of books on the subject of popular American architecture. For more than 25 years, John Margolies crisscrossed the United States, camera in hand, to capture and preserve images of a vanishing tradition in American commerce. The photos displayed at ARCI Gallery document a unique and fast disappearing American architecture designed to appeal primarily to motoring tourists, one that relied heavily on local culture and sensibilities. They are the artifacts of a creative, whimsical and very inviting moment in American business and tourism.

The exhibit has been shown in Kiev, Yekaterinburg, Perm, Vladivostok, Athens, Chisinau, Prague, Ankara Paris, Zagreb, Tallinn and most recently at UNESCO headquarters in Paris.

John Margolies’s more than 30-year career in architecture has included video and photo documentations, as well as many books and publications on architectural history. His annual lectures series at the Architectural League of New York and the Royal Society of Architects in London regularly draw large audiences.

American Roadside Architecture at ARCI Gallery will be open in Tbilisi May 15-May 22 at 21 T. Abuladze Street, Tbilisi. The exhibit will also tour the following cities: Telavi (May 24-May 29), Kutaisi (May 31-June 6), Batumi (June 8-June 17), Poti (June 19-June 24) and Zugdidi (June 26-June 29). As part of the exhibit, Fulbright Professor from the Yale School of Architecture, Dr. Lena Kiladze, will give a lecture on the architectural design in each city.

The invention and mass production of the automobile transformed the livers of Americans and the landscape of the United States in the 20th century. During the 19th century, travel was cumbersome and expensive. Existing roads were mostly rough dirt paths and difficult to navigate. The predetermined routes and schedules of railroads or the slow pace of travel by horse and carriage placed limitations on people anxious to explore the wonders of the country.

But all this began to change as cars became affordable for millions of people, and good roads were built to accommodate the steadily increasing numbers of motorists now set free to discover the country on their own schedules and routes. The American free enterprise system responded, creating new types of businesses geared specifically to the needs of these “automobilists”. “Moms and Pops” across the U.S. built facilities beside the highways to provide the necessities: gas, food and lodging. Distinctive and individualistic roadside buildings, often with huge signs proclaiming their presence, screamed for attention to attract those customers passing by at higher speeds. Their designs were a kind of visual shorthand, intended to attract attention and to get customers to STOP.

















# ზარაფხანის ზღაპრულ სამყაროში

ინტერვიუ შ.პ.ს. "ზარაფხანის" ჯიუველირ დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ქალბატონ ეკატერინე სოთიასთან





**– როგორია დღეს მოდის ტენდენციები საიუველირო სამყაროში? რა სტილი დომინირებს, რას ექცევა მეტი ყურადღება, რომელ ძვირფას ქვებზეა მეტი მოთხოვნილება?**

– დღეს მოდა დემოკრატიულია, ამიტომ ძნელია დაასახელო რომელიმე ერთი მიმართულება საიუველირო დიზაინში. სტილი, იდეა, მხატვრული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები მრავალფეროვანია. ამავე დროს დიდი ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ და რაციონალურ მიდგომას, ვინაიდან საბოლოო ჯამში ჩვენი მომხმარებელი მაინც მიილტვის ლოიალური, უნივერსალური დიზაინისკენ, prêt-à-porter-ის ტიპის სამკაულისკენ, რომელსაც ატარებს როგორც დღისით, ასევე საღამოს.

ძვირფას ლითონებში უდაო პოპულარობით სარგებლობს ოქრო, როგორც 585, ასევე 750 სინჯის, როდესაც მყიდველი იძენს ოქროს, გარდა იმისა, რომ ის საკუთარ თავს საჩუქარს უკეთებს, ამავდროულად ერთგვარ დაბანდებასაც ახორციელებს. მოდაშია ყვითელი და თეთრი ფერი, ან მათი ტანდემი – ამ ორი ფერის თამაში ერთ სამკაულში. ევროპაში ძალიან პოპულარულია პლატინა და პალადიუმი. პლატინა უდაო ფავორიტია ძვირფას ლითონებში, მას ლითონ-არისტოკრატს უწოდებენ. მაგალითად ცნობილი ბრენდი "კარტიე" მხოლოდ პლატინას იყენებს. ვერცხლისგან განსხვავებით იგი არ იცვლის ფერს და საოცარი ბზინვარებით გამოირჩევა.

რაც შეეხება ძვირფასი ქვებით მოჭედილ სამკაულებს, პირველ ადგილზე უდაოდ ბრილიანტია. ბრილიანტის შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის ის დამაგრებული. დღეს ძალიან პოპულარულია სამკაული "პავე" დამაგრებით ე.წ. დათესილი ქვებით, როდესაც პატარა ზომის ბრილიანტები მჭიდროდ ზის გვერდი-გვერდ და ლითონი საერთოდ არ ჩანს. ამ მეთოდით ქვების დამაგრება მხოლოდ მიკროსკოპის ქვეშ არის შესაძლებელი. "ზარაფხანამ" უკვე აითვისა ეს ტექნოლოგია და უახლოეს მომავალში ჩვენ ახალ, სერიოზულ კოლექციას შევთავაზებთ ჩვენს მომხმარებელს, აგრეთვე სიახლის სახით ვთავაზობთ ისეთ ბუნებრივ ქვებს, როგორებიცაა აკვამარინი და ტურმალინი. აკვამარინი ღია ცისფერი ქვაა, კამკამა და გამჭვირვალე, ტურმალინის ფერის სპექტრი ფართოა: მომწვანო, მოვარდისფრო, მოცისფრო.

**– როგორ იბადება თქვენი ნაკეთობების მხატვრული სახე? რა პროცესს გადის სამკაული სანამ საბოლოო სახეს მიიღებდეს?**

– რაც შეეხება მხატვრული გადაწყვეტილებების გაჩენას, მინდა გითხრათ, რომ ეს ძალიან შრომატევადი პროცესია. ჩვენ გვყავს მხატვარ-დიზაინერთა ჯგუფი, რომლებიც დაკავებული არიან ახალი ესკიზების შექმნით. დღეს-დღეობით მოდას კარნახობენ ევროპისა და ამერიკის წამყვანი ბრენდები. ჩვენ ვანხორციელებთ მოდის ტენდენციების კონტ-





















როლს, არ გამოგვიტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი გამოფენა, რომელიც ჩატარებულა ამ ერთი წლის მანძილზე ევროპასა თუ აზიაში. ეს ძალიან კარგი შანსია გაეცნო სიახლეებს საიუველირო მოდაში და ამავე დროს იკვებო ახალი იდეებით. ესკიზების დიდი ნაკადიდან ირჩევა ყველაზე ღირსეული, იქმნება მოდელი და უკვე ძვირფას ლითონში ხორციელდება. მაგრამ მოდელმა მაღაზიებში გამოჩენამდე უნდა გაიაროს სამხატვრო საბჭოს შეფასება და დაიმსახუროს მოწონება.

**- როგორია ჩვენი მყიდველი? რა რჩევებს მისცემდით მათ?**

- ჩვენი მყიდველი სამკაულის შეძენისას დიდ სიფრთხილეს იჩენს და უპირატესობას ანიჭებს კლასიკური სტილის მოდელებს. სამკაულის არჩევისას მთავარია არ დაკარგოთ ინდივიდუალურობა, სამკაული ხაზს უნდა უსვამდეს თქვენს სტილს და ხასიათს, უხდებოდეს სახეს, ტანსაცმელს, მაკიაჟს, და რაც ყველაზე მთავარია - დროს და ადგილს.

თხელ ბეჭდებს როგორც წესი იკეთებენ უსახელო თითზე. რამოდენიმე ბეჭდის ერთ თითზე გაკეთება, თუ ეს არ არის გათვალისწინებული დიზაინით, ცუდ ტონად ითვლება. ბეჭდები, მოკაზმული ერთი დიდი ქვით ან პირიქით ბევრი პატარა ქვებისგან შემდგარი, უმჯობესია ატაროთ შუა ან საჩვენებელ თითზე. ქალბატონებს, რომლებსაც წვრილი თითები აქვთ ურჩევდი თავი შეიკავონ დიდ ქვებიანი ბეჭდებისაგან. იგივე რჩევას მივცემდი ქალბატონებს, რომლებსაც მოკლე თითები აქვთ.

გრძელი საყურეები რეკომენდირებულია ქალბატონებისთვის, რომლებსაც გრძელი კისერი აქვთ. მსუქან ქალბატონებს ურჩევდი მასიურ სამკაულებს.

უქვო სამაჯურებს ატარებენ თავისუფლად, მაჯის გასწვრივ. თუ სამაჯური მორთულია ქვებით, ის დაფიქსირებული უნდა იყოს მაჯის ზევით.

გულსაკიდები უმჯობესია ატაროთ დეკოლტეზე, ან ერთფეროვან, თხელ ქსოვილიან ტანსაცმელზე. კოლიე კი აუცილებლად მოითხოვს მხოლოდ დეკოლტეს.

**- როგორია თქვენი მომავალი გეგმები? რა კოლექციაზე მუშაობთ ამჟამად?**

- ჩვენ ეხლა ვმუშაობთ რამოდენიმე კოლექციაზე ერთდროულად. “ზარაფხანამ” მცხეთის სახელმწიფო მუზეუმთან ერთად დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს არსებული მუზეუმის ოქროს ფონდის ექსპონატების მოტივებზე ახალი კოლექციის შექმნას. ეს იქნება უპრეცენდენტო შემთხვევა, როდესაც ჩვენ გავაცოცხლებთ უნიკალურ, მიძინებულ არტიფაკებს. კოლექცია შესრულებული იქნება ოქროში, გამოყენებული იქნება ისეთი მასალები, როგორიცაა ძოწი, გიშერი, მარჯანი, მარგალიტი და მინანქარი. ასე რომ უახლოეს მომავალში არქაული სტილის მოყვარულებს ელოდებათ მეტად საინტერესო კოლექცია.

მეორე ხაზი ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნას და მას დაერქმევა “გიშრის კოლექცია”, ვინაიდან პროდუქცია შესრულებული იქნება გიშერში, გამდიდრებული ოქროს ინკრუსტაციებით. ჩვენ, ახლახანს კომპანიაში მოვიწვიეთ გიშრის დამუშავების ოსტატები და ჩამოვაყალიბეთ გიშრის უბანი. მიგვაჩნია რომ გიშერი საინტერესო მასალაა, ვინაიდან ის კარგად ექვემდებარება დამუშავებას, ლამაზი და მსუბუქია. გიშერს კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ მოიპოვება საქართველოში და მისი პოპულარიზაცია ეროვნული საქმეა.

დიდი მადლობა საინტერესო ინფორმაციისათვის, წარმატებებს გისურვებთ საქმიანობაში, დაველოდებით სიახლეებს, დარწმუნებული ვართ მომავალში შექმნილი კოლექციები კიდევ უფრო თანამედროვე და დახვეწილი დიზაინით მოხიბლავენ მომხმარებელს.

ესაუბრა ლალი ბახტაძე













# სტუდენტური ფანტაზიების ვიზუალიზაცია



26 ივნისს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, მედიახელოვნების ფაკულტეტის გრაფიკული დიზაინის სპეციალობის, III კურსის სტუდენტთა ნამუშევრების (საგანი - „ვიზუალური კომუნიკაციები“) გამოფენა შედგა. ნახაზებისა და მაკეტების სახით, წარმოდგენილი იქნა მცირე არქიტექტურულ ფორმათა დიზაინი. გამოფენაზე მიწვეულნი იყვნენ სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები: ხელოვნებათმცოდნე ნინო ზაალიშვილი, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ნინო ღლანიძე, პროფესორები, ოთარ



ჩაკვეტაძე, ნოდარ სუმბაძე, კოტე ჯინჭარაძე (საკურსო ნამუშევრების ხელმძღვანელი), მასმედიის წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდების მიერ წარმოჩენილ ექსპოზიციას.

მსგავსი გამოფენების მოწყობა, უკვე ფაკულტეტის ტრადიციადაა ქცეული. სტუდენტები თავიანთი სემესტრული შედეგებით, სისტემატურად, ერთგვარ ანგარიშგებას ახდენენ საზოგადოების წინაშე, რაც მხოლოდ აკადემიის კედლებით არ შემოიფარგლება. ამის დასტურია, 9 ივლისს, შარდენის ქუჩაზე მოწყობილი, ამავე ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. ახალგაზრდა დიზაინერები ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგნენ საკუთარი შემოქმედებით. ეს კი, მედიახელოვნების ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახალგაზრდების საზოგადოებასთან კონტქტის ყველაზე აქტიური საშუალებაა - სტუდენტი I კურსიდან აკონტროლებს საკუთარი „მოღვაწეობის“ შედეგს და შესაბამისად, თანდათანობით ხვეწს მას. მიწვეული თუ შარდენზე შემთხვევით მოხვედრილი ქალაქის სტუმრები დიდი ინტერესით და მოწონებით აღიქვამდნენ ნახულს.

ამგვარი აქციები, როგორც წესი, შემოქმედებითი ენერგიის გათავისუფლების თავისებური საშუალებაა. ინტელექტუალური ფანტაზიები, დიზაინერული უტოპიები, ჰიპერბოლები მეტაფორები, ჭეშმარიტი ხელოვანის მუდმივი თანამგზავრი უნდა იყოს. ეს, უთუოდ, კეთილ გავლენას მოახდენს მთლიანად დიზაინერულ პრაქტიკაზე.





ასეთი ეგზერსისები ხელს შეუწყობს, არა მხოლოდ პროფესიონალისა და ოსტატის, არამედ ხელოვანის ჩამოყალიბებას.

გამოფენები კვლავ გაგრძელდება და კიდევ უფრო საინტერესო, თამამ, თანამედროვე მიგნებებს და კონცეპციებს წარმოაჩენს.

ნანა იაშვილი
პროფესორი, მედიახელოვნების
ფაკულტეტის დეკანი







ფოტო გია ჯაველიძისა

# "ელენე ახვლედიანი - სურათები და ფოტოები კერძო კოლექციებიდან"

„ბაია გალერეა“ აგრძელებს პროექტს „კოლექციიდან კოლექციამდე“. 18 აპრილს გალერეაში, ამ პროექტის ახალი მე-8 გამოფენა გაიხსნა რომელიც ელენე ახვლედიანის დაბადების დღეს მიეძღვნა. პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობიდან დღემდე უცნობი მასალის აღმოჩენას და პოპულარიზაციას. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ელენე ახვლედიანის სურათები კერძო კოლექციებიდან, 1920 –1970 წწ. შესრულებული 30 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. გამოფენის რამდენიმე ექსპონატი გაიყიდა.









# Helene Akhvlediani – Paintings And Photographs From Private Collections





Baia Gallery continues its project “From Collection to Collection”. On April 18, the Gallery opened the 8th project exhibition, dedicated to the birthday of Helene Akhvlediani. The project aims at discovering and promotion of formerly unknown materials, related to Georgian cultural heritage. The exhibition comprised Helene Akhvlediani’s works – 30 paintings and drawings, created between 1920 and 1970 and stored in private collections. Several pieces were sold during the exhibition.

# მინიატურა

18 მაისს, შარდენის ქუჩაზე, „ბაია გალერეაში“ გაიხსნა მხატვარ გოჩა კაკაბაძის პერსონალური გამოფენა, სახელწოდებით – „მინიატურა“.









## მშენებლობის, არქიტექტური, დიზაინისა და რეკონსტრუქციის მე-12 საერთაშორისო გამოფენა



ამა წლის 16-19 მაისს, გამოფენების ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტეროტორიაზე, №4, 5, 6, და 11 პავილიონებში, ჩატარდა მე-12 საერთაშორისო მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის გამოფენა „კაუკაზუს ბილდ 2007“.

გამოფენის ორგანიზატორია კომპანია „ექსპო ჯორჯია“.

გამოფენა ჩატარდა ქალაქის მერიის მხარდაჭერით.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პროდუქცია 17 ქვეყნიდან: აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, ემირატები, თურქეთი, იაპონია, ინდონეზია, იტალია, ირანი,კანადა, ლატვია, რუსეთი, საქართველო, უკრაინა, შვეიცარია, ჩეხეთი, ჩინეთი.

110 საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილი იყო 150-ზე მეტი კომპანია.

მონაწილე კომპანიები მომხმარებლებს სთავაზობდნენ შემდეგ საქმიანობასა და პროდუქციას: გრანიტი, ბაზალტი, მარმარილო, საღებავი, ლაქი, გლუვი ფიცარი, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, ჟალუზები, ფარდა-როლეტები, საძირკვლების გამოსაყვანი მასალა, თიხის კრამიტი, ფასადის აგური, გათბობა-კონდიცირება, ჰიდროსაიზოლაციო საშუალებები, ჰიდროკვანძების კაპიტალური რემონტი, ბეტონისა და ცემენტის დანამატები, პლასტმას-ნაკეთობები, თერმული კერამიკული მილები, საიზოლაციო მასალები, განათების ახალი სისტემები, ელექტროგაყვანილობა, ტექნიკა ბეტონის ზედაპირების მოსწორებისა და მისი ჩასხმისათვის, მიწისა და ასფალტის სატკეპნი, სატვირთო და სახანძრო ავტომანქანები და მრავალი სხვა.

გამოფენის პარალელურად ჩატარდა დაგეგმილი ღონისძიებები: 17 მაისს მცირე საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა კომპანია „კალმატრონმშენის“ პროდუქციის პრეზენტაცია.

ამავე დღეს დიდ საკონფერენციო დარბაზში ჟურნალმა „სტილმა“ გამართა პრეზენტაცია კონკურსის „არქიტექტურული პრემია 2007“ შესახებ.





## ქართული დროშა

ამა წლის 3 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა არქიტექტორ მერაბ აბესაძის პროექტებისა და მხატვრულ ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. ავტორი მოსკოვში განათლების მიღების შემდეგ 1985 წელს დაუბრუნდა მშობლიურ ქვეყანას და უშუალოდ არქიტექტურული მოღვაწეობის გარდა მხატვრობისა და ქანდაკების დარგში შექმნა მრავალი ნამუშევარი. ამ ხნის განმავლობაში აგრძელებს რა პროექტირებასა და მეცნიერულ კვლევას, არქიტექტურის კანდიდატმა მერაბ აბესაძემ, მოაწყო 8 პერსონალური გამოფენა.

ამჟამინდელ ექსპოზიციაზე იყო წარმოდგენილი არქიტექტურული ნოვაციები, ორდერთა ახალი სისტემა, ბუნებრივ მასალაში შესრულებული პორტრეტები, ქართული დამწერლობის მემორიალი და მრავალი სხვა. ამიტომ წინამდებარე სტატია ყურადღებას გაამახვილებს იმ ასპექტებზე, თუ რა გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი ქართულ დამწერლობას.

კერძოდ. დარბაზში განსაკუთრებული ადგილი უკავია სარკოვან კარკასში მოქცეულ ცვილისა და პარაფინის ნაერთ მასალაში შესრულებულ ქან-



დაკებას. ქანდაკება არის მოთავსებული ფოლადის 1 მ3-ის მოცულობის კარკასში. სამი მხრიდან მას თან ახლავს სარკე, სადაც აირეკლება ორი ქალის პროფილი და ერთი მამაკაცის უკუ ანფასი. გარკვეული ფოკუსიდან მზერისას ეს ოთხივე გამოსახულება ერთ წერტილში იყრის თავს და ძალზე შთამბეჭდავ ტრიადა-კვადროსისტემას ჰქმნის.

თვით კარკასი, რომელშიდაც ეს ქანდაკება არის მოთავსებული შემკულია ტყავის ფარდაგებით, რომელზედაც სისტემატიზირებული სახით არის წარმოდგენილი ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული ანბანი ისე, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ სქემებში.

ასე მაგალითად, თუ განვალაგებთ ასომთავრულ ანბანს კლებად მწკრივში უნ-ის და ვიე-ს გამოყოფით აღმოჩნდება, რომ ის ასო-ნიშნები, რომლებიც შემდგომში ამოვარდა ხმარებიდან ანუ 8, 15, 34, 37 განლაგდებიან განაპირა მარჯვენა სვეტში მწკრივის დამაბოლოვებელ ნიშნად.

განსხვავებული ვითარება გვაქვს თანამედვოვე მხედრულ ანბანში. სახელდობრ, თუ განვალაგებთ არსებულ 28 თანხმოვან ბგერას მზარდ 7 მწკრივში და შემდგომ რიგრიგობის მიხედვით ჩავსვავთ 5



ხმოვან ასო-ნიშანს, ისინი აღმოჩნდებიან ერთ განაპირა მარცხენა სვეტში 7-დან 5 ჰორიზონტალურ მწკრივში.

რაც შეეხება ნუსხა-ხუცური ანბანის აგებულებას, იგი იდენტურია ასომთავრულთან, მაგრამ გამოყოფილია ერთის მხრივ ხმოვანი ასონიშნებით, რომელთა ერთობლიობა, ქმნის სწორ კუთხეს, მეორეს მხრივ რაე-ს ცენტრალური მდებარეობა, რომლის მიმართაც იგება პეპლისებრი „ან-ჰოე“-ური კრიპტოგრაფიული სისტემის სიმეტრია.

იმისათვის, რომ თვალნათლივ დავინახოთ წარმოდგენილი დროშის შინაარსობრივი დატვირთვა მცირეოდენ ისტორიას მივმართოდ ამ კუთხით. რეტროსპექციული ანალიზი გვაძლებს საფუძველს გამოითქვას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო სეფე დროშების უმრავლესობის ბუნი მეწამულის, ანუ მუქი წითელი ფერის, ხოლო მასზე შებმული ალამი თეთრი ფერის იყო. ალამზე სხვადასხვა საუკუნეში გამოისახებოდა წმინდა გიორგი, ჯვარი, მზე. ხოლო სარდლის დროშა – თეთრ ბუნზე წითელი ალმით იყო წარმოდგენილი.

წარმოდგენილ დროშაზე მეწამულის ფერის ბუნზე შებმულ ექვსი კვადრატის ფართობის (2X3) თეთრ ალამზე გამოსახულია ოქროსფერი, ხოლო



ტიტანის ბუნზე შებმულ ჩალისფერ ტყავზე გამოსახულია თეთრი სხივებიანი მზე, მთვარე და ჯვარი.

მზის აგებულება დამყარებულია ქართული ანბანის ტრანსფორმაციის (მხედველობაშია ეპოქების განმავლობაში როგორც ასო-ნიშანთა ცვალებადობა ან გაუქმება ასევე საერთოდ ასომთავრული დამწერლობის მხედრულით შეცვლა) საფუძველზე.

ცენტრში მოთავსებული წრე შედგენილია მთავარი და შემავსები ნაწილებისაგან ანუ როგორც მზე და მისი ანარეკლი მთვარე, რომელიც გამოსახულია არა ძველ „(“ როგორც გვხვდება მუსლიმანური ქვეყნების დროშებზე, არამედ ახალ „)“ ციკლში. ეს ორი იდეოგრაფიული შემადგენელი ნაწილი ანბანურ სისტემაში ე(უნის და ვიეს) მონაცვლეობით შეიძლება იქნეს აღქმული. ცენტრალურ წრეს ირგვლივ ახლავს 36 სხივი, რაც საერთო ჯამში 38 უდრის, ანუ იმდენს, რამდენიც ქართულ ასომთავრულშია. სხივების გამომხატველ ისრებს შორის 4 გამორჩეულია სიგრძით და მათი ერთობლიობა ჯვარს შეადგენს. ამ გამორჩეულ ასო-ნიშნებად შეიძლება იქნეს მიჩნეული სწორედ ეს ოთხი: -ჰე მეორე, -ია, -ხარი, ჰოე. ამრიგად 1+სხივები = 33 – ანუ თანამედროვე მხედრულში მოცემულ ასო-ნიშანთა რაოდენობა +4 (ჯვარი)+0=38, ანუ სრულად ასომთავრული ანბანის შემადგენელი რაოდენობა.

დროშაზე ასახული მზის არქიტექტონიკაში სისტემატიზირებულია აგრეთვე ასო-ნიშანთა განლაგება მათი რიცხობრივი მნიშვნელობითაც. ასე მაგალითად, წრიულად სხივები დაყოფილია 9 ერთეულის, 9 ათეულის, 9 ასეულის, 9 ათასეულის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ამ სექტორთა გამყოფ ასო-ნიშნებად აღებულია არა დამაბოლოვებელი ასო ნიშნები 9,90,900,9000, არამედ ერთეულები – ჰე-მეორე-8, ათეულებში – ია-60, ასეულების გამყოფი შეცვლილია ნოლით ცენტრში, ათასეულებში – ხარი-7000, და ციკლს ასრულებს – ჰოე-10000. ამგვარად არც ერთ გამყოფ ასო-ნიშანთა პირველი ციფრი არ მეორდება და საერთო ჯამში 17068 შეადგენს ჯვარის გამოსახულებით. ამის



გარდა, წრის 36 ერთეულად დაყოფა მიესადაგება დედამიწის 360 გრადუსს 1/10 კოეფიციენტით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არქიტექტორ მერაბ აბესაძის მიერ წარმოდგენილი როგორც ქართული ანბანის სისტემატიზირებული აგებულება, ისე დროშის ანბანური კარკასი თვისობრივად ახალ, მაღალ საფეხურზე აყენებს მრავალსაუკუნოვანი სულიერ-ინტელექტუალური მშენებლობის საკითხს. იგი ითვალისწინებს ახალ, არსებულზე ბევრად უფრო ღრმა ფესვებზე დაყრდნობილ „კარკასის“ „ჩონჩხის“ დაფუძნებას, რაც შემდგომში მრავალსაუკუნოვანი სამშენებლო გამოცდილების „კედლების ამოყვანას“ თუ კულტურული მემკვიდრეობის „ხორცშესხმის“ საშუალებას იძლევა ქართული ანბანის აგებულებაში ეპოქების განმავლობაში აპრობირებული ფასეულობებით.

ინდოთა აბესალომი



## გამოფენა

სასტუმრო „მეტეხი-პალასის“ დარბაზში თენგიზ მახარაშვილის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

თენგიზ მახარაშვილი მრავალმხრივი შემოქმედია. პროფესიით არქიტექტორს, არა ერთი მნიშვნელოვანი შენობა, ლანდშაფტური დიზაინის, დეკორატიული ბაღების საკულტო ნაგებობები აქვს აშენებული. გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმიც, არის მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორიც.

ამასთან, მისთვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სახვითი ხელოვნება. ამის დასტური მისი მრავალრიცხოვანი პერსონალური გამოფენებია საქართველოში, საფრანგეთში (პარიზი), გერმანიაში (ბერლინი, ზაარბრიუკენი, კარლსრუე, კაიზერსლაუტერნი), იტალიაში (რომი), ავსტრიაში (ვენა), რუსეთში (მოსკოვი), ლუქსემბურგში და ა.შ.

თენგიზ მახარაშვილის ფერწერული ნამუშევრები ინახება მსოფლიოს 35 ქვეყნის კერძო თუ სხვა კოლექციებში, მათ შორის აშშ, კანადა, ჩინეთი, თურქეთი, ირანი, საბერძნეთი, შვედეთი და ა.შ.

50-მდე ნამუშევრიდან ნახევარზე მეტი მეტეხში პირველად არის წარმოდგენილი. მხატვრის ძირითად შემოქმედებით პრიორიტეტად კვლავ რჩება მინიატურული ფერწერა, რომლის განვითარებას იგი რამდენიმე ათეული წელია წარმატებით ანხორციელებს. მისი ნამუშევრები მოწმობს როგორი მხატვრული სიმაღლეების მიღწევა შეიძლება, როცა გყოფნის ოსტატობა, ფანტაზია და გემოვნება, როცა გაქვს სათქმელი, თვითგამოხატვის სურვილი. თავისი შემოქმედების ფესვებს მხატვარი საქართველოს წიაღში ეძებს და პოულობს კიდეც, ისტორიული, ფოლკლორული, ნაციონალური ყოფით თუ თანამედროვე სიუჟეტებით. ასე რომ, მის ნამუშევრებში ერთდროულად იგრძნობა წარსულ საუკუნეთა ქროლვაც, დღევანდელი დღეც და მომავალიც.

ბოლო წლებში თენგიზ მახარაშვილი აქტიურად მუშაობს გრაფიკულ ფერწერაში. ეს არის შერეული ტექნიკით შესრულებული კომპოზიციები (ტუში, ზეთის პასტელი, ტემპერა). თანამედროვე ფორმებით, მკაფიო ნახატით დახვეწილი დინამიური ხაზებით და შეკრული, გაწონასწორებული კომპოზიციებით, გამორჩეული ფიგურები ერთის მხრივ განსხვავებულიცაა, მაგრამ ხასიათით მისი ფერწერის გაგრძელებას წარმოადგენს.

მხატვრის თითქმის ყველა ნამუშევარში იგრძნობა სიმბოლიკის ნახევრადზღაპრული სიუჟეტები, მთავარი სიმბოლო კი კუდმაკრატელა მერცხლებია, რომლებიც ხშირად კომპოზიციის გამაერთიანებელ ან დამამთავრებელ ფიგურებს წარმოადგენენ.











Counterpoint
PHOTO/AUDIO/TEXT

# „კონტრაპუნქტი”

ა.წ. 27 ივნისს თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქარვასლა“, შედგა საგამოფენო პროექტის „კონტრაპუნქტის“ პრეზენტაცია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი და რადიო „თავისუფლება” გვთავაზობს საგამოფენო პროექტების ციკლს.

პირველი ამგვარი პროექტია „კონტრაპუნქტი”.

... ასახოს რეალობა... ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება... მაქსიმალურად ზუსტად და მაქსიმალურად ობიექტურად. როგორ ახერხებს ამას დღევანდელი მედია...

თანამედროვე ჟურნალიზმის გამომსახველობითი საშუალებები, მულტიმედია, ამისათვის სრულიად ახალ შესაძლებლობებს იძლევა.

რადიო, მაგალითად – დღეს აღარ არის მხოლოდ ხმა.

რადიო - ეს ასევე არის ტექსტი, ფოტო და ვიდეო...

ამ გამომსახველობითი საშუალებების შერწყმით, ხერხდება სინამდვილის სრულიად ახლებური ასახვა, რაც მაქსიმალურად აახლოებს მსმენელს, მკითხველს და მაყურებელს ობიექტურ რეალობასთან.

პროექტმა წარმოადგინა დოკუმენტური ფოტო, ამ იმიჯებთან ასოციაციურად დაკავშირებული აუდიოსიუჟეტები, რომლებიც რადიო თავისუფლების ეთერით გადაიცემა და ტექსტური ფაილები, რომელთა გაცნობაც მკითხველს რადიო თავისუფლების ვებგვერდის საშუალებით შეუძლია.

აი, ამგვარად იქმნება ერთგვარი კონტრაპუნქტი, სადაც პარალელურად ვითარდება თემა – ფოტოს, ხმისა და ტექსტის საშუალებით. ერთობლივად კი, ეს ყველაფერი, დღევანდელი საქართველოს ცხოვრებას ასახავს.



# „ახალი სამშენებლო კომპანია” ISO 9001:2000 სერთიფიკატის მქონე ორგანიზაცია გახდა

19 ივნისს „ახალმა სამშენებლო კომპანიამ” (NCC) ხარისხის მენეჯმენტის სისტემაში ISO 9001:2000 სერთიფიკატი ოფიციალურად მიიღო, რაც კომპანიის მხრიდან კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯია ქვეყნის სამშენებლო ბაზარზე. სერტიფიკატის გადაცემის ცერემონიალი კომპანიის მიერ განახლებულ „მწვანე შენობაში” შედგა. ღონისძიებას უამრავი ადამიანი სტუმრობდა, მათ შორის იყვნენ ცნობილი ბიზნესმენები, დეველოპერული კომპანიებისა და ბანკების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები.

„ახალი სამშენებლო კომპანია” ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელსაც ამ ხარისხის დამამტკიცებელი საბუთი გააჩნია მიწისქვეშა და მიწისზედა მშენებლობის სფეროში. „ეს აღიარება უზრუნველყოფს კომპანიის განვითარებას, მოქნილობას, ბაზარზე ცნობადობის ამაღლებას, აქციონერებთან ურთიერთობების გაუმჯობესებას თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას და რაც უმთავრესია საზოგადოების კეთილგანწყობას” – მიაჩნია კომპანიის გენერალურ მენეჯერს ერჯან გიუნეშს და არცთუ უსაფუძვლოდ.

შეგახსენებთ რომ NCC, ახალი სამშენებლო კომპანია 2005 წელს დაფუძნდა, რომლის მიზანია განახორციელოს პროექტების სტრუქტურული, ინდუსტრიული (საწარმოო), საცხოვრებელი (რაიონების) და ინფრასტრუქტურის მშენებლობა საქართველოში. ახალი სამშენებლო კომპანია დაფუძნების დღიდან „ჯიარდისის” და „თიბისი ბანკის” პროექტების განხორციელებას/ობიექტების მშენებლობას ასრულებს. კომპანიის გუნდმა წარმატებით განახორციელა სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი საქართველოში, მათ შორის ამერიკის საელჩოს ახალი კომპლექსის მშენებლობა, ბატონი ერჯანი სწორედ ამ პროექტს ხელმძღვანელებდა, და მისი დასრულების შემდეგ გადაწყვიტა ახალ სამშენებლო კომპანიაში (NCC) დარჩენა.



NCC წმინდა სამშენებლო კომპანიაა და არა დეველოპერი. ამ ფაქტზე კომპანიის გენერალური მენეჯერიც მიანიშნებს: „ჩვენი გეგმები ძირითადად ორიენტირებულია მშენებლობის მაღალ ხარისხსა და კლიენეტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კომპანიის წინ გადადგმული თითოეული ნაბიჯი სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარეობს”. კომპანიის გამორჩეულობას, შესრულებული საქმიანობის ხარისხსა და მის უნიკალურ ხედვას ახლახანს მიღებული ISO 9001:2000 სერთიფიკატიც ადასტურებს.



# პირველი ქართველი მესურათხატე

ა.წ. 20 ივნისს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიმართა მე-19 საუკუნის პირველი ქართველი ფოტოგრაფის ალექსანდრე როინაშვილის გამოფენა და მისი მეორე წიგნის პრეზენტაცია.





პროექტისა და წიგნის ავტორია ლიკა მამაცაშვილი.

პირველი ქართველი მესურათხატის ალექსანდრე როინაშვილის (1843-1898) შემოქმედების ამსახველ მეორე წიგნში თავმოყრილია პორტრეტები თემატური სახელწოდებებით “არისტოკრატია” და “სხვადასხვა”. აგრეთვე მე-19 საუკუნის პრესა ალექსანდრე როინაშვილის შესახებ და ფოტოგრაფის პირადი არქივი.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე წიგნში წარმოდგენილი მასალის უმთავრესი ნაწილი პირველად იბეჭდება.

გამოფენის მსვლელობის დროს ეკრანზე წარმოდგენილი იყო ორ წიგნში თავმოყრილი ფოტოებისა და გამოუქვეყნებელი მასალის ელექტრონული ვერსია. აგრეთვე ალექსანდრე როინაშვილის პორტრეტის დაგეროტიპი, რომელიც 2005 წელს ძველი ტექნოლოგიის გამოყენებით დაამზადა ნიდერლანდების ფოტო რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორიის დირექტორმა ბატონმა ჰანს კრისტიან დე ჰერდერმა.






მოიგე დრო - გაიგე მთავარი
FM100.0
FM105.1
ახალქალაქი FM101.2
FM103.8
დედოფლისწყარო FM104.7
FM105.9
რადიო
იმედი
RADIO IMEDI
E-mail: info@radio-imedi.ge
www.radio-imedi.ge


GEOEST group
GEORGIA ◆ ESTONIAN JOINT COMPANY
Development Company GEOEST Group offers Estonian investment and experience in construction business. The company is composed of proficient staff with long experience. The goal of the company is to offer high quality, modern and customer oriented product at an acceptable price.
SALES OFFICE - Jikia 5 Tel: 317 313 info@geoest.ge www.geoest.ge